

ଧୀରଜ ଆଲୋକପାତ୍ର



ମିଶ୍ରକଥାରେଖିକା ଉପରେ
କାହାରେଖିକାରେ

I

ბ ე ს ი პ ა ღ ა ჩ ა შ ვ ი ღ ი ღ

მსცოდურობის ისცორია

საქართველოში

I

თ ბ ი ღ ი ს ი

2 0 0 9

საქართველო ოდითგან იყო მტერ-მოყვარეთა მზვერავ-ჯაშუშების გამოწვევითი შესწავლის ობიექტი და სამიზნე. ქართველი მეცნიერებები და სამოყნებას საგარეო და საშინაო პრობლემების მოგვარებისას. თავადაც სურდათ სხვა ქვეყნების იდუმალი გეგმების შეტყობა. სამწუხაროდ, მრავალ მიზეზთა გამო, სურვილი, შესაძლებლობები და შედეგები არ ემთხვეოდა ყოველთვის ერთმანეთს.

ამიტომ, ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის წარსული, ვისწავლოთ სხვის და ჩვენ ძველ შეცდომებზე, ნიშნავს ვიყოთ ძლიერი და გვერდეს მერმისი.

საქართველოში მსტოვრობის შესახებ ისტორიული ნარკვევების - “შსტოვრობის ისტორია საქართველოში” - პირველი წიგნი ძირითადად ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი აყვავების და დიდების ანუ დავით აღმაშენებელის და თამარის მეფობის პერიოდს ეხება.

ვიმედოვნებთ, რომ წიგნი ცხოველ ინტერესს აღძრავს, როგორც პროფესიონალთა წრეში, ისე ფართო საზოგადოებაში.

ISBN 978-9941-0-1333-1 (ყველა ნაწილის)

ISBN 978-9941-0-1334-8 (პირველი ნაწილის)



საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო
 სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო ქავშირი
 „საზოგადოება ცოდნა“

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
გირბლის

“ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამას სცნობდი, თუ რა სარგებელი პოვის ამათ მიერ, რამეთუ არა თუ ცუდად რაღმე და განსაკითხავად საგიობელთა საქმეთად, ანუ საკიცხელად ვიეთთავისიმე იქმოდის. ნუ იყოფინ ესე, წარვედ.

არამედ დიდი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართა ამით, და მრავალთა კეთილთა მიზეზ იქმნა ესე . . . “ ასე აფასებს დავით აღმაშენებლის უცნობი ისტორიკოსი მეფის თაოსნობით მსტოვართა მწყობრი სამსახურის ჩამოყალიბების და მისი გამართული საქმიანობის მნიშვნელობას ქართული სახელმწიფოსთვის. ამ შეკრიბის ერთგული მიმდევარია წინამდებარე სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევის ავტორი პროფესორი ბ. ალადაშვილი, რომელიც არაერთი სირთულის მიუხედავად, მსტოვრობის ისტორიას საქართველოში მეტად საინტერესოდ წარმოადგენს.

თავშივე უნდა ითქვას, რომ ამ საკითხზე წერისას უმთავრესი დაბრკოლება საისტორიო წერილობითი წყაროების სიმწირეა. ამას ბევრ მიზეზთან ერთად უდაოდ ისიც განაპირობებდა, რომ საიდუმლო სამსახურის სპეციალიური საქმიანობა, ერთი მხრივ, მთლად ღია ვერ იქნებოდა ქართველი მემატიანეთათვის და, მეორე მხრივ, თავიაანთ ოფიციალურ საისტორიო თხზულებებში არც ისინი იქნებოდნენ მკითხველთათვის ბოლომდე გახსნილნი. .

პროფესორმა ბ. ალადაშვილმა შესანიშნავად გაართვა თავი ამ პრობლემას. მრავალწლიანი პროფესიული საქმიანობით მიღებული გამოცდილება, წერილობითი წყაროებისა და მკვლევარისტორიკოსთა ნაშრომების სათანადო ცოდნა და ღრმა განსწავლულობა ავტორს საშუალებას აძლევს მემატიანეთა ლაპონურ თხრობაში, მარცვალ-მარცვალ მოპოვებულ ცნობებისა და ცალკეული ისტორიული მოვლენების შედეგების ანალიზის საფუძვლზე, მკითხველს მსტოვარ-აქტავთა სახები და მათი მეშვემწურონელთა მიზნები დაანახოს.



სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი “შსტოვრობის ისტორია საქართველოში” კარგი ქართულითა დაწერილი და შესახილული იკითხება. ავტორს აშკარად უჭრის კალამი, რაც ესოდენ აუცილებელია ამ ჟანრის თხზულებისათვის და ღირსებას მატებს მას.

წიგნის გაცნობისას რჩება შთაბეჭდილება, რომ პროფესორი ბ. ალაძამვილი დიალოგში ჩართვას სთავაზობს მკითხველს. მისი მსჯელობა არამც და არამც არ არის იმის მცდელობა, რომ ვინმეს თავს მოახვიოს საკუთარი აზრი. მკითხველიც თავისუფლად მიჰყვება ავტორისეულ თხრობას და ეს იმის მიუხედავად, იზიარებს თუ არა იგი ნაშრომში გამოთქმულ ამა თუ იმ მოსაზრებას. ამიტომაც მგონია, რომ “შსტოვრობის ისტორია საქართველოში” ცხოველ ინტერესს აღძრავს როგორც პროფესიონალთა წრეში, ისე ფართო საზოგადოებაში.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვალერი ვაშაკიძე

XXI საუკუნე თანდათან ძლიერდება და მკვიდრდება. კაცობრიობა უსწრაფეს ტემპში ცხოვრობს და მუშაობს. ადამიანები ლამის მანქანა-შემსრულებლებად იქცნენ. მეტწილად ცინიკოსები და ტექნოკრატები იმარჯვებენ და აღიან უმაღლეს საფეხურებზე. ისინი უფრო პრაგმატულად უდგებიან სამშობლოს ერთგულებას და პატრიოტიზმს. სამწუხაროდ პირადი კეთილდღეობისადმი მონობა ქვეყნისადმი თავდადებას ჩრდილავს. საქართველოს ოფიციალური დამოუკიდებლობის მთელ განვლილ პერიოდში ანუ 1991 წლის დასაწყისიდან დღემდე, ქვეყნის ღალატი და სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა ბიზნესად იქცა – თუ კარგი და სარფიანი წინადადებაა - ერთი წყება ხალხი ყველაფერზე თანახმა იყო და არის.

დავით აღმაშენებლის მემატიანის ათასი წლის წინ ნათქვამი სიტყვები დღესაც საჭიროობოდა: “ნათესავი ქართველთა . . . რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსვენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა . . .”

ყველაფერი სათავიდან იწყება. მსტოვრობის ისტორიის დასაწყისი კი მითებიდან და ლეგენდებიდან მოდის. უამთა სიავეს გადარჩენილი ისტორიული ფოლიანტები და სიგელ-გუჯრები უფრო ამყარებენ ჩვენს მსჯელობასა და ვარაუდებს.

საქართველო ოდითგან იყო მტერ-მოყვარეთა მზვერავ-ჯაშუშების გამოწვლითი შესწავლის ობიექტი და სამიზნე. ამიტომაც ღიად თუ ფარულად:

- სწავლობდნენ ქართველი ხალხის ძლიერ და სუსტ შეარებს, ადათ-ჩვევებს (მაგ. თემურ-ლენგმა და შაპ-აბასმა რომ შეიტყვეს, ეს დაუმორჩილებელი ქართველები ოდითგან ღვინის და ხილის გარეშე პურს არ ტეხნო, მსწრაფლ ვენახების და ბაღების გაკაფვა-განადგურება უბრძანეს ჯარს. ამ გზით ქართველების ბრძოლისუნარიანობის დასუსტების იმედი ჰქონდათ მტარვალებს);

- იკვლევდნენ საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალსა (შაპ-აბასმა კახეთში თუთის ხეები გააკაფინა – აბრეშუმს ვეღარ



დაამზადებენ და სპარსეთის მეაბრეშუმეობას მძლავრი მეტოქე მოაკლდებაო) და წიაღისეულ სიმდიდრეებს (1800 წელს ამ მეტოქე იმპერიის ჯაშუშმა და იმავდროულად ქიმიკოს-მინეროლოგმა აპოლოს მუსინ-პუშკინმა, საქართველოს წიაღისეულის შესწავლის შემდეგ, იმპერატორ პავლე I “ნაყოფიერი და ყველაფრით მდიდარი” ქვეყნის შეძენა-შემოერთება ურჩია და თან გესლიანად დასძინა – ამჟამად ეს ფრიად ადვილი და იაფიაო);

- ადგენდნენ საქართველოს გზებისა და უღელტეხილების დაწვრილებით რუკებს (ვახუშტი ბატონიშვილმა XVIII საუკუნის შუა წლებში, რუსეთის ხელისუფლების დაფინანსებით, შექმნა საქართველოსა და კავკასიის ზუსტი რუკები, რამაც შემდგომში რუსეთის იმპერიას მეტად გაუადვილა ამ რეგიონის დაპყრობის მზაკვრული გეგმების აღსრულება);

- შეფარვით ზევრავდნენ სამხედრო ფორტიფიკაციებს – ციხე-ქალაქებს, ციხესიმაგრეებს, გალავნებსა და ცად აზიდულ კოშკებს, მათზე იოლად მისასვლელ ბილიკებსა და გვირაბებს (XV-XVIII საუკუნეებში რუსეთის ელჩ-რეზიდენტები დაწვრილებით აღწერდნენ საქართველოს ფორტიფიკაციებს და მათ ზუსტ ნახაზებს ადგენდნენ).

ყოველივე ამის შესასწავლ-დასაზევრად სპეციალური დავალებით აგზავნიდნენ ვაჭრებს, ექიმებს, მოგზაურებს, მღვდელ-მისიონერებს, პილიგრიმებს და ელჩ-დი პლომატებს.

ქართველი მუზენიც ცდილობდნენ მსტორების გამოყენებას საგარეო და საშინაო პრობლემების მოგვარებისას. თავადაც სურდათ სხვა ქვეყნების იდუმალი გეგმების შეტყობა. სამწუხაროდ, მრავალ მიზეზთა გამო, სურვილი, შესაძლებლობები და შედეგები არ ემთხვეოდა ყოველთვის ერთმანეთს.

ამ ყველაფრის, დღევანდელი გადასახედიდან, სახელად პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაზევრვას უწოდებენ. მათი ტექნიკური და სამხედრო დაზევრვა, რომელიც ომისწინა პერიოდისა და თავად ბრძოლების განუყოფელი ატრიბუტია. საქართველოს მეფენი წმირად გამზდარან მოწინააღმდეგის სტრატეგიული და



ოპერატორული სამხედრო დაზვერვის შსხვერაპლნი, თავადაც ბეჭედი ბრძოლა მოუგიათ მამაცი და თავდადებული მსტოვრების დროულადად მოპოვებული ცნობების ხარჯზე (თუნდაც დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის მიერ მოგებული ბრძოლები გავიხსენოთ, როცა ქართველთ ლაშქარი მსტოვრების წყალობით “უგრძეულად” ესხმოდა თავს მტერს).

კოლხთა მეფე აიეტიდან მოყოლებული, ვახტანგ გორგასალი, გორგი I, დავით აღმაშენებელი, გიორგი III, თამარ მეფე, ვახტანგ VI, თეიმირაზ II, ერკლე II და ბოლოს, გიორგი XIII – უცხო თუ შინაური მსტოვარ-ჯაშუშებით იყვნენ გარშემორტყმულნი. თავადაც მოუჩენდნენ ხოლმე მსტოვრებს ურჩ დიდგვაროვანებსა და თავადებს. ქვეყნის საჭიროებისა გამო ფარული დავალებებით თვითონაც მიავლენდნენ საბერძნეთს, რომს, სკარსეთს, ბიზანტიას, თურქეთსა და რუსეთს ერთგულ მზვერავებს. ასე რომ, საქართველოში უძველესი დროიდან საშინაო და საგარეო პოლიტიკურ დაზვერვას შეძლებისდაგვარი ფურადლება ეკცევდა. ოშა და ბრძოლას დაზვერვა რომ იგებს, ესეც კარგად სცოდნიათ ჩვენ დიდ წინაპრებს. ამიტომ სამხედრო დაზვერვაც მეტ-ნაკლები წარმატებით ვითარდებოდა ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებებს უცხო ქვეყნის ჯაშუშები მარტო ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე როდი აწარმოებდნენ. კონსტანტინოპოლი, თეირანი, მოსკოვი, პეტერბურგი, ასტრახანი – სხვადასხვა დროს ანტიქართული სადაზვერვო საქმიანობის ცენტრები იყო. რუსეთში საქართველოს ელჩის გარსევან ჭავჭავაძის მიმოწერა ერკლე II-სთან ადრესატზე ადრე რუსეთის დაზვერვისთვის ხდებოდა ცნობილი. საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ ჯაშუშ-აეშავების ბოროტი ზრახვანი და ქმედებანი 1801 წლიდან უფრო გაძლიერდა და პიკს თითქმის ორასი წლის შემდეგ, 1991 წლისთვის მიაღწია. ათასწლეულების განმავლობაში ნადგურდებოდა და “ისრებოდა” ჩვენი ქვეყანა და ერთ. ამიტომ, ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის წარსული, ვისწავლოთ სხვისსა და ჩვენ ძველ შეცდომებზე, ნიშნავს ვიყოთ ძლიერი და გვქონდეს მერმისი.



ეს ყველაფერი ისტორიაა, ჩვენი ისტორია უმთა სიცემს გადა
ჯერ კიდევ ბოლომდე ამოუცნობი და შეუსწავლელი.

უცხო ჯაშუშ-აეშაგთა “ხლართვანი”, რა თქმა უნდა, დღესაც
გრძელდება. ამიტომ მსტოვრობის ისტორიის ცოდნა ნამდვილად
წაადგება ჩვენი სპეცსამსახურების ახალგაზრდა თაობას და ყველა
დაინტერესებულ პირს.

საქართველოს ისტორიის შესახებ შემორჩენილი წერილობითი
წყაროების სიმცირე და მათი გადმოცემის ლაკონური წესი, უზომოდ
ართულებს მსტოვრობის საკმაოდ სპეციფიური თემის კვლევას. ჩვენი მიზანია მაქსიმალურად ობიექტურად მოგითხოთ
საქართველოში მსტოვრობის ინსტიტუტის განვითარების შესახებ
უძველესი დროიდან დღემდე. ივანე ჯავახიშვილი ცამდე მართალი
იყო, როცა აღნიშნავდა:

“. . ადვილად წასაკითხი და ლამაზი, დაუსაბუთებელი
თეორიებისა და დებულების წამოყენებას, ვფიქრობ, რომ ყოველმხრივ
დასაბუთებული ისტორიის წერა სჯობია”.

კონსტანტინე გამსახურდია კი წერდა: “. . წარსულის ასახვაში
დიდი ზომიერებაა საჭირო. ყოველ ერს უთუოდ ვნებს როგორც
გულის აყრა და ნიპილიზმი წარსულის მიმართ, აგრეთვე . . .
ბუმბერაზობის მანია”.

ცნობების სიმწირის გამო, ხშირად მემატიანეთა ლაკონური
თხრობის და, რაც მთავარია, ცალკეული ისტორიული მოვლენის
შედეგების მიღმა უნდა დავინახოთ მსტოვარ-აეშაგთა და ჯაშუშთა
სახეები და საქმეები, მათი მგეშავ-მწურთნელთა მიზნები.

საქართველოში მსტოვრობის შესახებ ისტორიული
ნარკვენების პირველ ნაწილს ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი აყვავების
და დიდების დასაწყისიდან ანუ დავით აღმაშენებელის მეფობის
პერიოდიდან ვიწყებთ (თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უყერადღებოდ
დავტოვებთ XI საუკუნემდე პერიოდს – მას შემდგომ
მიუუბრუნდებით), რადგან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიძლიერის
სხვა მახასიათებლებთან ერთად, დიდად სავარაუდოა, რომ მზევრავ-
მსტოვრობის ინსტიტუტის მეტ-ნაკლებად ხეირიან მოწყობასაც
მაშინ ჩაეყარა საფუძველი.



დავით IV-ს მეფობის ამსახველი უცნობი მემატიანის “ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი” ერთადერთი სანდო ქართული და ქართული წყაროა. ეს თხზულება ისტორიულ-წყაროთმცოდნებითი კუთხით ქართველ ისტორიკოსთა არაურთმა თაობაში შეისწავლა. სწორედ მათი გამოკვლევები დაგვეხმარება იმაში, რომ მარცვალ-მარცვალ ამოვკრიფოთ და გავაანალიზოთ მემატიანის ძუნწ სტრიქონებს შორის ალაგ-ალაგ მიმობნეული შეტოვართა საქმიანობის ამსახველი უნიკალური ცნობები.

ამასთან ერთად, არც კონსტანტინე გამსახურდიას, ლევან სანიკომის და სხვა ქართველ და უცხოელ შემოქმედთა სამეცნიერო-პოპულარულ თუ მხატვრულ ნაწარმოებებს დავტოვებთ უყურადღებოდ. ისიც უნდა ავლიშოთ, რომ ისტორიული თარიღების მითითებისას უპირველესად ვეყრდნობით “საქართველოს ისტორიის ნარკვების” რვატომეულს და ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებს.

უწინარეს კი ტერმინთა განმარტება:

- ”შეტოვარი - ესე არს აეშაგი მომხილველი ქვეყანასა, გინა მტერთა ლაშქართა და ეგევითარცა უცნაურად. აეშაგი ესე არს, რა კაცი ვინმე გაგზავნო ქვეყანათა გასასინჯველად, ანუ მტერთა ლაშქართა და ეგევითარცა უცნაურად” [1.522].

- “მზირი - ყაზახი, გინა მსტოვარი. .. გინა ჯაშუში”. [1.473].

- “ჯაშუში სხვათა ენაა, ქართულად მსტოვარი და აეშაგი ჰქვიან”. [2.452].

თავი I. მსტომობა დავით აღმაშენებლის ზეობის ღრმული

საქართველოს მდგომარეობა დავით IV-ის გამეფების წინ

1089 წელი იდგა, როცა მეფე გიორგი II-მ საკუთარი ნებით დაადგა გვირგვინი ჭაბუკ დავითს. ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობა გიორგი მეფის ამ ნაბიჯს ერთადერთ ჭკვიანურ გადაწყვეტილებად თვლის მისი მეფობის მანძილზე. ძალზე მძიმე შეფასებაა, განკითხვის ტოლფასი. სამწუხაროდ გიორგის მეფობის 17 წელმა ისე ჩაიქროლა ბრძოლა-ნადიმობა-ნადირობებში რომ, ამ პერიოდის მკვლევარებს ხელთ მხოლოდ ქვეყნის მძიმე მდგომარეობის ამსახველი ისტორიული ფაქტებიდა შერჩათ. ხოლო მეფის, ხშირად მართლაც გასაოცარ-გასაკვირი გადაწყვეტილებების დედა-აზრის ამხსნელმა უტყუარმა ცნობებმა ჩვენამდე არ მოაღწია. ფრიად სამწუხაროა რომ, ამ შემთხვევაში, გიორგი II-ს მეფობის შედეგების შეფასებისას ისტორიკოსთა ვარაუდებმა და მოსაზრებებმა ისტორიული წყაროები შეცვალა. . .

ქვეყნა კი მართლაც მძიმე დღეში მყოფი მიიღო ჭაბუკმა მეფემ. თურქი დაუსჯელად დათარეშობდნენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს. შემოდგომის მიწურულს, დედა-ბუდიანად აყრილები, საქართველოს შუაგულს მოაწყდებოდნენ და გაჩიანის, ავჭალისა და დიღმის ბარაქიან ჭალებში ბანაკდებოდნენ გამოსაზამთრებლად. “დიდი თურქობის” შედეგად მემატიანის სიტყვებით: “და არა იყო მათ უამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქვეყანა და ტყედ გარდაიქცა და ნაცვლად კაცთა მხეცნა და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მასა შინა”. გაიძარცვა და გაპარტახდა ეკლესია-მონასტრები, თურქები არ ინდობდნენ არც მოხუცს, არც ქალს, არც ბავშვს.

დიდგვაროვანი ფეოდალები გიორგი II-ს არად ავდებდნენ და საკუთარ მამულებში თავად ენებათ მეფობა. ერთი წლის მანძილზე სამჯერ უღალატა მეფეს ივანე ლიპარიტის ძე ბალუაშვილი, კლდეკარის



პატრონმა. სამჯერვე აპატია მიმნდობმა გიორგიმ. უფრო მეტყედოულები ბრძოლაში დამარცხებულ მოღალატე ფეოდალებს კი არ სჯახდა, არამედ უხვადაც აჯილდოვებდა. აღსართან კახთა მეფემ, სამეფოს შენარჩუნების იმჯდად, ქრისტიანობა უარყო, მუსულმანობა მიიღო, კახლა სულთან მალიქ-შაჰს და ასე შეინარჩუნა ტახტი.

ამის შემყურე არაგვის ერისთავი ძაგან აბულეთის ძეც განუდგა გიორგი მეფეს და აღსართანს მიემზრო. შინააშლილობა აძაბუნებდა სახელმწიფოს. გიორგი II-მ ვერ შეძლო ერთიანი სახელისუფლებო სტრუქტურების – ერთიანი ჯარისა და მსტოვარ-მზეერავების ერთგული გუნდის შექმნა. დიდგვაროვნებს საკუთარი ლაშქარი გამოყავდათ ბრძოლის ველზე და მხოლოდ მათზე იყო დამოკიდებული თუ საით მიმართავდნენ სამშედრო ძალას. თუ დიდგვაროვანი განდგომილი იყო, მეფეს კი არ მიახმარდა ჯარს, პირიქით, მის წინააღმდეგ იბრძოლებდა. ამიტომ იყო, რომ სამშერივ გლევჯდნენ საქართველოს თავგასული ფეოდალები: კახეთ-ჰერეთიდან აღსართან მეფე იბლვირებოდა გაბანჯგლული წარბებიდან; თრიალეთი ხომ ოდითგან “კრაზანების ბუდე” იყო – ივანე და ლი პარიტ ბაღუაშ ორბელიანებს და მათ საგვარეულოს სისხლში მოსდგამდა ღალატი და განდგომა. თუ ქართველები არ ინდობდნენ საქართველოს, თბილისის ამირას რაღა მოეთხოვებოდა? მაპმადიანობის ბუდედ და თურქ-სელჯუკ ჯაშუშთა თავშესაფრად ქცეულიყო მაშინ თბილისი.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაშიც არ იყო ყველაფერი რიგზე.

დავითის გამეფების პერიოდში ეკლესიის მესვეურნი დიდგვაროვან აზნაურთა წრიდან იყვნენ და ივანე ჯავახიშვილის სიტყვები რომ მოვიშველიოთ: “ამიტომაც ზოგიერთი მათგანნი მეფე-აზნაურთა შორის ამტყდარი უთანხმოების დროს საიდუმლოდ, თუ დაუფარავად, სწორედ ამ ურჩ და მოღალატე დიდგვარიან აზნაურ ხელისუფლებს უჭერდნენ მხარს”.

მტრის ჯაშუშები დაუსჯელად მოქმედებდნენ. იმრავლა ღალატმა ქართველთ შორისაც. ისტორიული ფაქტები მეტყველებენ, რომ გიორგის მეფობის პერიოდში მისი მზეერავ-მსტოვრების სიძაბუნე მართლაც, რომ უსაზღვრო იყო.

გარდა იმისა რომ, მეფის მსტოვრები დიდგვაროვანი უკავშირის უძლებელების ზრახვებს ვერ იტყობდნენ დროულად დაშქრის შემოტევასაც მძინარე-დაბანგულებივთ ხვდებოდნენ! ამის დასტურად ერთ-ერთი ასეთი ისტორიული ფაქტი შეგვიძლია გავიხსენოთ.

გიორგი სამი-ოთხი წლის გამეფებული იყო, ყველის ციხეს იდგა, როცა აპმად ამირას მეთაურობით თურქთა ლაშქარი, მოლალატე ქართველების მიერ გზანასწავლი, “უგრინეულად” დაესხა თავს. მანამდე თურქებმა ქალაქი კარი აიღეს და მერე შემოუტიეს ყველის ციხეს. მეფისა და მისი მსტოვრებისთვის ეს გაათკეცებული უურადღებისა და საბრძოლო მზადყოფნის ნიშანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირიქით კი მოხდა: “აოტეს გიორგი მეფე და სპა მისი”. მტერს დიდძალი ტყვე და ქონება ჩაუვარდა ხელში, თავად მეფემ კი აფხაზეთს შეაფარა თავი.

ახლაც კი, უმწეობისაგან გააფთრებულს არ შეიძლება არ აღგმოხდეს: სად იყვნენ მეფის მსტოვრები? სად იყვნენ “მენაპირენი”? სად იყვნენ ციხის მზირები?

გიორგი მეფის ლაშქარში ძაბალი სამხედრო დისციპლინა ყოფილა. მემატიანე მოგვითხრობს, რომ: “საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღმერთისა” და სხვა მრავალი “უწესოება” ყოფილა ლაშქარში გავრცელებული.

თითქოს ეს უბედურებები არ კმარიდაო და 1088-1089 წლებში საშინელმა მიწისძვრებმა დაანგრია და მოსრა ქვეყანა. მემატიანის სიტყვებით: “რამეთუ მეფე იქმნა დავით, მონხრებულ იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა”.

ასეთ დროს და ამ პირობებში გამეფდა დავითი. ის თავად ხედავდა მამამისის მეფობის სუსტ მხარეებს და ქვეყანაში დაგროვილ პრიბლებებს. მათ შორის კი ერთ-ერთი უმთავრესი მსტოვრობის საქმის სისუსტე იყო.

მსტოვრობის საქმე დავით აღმაშენებლის მეფობის პირველ პერიოდში



დასაწყისი ყველა საქმისა როლია, მით უფრო 16 წლის ყმაწვილის მეფობა შიდა და გარე მტრებით გარემოცულ საქართველოში. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები მძიმე და აღრეულ ტვირთად დაწვა ჭაბუკ მეფეს. რამდენიმე მიმართულებით უხდებოდა ერთდროულად ბრძოლა. ამ ყველაფერს ისიც ართულებდა, რომ დავითს ჯერ არ ჰყავდა სანდო და დროული ინფორმაციის შექმრებ-მიმწოდებლები. ინფორმაცია კი ყველა დროში ხომ ყველაზე მთავარი და ძვირფასი მონაპოვარია?

ამიტომ ლოგიკურად დავით IV-ს ჯერ მსტოვარ-მზვერავთა ერთგული გუნდი უნდა შეეკრა და მერე შესდგომოდა თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ დიდი ბრძოლების დაწყებას, დიდგვაროვანი ფეოდალების მორვულებას, საკელესიო რეფორმების ჩატარებას, სახელმწიფოს მართვის სტრუქტურის სრულყოფასა და ერთიანი ჯარის შექმნას.

სავარაუდოა, რომ თავდაპირველად მეფის მზვერავთა გუნდი მისი ერთგული ქვეშევრდომების ახალგაზრდა თაობისგან შედგა. ამას ის გარემოებაც აღსატურებს, რომ დავითის მეფობის პირველ ათწლეულში მზვერავთა გუნდს წარმატებებთან ერთად, ხელიც ბევრჯერ მოეცარა, რაც გამოუცდელობას უნდა მივაწეროთ. შემდგომ განვითარებულმა ისტორიულმა მოვლენებმა დამტკიცა, რომ მსტოვარობის გაძლიერება და განვითარება დავით მეფის დიდი ჩანაფიქრი და მისი რეფორმების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა. ამაზე დავითის მემატიანე ცალკე და პირდაპირ არსად უთითებს, თუმცა იმდროინდელ მოვლენებში თვალნათლივ ჩანს ძალზე სერიოზული სახელმწიფო მიზგომა ამ საქმისადმი. საინტერესოა, რომ XX სუკუნეში მსტოვართა თემატიკის ანალიზისას განსაკუთრებით ფრთხილობდნენ ქართველი ისტორიკოსი და მწერალნი. გასაკვირი არცაა, რადგან მეოცე საუკუნის იმ პერიოდში, საბჭოთა იმპერიის პირობებში მსტოვარ-ჯაშუშების თემა ტაბუდადებული იყო, რადგან კომუნისტურ დიქტატურას არასასურველი პარალელების ეშინოდა.



თუ გავთვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გიორგი II სერიოზულად არ ეკიდებოდა მსტოვართა ძალას, დავითე I შეს ქს საქმე თავიდან უნდა დაეწყო და მისი მეფობის პირველი ათწლეულის მთავარი დევიზი - “ყველგან მსტოვრები” - უნდა გამხდარიყო. ამ მიმართულებით პირველი წარმატება კლდეკარის ერისთავის ლიპარიტის გარემოცვაში მსტოვარ-მზირთა შეგზავნა იყო.

დავით IV ერთიანი ცენტრალური მმართველობის დამყარებას ისახავდა მიზნად. ამ საქმეში კი დიდგვაროვანი ფეოდალების, უპირველესად მათგან ყველაზე ძლიერი და მზაკვარი ლიპარიტ IV კლდეკარის ბალუაშთა დინასტიის მეთაურის, შეუპოვარი წინააღმდეგობა იყო მოსალოდნელი. ამიტომ უპირველესი ამოცანა ლიპარიტის გარემოცვაში მსტოვარ-მზირთა შეგზავნა იყო.

დავითის გამეფების პირველ-ორ წელს კლდეკარის ერისთავი მოჩვენებით ერთგულებას იჩენდა. მაგრამ დავითმა კარგად იცოდა ამ ფეოდალური საგვარეულოს მოღალატური ბუნება. დავითის ისტორიკოსი ამბობს: “ლიპარიტ ამირამ იწყო მათვე მამა-პაპეულთა კუალთა სლვა” და როცა ეს დავითმა შეიტყო “ინება გაწურთა მისი” – შეიპყრო და დილევში ჩასვა. მემატიანე არ აზუსტებს თუ როგორ შეიტყო დავითმა ლიპარიტის მზაკვრული გეგმები, მაგრამ შექმნილი ისტუციის და მიღებული შედეგის ლოგიკური ანალიზი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ იმ დროს დავითის ლიპარიტის გარემოცვაში უკვე მრავლად ჰყავდა გადაბირებული და “ჩანერგილი” მსტოვრები. ისინი გულმოდგინედ უთვალთვალებდნენ ჭირვეული დიდგვაროვანის მოქმედებებს, მიმოწერას და შეხვედრებს სხვა ქართველ ფეოდალებთან, თურქ ამირებთან, ზერავდნენ მათ ერთობლივ საწვრთნელ და სალაშერო სამშადისს და ეს ცნობები დავითის ერთგულ ხელქვეითებთან მიჰქონდათ. ხაზგასასმელია, რომ დიდგვაროვნების შეირ შეთქმულების მზადების შესახებ მეფისთვის ცნობილი ხდებოდა ადრეულ, ღალატის საწყის ეტაპზე და დაუნდობელი და მკაცრი ზომების მიღების შემდეგ მოსალოდნელი უფრო მძიმე შედეგები დროულად აღიკვეთებოდა.



დავით მეფემ ლიპარიტის პირველად აპატია და არც თანამდებობა ჩამოართვა, მაგრამ მეორე წელს კვლავ ორგულებული რომ შეამჩნია, ჯერ ორი წელი დილეგში ამყოფა, შემდეგ კი ექსორიდაფი ანუ საქართველოდან გააძევა და ბიზანტიაში გაასახლა.

1092 წელს მალიქ-შაპის გარდაცვალების და მისი პირველი ვეზირის ნიზამი ალ-მუდჯის მკვლელობის შემდეგ თურქ-სელჯუკთა სახელმწიფოში დიდი და სისხლისმღვრელი შიდა-პოლიტიკური დაპირისპირება დაიწყო, რაც დროულად გახდა დავით მეფისთვის ცნობილი. გარდა ამისა, მიიღო რა ინფორმაცია პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყების (1096 წ.) და მისი წარმატებების შესახებ, დავით IV-ემ ძალები კარგად გათვალა და 1097 წლიდან სულთანს ხარკის მიცემა შეუწყიტა. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე დავითი, ბუნებრივია, უცხოეთში მყოფი ერთგული მსტოვრების ცნობებს ეყრდნობოდა. საერთაშორისო მდგომარეობის რადიკალურმა ცვლილებებმა, კარგი ამინდი შექმნეს საქართველოსთვისაც. მემატიანე ამ სასიკეთო ამბებს აღფრთოვანებული გვაძლობს: “და შეწვნითა ღმერთისათა მოეშენა ქუყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განიმრავლა სპანი და აღარა მისცა სულტანსა ხარაჯა”.

დავითის “მსტოვართა გუნდი” თანდათან ძლიერდებოდა და ლიპარიტის გაძევების შემდეგ “საშინაო ფრონტზე” კიდევ უფრო დიდი წარმატებით იბრძოდა. დავითის უმთავრესი მიზანი უკვე ნაწილობრივ გაერთიანებული საქართველოს ფარგლებს მიღმა დარჩენილი ქართული მიწების დედა-სამშობლოსთვის შემოერთება-შემომტკიცება იყო. თბილისი და მისი შემოგარენი თურქ-სელჯუკების ბანაკად და “დასასვენებელ ზონად” იყო ქაული. ჰერეთ-კახეთის მეფე კვირიკე კი სრულ დამოუკიდებლობას ლამობდა.

დავითმა გადაწყვიტა ჯერ ჰერეთ-კახეთით დაეწყო. ეს, სტრატეგიული თვალსაზრისით ძალზე გამართლებული გადაწყვეტილება იყო, რადგანაც, ჯერ ერთი, თბილისზე ლაშქრობის წინ ზურგი დაცული ექნებოდა, მეორეც, დინჯი, მაგრამ ბრძოლაში შეუპოვარი კახ-ქიზიფ-ჰერეთელები საქართველოს ერთიან ლაშქარს



შეავსებდნენ, მესამე- ქვეყნის ხაზინა შეივსებოდა საქართველოს ძირ-ძველი და მდიდარი კუთხის მოსავლითა და ჭირზახულის და ბოლოს, მეოთხე — კახეთ-ჰერეთის შემოერთებით ობილისის არაბების ბატონობისგან გათავისუფლება გაცილებით გაიოლდებოდა.

1101 წელს დავითმა კვირიკე კახთა მეფეს ზედაზნის ციხე წართვა, მაგრამ შემდგომ ძმათა შორის სისხლის ღვრას მოერიდა, ლაშქარი უკან გამოაბრუნა და საქართველოს ამ კუთხის უსისხლოდ შემოერთება უფრო მოქნილი ხერხით — მსტოურებისა და ერთგული აზნაურების დახმარებით ჩაიფიქრა.

მანამ კი სხვა, არანაკლებ საჭირბოროტო სატკივარი უნდა მოეგვარებინა დავითს. ეს ქართული ეკლესიის რეფორმირება იყო. თოთხმეტწლიანი მეფების შემდეგ, კიდევ უფრო დაბრძებული დავით IV დარწმუნდა, რომ შინააშლილობის და დიდგვაროვანთა შუდმივი ორგულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმდროინდელ ეკლესიაში გაბატონებული უწესობა იყო. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამდე, რომელიც 1103 წელს შედგა, ქართულ ეკლესიაში ისევ გიორგი II-ის დროინდელი “უკუნითი” ბატონობდა. მემატიანის შეფასებით, “... წმინდა ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქვაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი. . . ”. მაშინ დადგენილი წესით უმაღლესი საკულესიო თანამდებობები არა პიროვნული ღირსების და დამსახურების გამო, არამედ მემკვიდრეობითი ნიშნის მიხედვით ნაწილდებოდა. ეკლესია ზოგიერთი ორგული დიდგვაროვანის ხელში აღმოჩნდა და მათ მთავარ დასაყრდენად იყო ცეცული. ისინი კი ყოველგვარი ხრისტიან ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მეფის ერთპიროვნული ხელისუფლების გაძლიერებისა და ქვეყნის გაერთიანებისთვის.

დავით მეფემ ამ “სახლნი ღმრთისანის” “ავაზაკთაგან” გაწმენდა გადაწყვიტა.

საყურადღებოა, რომ მან მრავალი წელი შეალია უღირს ეპისკოპოსთა გადაყენებისთვის აუცილებელი ღონისძიებების მომზადებას. მემატიანის ამ სიტყვებიდანაც - “მრავალი დღე



გამოწულილებითა ფრიადითა კეთილად გამოიძეს”, ჩანს, რომ დავით მეფეს ბევრი დრო და ხერხი დასჭირდა მისთვის ხელსაყრელდართული სიტუაციის შექმნისა და ეკლესიის ხელმძღვანელობაში საკუთარი მომხრების შერჩევა-დაწინაურებისთვის. ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ კრების მოწვევა “წინასწარ კარგად მოფიქრებული გეგმის მიხედვით და საეკლესიო კრებისთვის ხელმძღვანელთა მარჯვედ შერჩევის” შემდგომ მომხდარა. ლოგიკურია, რომ უღირს მღვდელთმთავართა ცოდვებისა და “ავაზაკობის” გამოსავლენაღარიცხად მეფე უცილობლად მსტოვრებს და აეშაგებს გამოიყენებდა. კონსტანტინე გამსახურდიას რომანში “დავით აღმაშენებელი” მხატვრულად აქვს გადმოცემული თუ როგორ აგროვებდნენ უღირს ეპისკოპოსებზე “კომპრომატებს” მეფის ერთგული მსტოვრები. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ გამოგონილი მოვლენები და პერსონაჟები ძალზე ახლოს არიან ისტორიულ სინამდვილესთან.

რეის-ურბნისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით ის უღირსი მღვდელთმთავარი, რომლებიც დიდგვაროვნების გამო მეტკიდრეობით ფლობდნენ საეკლესიო თანამდებობებს, გადაყენებულ იყენენ და მათ ნაცვლად, შთამომავლობისდა მოუხვდავად, დირსეული და განსწავლული აირჩიეს.

ასე რომ, 1103 წელს დავითმა მნიშვნელოვანი საშინაო “ბრძოლა” მოიგო, რაშიც უცილოდ დიდი იყო მსტოვარ-მოენეთა წვლილი.

კახეთ-პერეთის დაბრუნებისთვისაც კარგად იღვაწეს დავითის მსტოვრებმა და იქაური დიდებულების დაწმუნება-გაღმობირება შეძლეს. მათაც საქართველოს გაერთიანების დიდი საქმე ამჟობინეს, მემატიანის სიტყვებით, “ცუნდრუკი, უსჯულო და უმეცრად უსამართლო” აღსართან მეფის (რომელმაც 1102 წელს გარდაცვლილი ბიძა - კვირიკე მეფე - შეცვალა) საშიახურს. პერთა დიდებულებმა არიშიანმა, ბარამბა და სხვებმა, უეჭველია საქართველოს მეფესთან წინასწარი შეთანხმებით, 1104 წელს კახთა უმეცარი მეფე შეიპყრეს და დავითს მხრებგაკრული მიჰვარეს.

საეპართვილოს
პარლამენტის
ეროვნული
გიგლიონთავა

ამის შემდეგ დავით მეფემ უსისხლოდ და “ნებიერად პლიზვნა ციხენი სიმაგრენი მათნი, მზეებრ მოჰყინა წყალობა ჭედა მკვიდრთა ქვეყნისათა” (დავითის მემატიანე).

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ დავითი მეფელის პირველ პერიოდშივე ზრუნავდა საგარეო და საშინაო პოლიტიკური დაზვერვის შექმნასა და მსტოვრების შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე. ამის დამადასტურებელი წერილობითი ღოკუმენტები ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ მაშინდელი მოვლენების განვითარება ადასტურებს ჩვენ ვარაუდს. ეს მაგალითები, ერთი მხრივ, საგარეო დაზვერვის კარგ მუშაობაზე მეტყველებენ, ხოლო, მეორეს მხრივ, დავით IV-ის მიერ მსტოვრების გამოყენებით შიდა პოლიტიკური სიტუაციების ოსტატურად მართვის ხელოვნებაზე მიგვანიშნებენ.

დავით მეფის მიერ მსტოვრობის საქმის ორგანიზება

დავით მეფე სამართლიანად უნდა ჩაითვალოს იმ დიდ ეროვნულ მოღვაწედ, რომელმაც საქართველოში მსტოვრობის საქმე, მანამდე უყურადღებოდ მიტოვებული, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძლიერ ბერკეტად აქცია.

არც ერთ მის წინამორბედს თუ მემკვიდრეს მსტოვრობისადმი ისეთი ყურადღება არ გამოუჩენია როგორც დავითის. ჭაბუკობაში გამეფებულს ერთბაშად უამრავი საფიქრალ-საზრუნავი დააწვა მხრებზე და ფაქტობრივად შეუსვენებლად უხდებოდა მამის და წინაპრების მიერ დატოვებული პრობლემების გადაჭრა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დავით IV-ის მეფელის მოელ პერიოდში ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და მიღწეულ წარმატებას მსტოვართაგან მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი და რეალიზაცია ედო საფუძვლად.

მსტოვრების ქსელის შექმნა და მისი სტრუქტურა



დავით IV-ს მეფობის ამსახველ ერთადერთ წილში მნიშვნელოვან ქართულ წყაროს, უცნობი მემატიანის “ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი” წარმოადგენს. ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, რომ საქართველოს ისტორიის კორიფეებს წლების მანძილზე დაწვრილებით შეუსწავლიათ ეს თხზულება, კომენტარების და განხილვების ტომები მიუძღვნიათ ამ მცირე ზომის ხელნაწერისთვის. თითოეულ სტრიქონს სასოებით ჩაკირკიტებდნენ მეცნიერნი, იმდენად უნიკალური და ყოვლის მომცველი იყო ეს წყარო. დავით მეფის მიერ გატარებული რეფორმები (სამხედრო, საეკლესიო, ადმინისტრაციული . . .), საქართველოს გამოლიანება და ახალი მიწების შემომატება, ცვლილებები მართლმსაჯულების სფეროში, ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებისათვის ხელშეწყობა და ქალაქების კეთილმოწყობა, ეკლესია-მონასტრების აგება, საავადმყოფოს (“აღაშენა ქსენონნი”) გახსნა – ყველა ეს მოვლენა დაწვრილებითაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. მხოლოდ ერთი თემაა ობლად შემორჩენილი, რომელსაც ჯერ მეცნიერ-მკვლევართა ბასრი კალამი სათანადოდ არ შეხებია – ესაა მსტოვრობის საქმის ორგანიზების თეორიული და პრაქტიკული მხარეების კვლევა. ქართველი ისტორიკოსები და მწერლები მსტოვრარ-ჯაშუშთა საქმიანობის შესახებ ცნობებს ამ ისტორიული წყაროდან იღებდნენ და ყოველთვის აღნიშნავდნენ მსტოვრობის ორლაცა და მნიშვნელობას დავითის ეპოქაში, მაგრამ კლევა მხოლოდ ფაქტების დაფიქსირებით შემოიფარგლებოდა და ამ საკითხის ღრმა შესწავლას რატომდაც აღარ ახდენდნენ. ამიტომაც დავით აღმაშენებლის მიერ მსტოვრობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების, სტრუქტურისა და ხელმძღვანელობის ძირითადი საკითხები ჯერ სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი არ არის.

დავით IV-ის მემატიანე “მსტოვრებს” პირდაპირ სულ ორად-ორჯერ ახსენებს:



პირველად, როცა მეფის ერთ-ერთ სამხედრო-ტაქტიკურ ჩეტნებს და მტრის დეზინფორმაციის მრავალგზის გამოყენებულ შემთხვევას ხსნის (“რამეთუ მოიმსტვარნის მეფემან რომელთა მოსვრა ეგებოდის, და უგრძნობდად დაესხის და მოსწყვიდნის”), ხოლო მეორედ, როცა ოურქ-სელჯუკების ჯაშუმთა აქტიურობას აღწერს (“რამეთუ მათნიცა მსტოვარანი ზედა ადგიან მეფესა და უძებდიან გზათა მისთა”). ყველა სხვა შემთხვევაში, მემატიანის ძუნც სტრიქონებს შორის ალაგ-ალაგ მიმობნეული და შეფარვით გადმოცემული მსტოვართა საქმენი მარცვალ-მარცვალაა ამოსაკრეფი.

მემატიანე მეფის გამგებლობას მიკუთვნებულ სუეროებს საკმაოდ დაწვრილებით ჩამოთვლის. მათგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის საკითხები, რომელთა აღსრულება მსტოვართა გუნდის უტყუარ მონაწილეობას მოითხოვდა. კერძოდ: “. . კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი, განხეთქილობათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მხედართა განწესებანი . . შემცოდეთა წყალობითნი წვრთანი. .”

იმ პერიოდის საქართველოში მსტოვრულ-აგენტურული საქმიანობით მეფის გარდა დაინტერესებული იყვნენ დიდგვაროვნებიც. სადაზვერვო ჯგუფები მათაც ჰყავდათ. ამიტომ მათთან დაპირისპირება დავით მეფისთვის თავიდანვე წამგებიანი იქნებოდა, თუ უფრო ძლიერი “სპეცსამსახურები” – საშინაო და საგარეო პოლიტიკური დაზვერვა, ოპერატორული და სტრატეგიული სამხედრო დაზვერვა, სამხედრო კონტრდაზვერვა და პირადი დაცვა – “მონა-სპა” არ ეყოლებოდა.

ძალზე საფრთხილო იყო გარეშე მტერიც. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, დავით მეფე თურქ-სელჯუკთა ჯაშუმების მუდმივი მეთვალყურეობის ობიექტი იყო. ამიტომ მეფის მსტოვართა გუნდი მართვის მოქნილ სტრუქტურასა და მკაცრ კონტროლს საჭიროებდა.

მემატიანის მიერ გადმოცემული ისტორიული ფაქტების ანალიზი საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ მსტოვართა



ქსელის ჩამოყალიბებისა და თანდათანობითი გაძლიერების პროცესს. “შეტოვართა კვალი” პირველად 1097-1099 შეინიშნულია როცა ახალგაზრდა დავითმა მსტოვრების საშუალებით ურჩი და მოღალატე დიდებულების (უპირველესად ლიპარიტ ამირას) “ოპერატიული დამუშავება” დაიწყო და მათი სრული დამორჩილებით დაამთავრა. სავარაუდოა მსტოვრების მონაწილეობა ლიპარიტის ერთადერთი მექვიდრის, რატის, მოუღლოდნელ სიკვდილშიც, რის შემდეგაც მეფემ მათი სამფლობელო -თრიალეთი და კლდეკარი სამეფო მამულებად აქცია. სელჯუკთა იმპერიის დასუსტება და ჯვაროსნების მიერ 1099 წელს იერუსალიმის აღება დავითის მსტოვრებს არ გამოპარვიათ. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მეფემ მთლიანად შეცვალა საგარეო პოლიტიკა და სამხედრო სტრატეგია. ასევე სავარაუდოა, რომ XII საუკუნის დასაწყისში საეკლესიო რეფორმის მომზადება და “რუს-ურბნისის კრების” გადაწყვეტილებების მიღება მეფის ერთგული მზვერავ-მსტოვრების მონაწილეობის გარეშე არ ჩაივლიდა.

ეს 10-12 წელი მსტოვრების ქსელის შექმნის და გაძლიერების პერიოდად უნდა ჩაითვალოს, ხოლო 1110 წლიდან ანუ სამშილდის ციხის “მოპარვიდან” – დავით აღმაშენებლის გარდაცვალებამდე (1125 წ.) ქართველი მსტოვრები თითქმის უშეცდომოდ მოქმედებდნენ და სრულიად საქართველოს აკონტროლებდნენ, საზღვრებთან მტრებს “დარაჯობდნენ” და სხვა ქვეყნებშიც მოპოვებდნენ სტრატეგიულ ინფორმაციას.

დავითის მეფობის მიწურულს მსტოვრების ქსელით ყოფილა დაფარული მთელი სამეფო. მემატიანე აღნიშნავს, რომ დავით მეფეს, ღალატისა და ორგულობის გამოვლენის ნიჭი, ღმერთისგან ქონდა ბოძებული. ამიტომაც “შიშითა მისითა” ვერც ლაშქარში, ვერც დიდებულებაში, და ვერც სამღვდელოებაში ვერავინ გაივლებდა გულში ღალატსო. უფრო მეტიც, სახლშიც კი – ცოლ-შვილთანაც, ვერავინ ბედავდა მეფეზე აუგის თქმას. ხოლო ვინც ღალატის გზას დაადგა, (თუნდაც ლიპარიტ და რატი ბაღუაშები, ან სხვა დიდებულები) დავითმა ადრევე შეიტყო და ისინი “განპატიჟებულნი” (დასჯილნი) იქნენ. მემატიანე ყველას ურჩევდა:



“ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესმაჟურაშვილი ამას სცნობდი, თუ რა სარგებელი პოვის ამათ მიერ [3.224], შემდეგ კი ასკვიდა – ეს საქმე (ანუ მსტოვრობა) ცუდ მიზნებისთვის კი არ იყო გამოყენებული: “არამედ დიდი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართონა ამით და მრავალთა კეთილთა მიზეზ იქმნა ესე” (დავითის მემატიანე).

მსტოვრების და მოენების შიშით ქვეყანაში თანდათანობით ისეთი არნახული წესრიგი დამყარებულა, რომ ვერავინ ბედავდა “განდღეკილად სლვად”.

ფაქტობრივად სულ ეს არის მემატიანის ისტორიიდან ამოკრეფილი სტრიქონები, რომლებიც დავითის ეპოქაში მსტოვრობის საქმეს ეხება.

ჩვენს ზელთ არსებული ისტორიული წყაროებით ერთმნიშვნელოვნად არ დასტურდება დავითის მიერ მსტოვართა ცალკე, დამოუკიდებელი, ცენტრალიზებული სტრუქტურის შექმნა. ამის შესახებ დღეისთვის არსებული ყველა მასალა დავითის მემატიანის თხზულების კომენტარები და ინტერპრეტაციაა. ღოკუმენტური სიზუსტით არ დგინდება არც ის პერიოდი, როცა მსტოვართა რაიმე ცენტრალიზებული ორგანიზაცია შეიქმნა და არც ის, თუ ვინ იყო მისი უშუალო ზელმძღვანელი, სამწუხაროდ ასევე უცნობია ქართველი მზვერავების გვარ-სახელებიც.

მთებედავად ამისა, გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ ქართველ ისტორიკოსთა და მწერალთა მიღვომა, რომელიც “ზების მიღმა ტყეს ხედავენ” ანუ დავით მეფის მიერ გატარებული საგარეო და საშინაო პოლიტიკის პორიზონტს მიღმა, კარგად ორგანიზებულ და გაწვრთნილ მსტოვართა ქმედებებს “ლანდავენ”, რის საფუძველზეც მსტოვართა მტკიცე ორგანიზაციის არსებობას ვარაუდობენ.

ამ სპეციფიკურ თემას ყველაზე ადრე დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ჩაუღრმავდა, რომელიც, დავით აღმაშენებლის საშინაო პოლიტიკის ანალიზისას, ხაზს უსვამს რა მეფის მიერ დიდგვაროვან აზნაურთა მზაკვრობის და შეთქმულებების სწრაფი გამოცნობის უნარს და



“ყოვლისმცოდნეობას”, საკმაოდ ირონიულად აღნიშნავს: “რასაკვირველია, ამგვარი გულითმისნობის გამოჩენა მეფეს მხოლოდ ჯაშუშთა დახმარებით შეეძლო. ეტყობა დავით აღმაშენებელს ჯაშუშები ყოლია: ამ შერივ სელჯუკიანთა შაპების და კეისრების ჩვეულებას აყოლია. ჯაშუშების დახმარებით მეფე სპობდა “ორგულობასა და ზაკვასა და ღალატს” [4.107].

გამოჩენილ ქართველ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას მიაჩნდა, რომ მსტოვართა ინსტიტუტი დავითმა გამეფებიდან საკმაოდ მაღლ შექმნა: “დავით მეფის ცხოვრებაში ეს იყო პერიოდი (საუბარია 1092-1098 წწ. – ბ.ა.) . . . მისი პოლიტიკური და სამხედრო სამზადისის, მსტოვართა ინსტიტუტის დაარსებისა, შინაგან მტრებთან ბრძოლისა, გარე სამყაროში მომხდარ დიდ პოლიტიკურ მოვლენათათვის თვალყურის დევნებისა”. [5.539].

დავითის მეფობის პერიოდში სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურის ოპტიმიზაციის შეგავს პრეცენდენტებს ვწვდებით, როცა დავითის გადაწყვეტილებით უზენაესი სასამართლოს საგანგებო დაწესებულება შეიქმნა. ამიტომ ისტორიკოსთა და მწერალთა ვარაუდი იმის შესახებ რომ, მსტოვართა საქმეების გაძლიერდისათვის დავით მეფის მიერ შექმნილი იყო და მოქმედებდა სპეციალური დაწესებულება ან სამსახური, სავსებით მისაღებია.

ვინ ხელმძღვანელობდა ქართველ მსტოვრებს?

საქართველოს ისტორიაში დავით IV ერთ-ერთი ყველაზე მეოძარი და ენერგიული მეფე იყო. სულ იბრძოდა – ზან თავს იცავდა და ზან იქით უტევდა მტერს. თითქოს სურდა მოესწრო და საქართველო გაერთიანებული, მაქსიმალურად გაფართოებული და გაძლიერებული დაეტოვებინა თავისი შთამომავლობისთვის. ბუნებრივია ლაშქრობებითა და ქვეყნის მართვა-გამგეობით მუდამ დაკავებულ მეფეს, ისეთი სერიოზული საქმისთვის, როგორიც მსტოვართა ყოველდღიური ხელმძღვანელობაა, არ ეცლებოდა. სავაჭროდა, რომ ის, როგორც ქრისტიანული მმართველი, სერთო



სტრატეგიას განსაზღვრავდა, ხოლო მსტოვართა ქსელის უშეალო
საქმიანობას მეფის ყველაზე ერთგული და გამოცდილებოს სულ
ხელმძღვანელობდა. თუ გავითვალისწინებთ ქართველი
ისტორიკოსების აზრს, რომ “მართველობის ცენტრალიზაციის
მიზნით დავით აღმაშენებელმა ძირითადი უწყებები (საშინაო,
ფინანსთა, სამხედრო) გამოყო სხვა დარგებისაგან და ისინი
უშეალოდ მეფის ვაზირს, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს
დაუქვემდებარა” [3.221.], მაშინ, ბუნებრივია, მსტოვართა
გუნდისთვისაც მწიგნობართუხუცესს უნდა ეხელმძღვანელა. იმ
პერიოდში “ვაზირებში უპირველესი” გიორგი ჭყონდიდელ-
მწიგნობართუხუცესი იყო, რომელიც დავითის მემატიანის სიტყვებით:
იყო “კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორციასა,
სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი სვიანი და ფრთხილი
... თანაგამკაფელი ყოველთა გზათა და საქმეთა და ღუაწლთა”.

დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, პატრიოტიზმი და
პირადი ერთგულება იყო ის ძირითადი ნიშან-თვისებები, რითაც
გიორგი მწიგნობართუხუცესი ყვლასგან გამოირჩეოდა. სავარაუდოდ,
ამიტომაც მიანდო დავით მეფემ მას საქმალ დელიკატური მისია
— მსტოვართა ქსელის ორგანიზება და საერთო ხელმძღვანელობა.

მემატიანის მონათხრობიდან ირკვევა, რომ ხშირად პირველი
ვეზირი პირადად გეგმავდა და მონაწილეობდა სპეციალური ციიბში.
ასე იყო მაგალითად, სამშვილდის ციხის “მოპარვის” დროს.

თანდათანობით გიორგი მწიგნობართუხუცესმა შეძლო
მსტოვრების ერთგული გუნდის შემოკრება და “პრობლემურ
სფეროებში” — დღიგვაროვნებში, ლაშქარში, ეკლესია-მონასტრებში,
ვაჭრებში და ა.შ. “ჩანერგვა”. ერთგული მზვერავები გათეზავნა
მეზობელ ქვეყნებშიც, რათა იქ მიმდინარე პოლიტიკური, კონომიკური
და სოციალურის პროცესები (ხელისუფლების სიძლიერე თუ
სისუსტე, განწყობა ლაშქარში, ფორტიფიკაციების და გზების
მდგომარეობა, ვაჭრობის განვითარება და ა.შ) დროულად ყოფილიყო
ცნობილი. მიღებული ინფორმაციის პირველადი ანალიზი და
საპასუხო მოქმედებათა მიზანსახვაც წიგნობართუხუცესს
ევალებოდა. ჩანს, რომ დაუღალავმა შრომამ შედეგი გამოიღო.



გიორგი მწივნობართუხუცეს-ჭყონდიდელის (მაშასადამე ქართველი მისტერიელი) უშუალო მონაწილეობით დავით მეფემ შეძლებული ურჩი დიდებულების დასჯა, საეკლესიო რეფორმების გატარება, მრავალი ბრძოლის მოგება და საერთოდ ქვეყნაში წესრიგის და სიმშვიდის დამყარება.

ჩევნი აზრით დავით IV-ს ზეობის პერიოდში მსტოგართა ქსელის ორგანიზაციული სქემა სავარაუდოდ შემდეგნაირი იყო (იხ. სქემა).


როგორც უკვე აღნიშნეთ, დავით აღმაშენებელის მეფობის პერიოდში დაზვერვის საერთო სტრატეგიის განსაზღვრა-ჩამოყალიბება უცილობლად თავად დავით მეფის პრეროგატივა იყო. მსტოგართა საერთო ხელმძღვანელობას კი გიორგი მწივნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ახორციელებდა.

ისტორიული წყაროების შესწავლის საფუძველზე შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ საქართველოს ერთიან ფეოდალურ მონარქიაში (ე.ი. XI-XV საუკუნეების მანძილზე) მზვერავ-მსტოვრების საქმიანობის ყოველდღიური ხელმძღვანელობა მანდატურთუხუცესს ეკისრებოდა. მანდატურთუხუცესი უფლებრივად ამისპასალარს ანუ საქართველოს ჯარის მხედართმთავარის თანაბარი იყო. მას საქართველოს ყველა გუთხეში მანდატურნი ექვემდებარებოდნენ.

“გარიგება ხელმწიფისა კარისა”-ში ნათქვამია: “მანდატური სამასი სახლი არის ამიერ და იმიერ. ხოლო სამნი აზნაურნი არიან: იკუნკელისძე, შერაქისძე და ჯარნასძე. და სხვა ყველა გლეხია” [6.389].

ამ ისტორიულ წყაროში მანდატურის უუნქციების მხოლოდ ნაწილიდაა (მცველის მოვალეობა, საპატიო სტუმრის ხლება, ზერის მუშაკთა ზედამხედველობა და დამნაშავის დასჯა) შემორჩენილი. საფიქრებელია, რომ დაკარგულ ფურცლებზე მანდატურთუხუცესის უუნქცია-მოვალეობანი უფრო ფართოდ იყო მოცემული.

მართალია ტერმინი “მანდატურთუხუცესი” ქართული ისტორიულ დოკუმენტებში პირველად გიორგი III მეფობის დროს არის მოხსენიებული, მაგრამ ივანე ჯავახიშვილის აზრით:





“საფიქრებელია, რომ ეს ხელისუფლება გიორგი III-ზე კაზაჭიანები შეიძლოთ უწინარესაც უნდა ყოფილიყო ... მანდატურნი საქართველოში უკვე XI საუკუნეში არსებობდნენ” [6.295]. ცოტა ქვემოთ კი აღნიშნავს: “ქართველი მანდატურთუხუცესი . . . სახელმწიფო ფოსტისა და მიმოსვლის მინისტრს მიაგავდა” (6.296).

სიმონ ჯანაშიას აზრით: “მანდატურთუხუცესი, რომელსაც ხელისუფლების ნივთიერ ნიშნად ოქროს კვერთხი ჰქონდა მინიჭებული, იყო სამეფო კარის შინაგან საქმეთა და ფოსტის მინისტრი” [7.156]. თუმცა არც ასეთი “წყნარი” და “შშვიდობიანი” იქნებოდა მანდატურთუხუცესის ფუნქციები.

ჯერ ერთი, მანდატურთა ერთ-ერთი მოვალეობა “მთავრობის სხდომების” დაცვა ყოფილა. მეორეც, სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის ამ ტერმინის შედარებით უფრო სრული განმარტება:

“მანდატური – არს ხელარგოსანი მეფეთა თანა მიღმა მდეგი, რომელთა მიერ წარვლინებითა განიგების ყოველნი. ხოლო მანდატურთუხუცესი – წინაშე მეფისა მდგომელი და მთავარი ხელარგოსანთა და მტარვალი მრისხანე და მტანჯველი. ხოლო მანდატური – კეთილ და სასიხარულო, ხოლო ოდესშე სარის(ს)ხველიცა და არა სისხლის დამთხვევლ, ხოლო მტარვალი არა მესიცოცხლე ხელარგოსანი” [1.434].

“მტარვალი მრისხანე და მტანჯველი” ფოსტის მინისტრი ცოტა მნელი წარმოსადგენია.

მანდატურთუხუცესი, რომ შსტოვართა ინსტიტუტის უშუალო ხელმძღვანელი ყოფილა, ეს ნათლად დასტურდება ქართველისტორიკოსთა მიერ: “სავარაუდებელია, რომ სამეთვალყურეო აპარატი ქვეყნის გარეთაც მოქმედებდა და ხელს უწყობდა დავითის ინფორმირებას მისი მეზობლებისა და მტრების საქმიანობისა და მდგომარეობის შესახებ. ეს სამეთვალყურეო აპარატი შინაგან საქმეთა უწყებაში შედიოდა, რომელსაც სათავეში მანდატურთუხუცესი ედგა” [3. 224].

ამიტომ “მანდატურთუხუცესის” ფუნქციები და მოვალეობანი უპირატესად სამეფო კარზე შეთქმულების გამოვლენაზე, განდგომილი დიდებულების დატყვევებასა და სადაზვერვო-



დივერსიული ოპერაციების დაგეგმვა-შესრულებაზე ყოველწლიური
პირადი პასუხისმგებლობა უნდა ყოფილიყო.

დავით აღმაშენებლის აღმოსავლელი მასწავლებლები

თექვსმეტი წლის ყმაწვილს იმდენი ცხოვრებისეული გამოცდილება ნამდვილად არ ექნებოდა, რომ მარტო, სხვათა რჩევა-დარიგების გარეშე გადაეწყვიტა ის ურთულესი საკითხები, რაც მსტოვრობის ორგანიზებასთან იყო დაკავშირებული. როგორც XI-ე საუკუნის ბოლოს (კერძოდ კი 1089-1097 წლებში) მომხდარი ისტორიული ფაქტები ადასტურებენ, მსტოვრობის საქმი არც გიორგი მწიგნობართუხუცესი ყოფილა თავიდან ღრმად ჩახდული.

დავითის ეპოქის შესწავლისას ქართველი მეცნიერები რატომღაც არ კითხულობდნენ: დავითმა, რომელმაც ქეყანა ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩაიბარა, როგორ შეძლო მსტოვრობის სისტემის შექმნის ურთულესი საქმის წამოწყება და დაგვირგვინება? რამდენად იყენებდა ის მეზობელი ქვეყნების გამოცდილებას? უფრო მეტიც, კომუნისტური მმართველობის პერიოდში გამოცემულ ისტორიულ ნაშრომებში და ისტორიის სახელმძღვანელოებში დავითის მიერ შექმნილი მსტოვარ-ჯაშუმთა მწყობრი სისტემის მნიშვნელობის დაქნინების ანდა შენიდბვის მიზნით, მათ მოქმედებას სახელად “საპოლიციო აპარატის გაძლიერებას” არქევდნენ. სად საპოლიციო აპარატი და სად მზერავ-მსტოვრები? თუმცა, ამგვარი თავის დაზღვევის ფაქტები საბჭოთა დიქტატურის გაფურჩქვნის სანაში იშვიათი არ იყო და დღევანდელი გადასახდიდან სავსებით გასაგებია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მანამდე ქართველი მუჟები დიდად არ იწუხბდნენ თავს ამ საკითხებით, უკველია მსტოვარ-მზერავთა ყოვლისმომცველი ქსელის აუცილებლობა და მნიშვნელობა დავით მეფეს უახლოესი მტერ-მეტოქებისგან და მეზობლებისგან: თურქ-



სელჯუქების ან ბიზანტიულებისგან უნდა შეესწავლა. ივანე ჯაგახიშვილი როცა მსტოვრობის თემას ეხება წერს: “ამგვარი გავაკის სახელგანთქმული ვეზირი ნიზამ-ულ-მულკი თვითონეულ ხელმწიფეს ურჩევდა ჯაშუშები უეჭველად ჰყოლოდა” [4. 212]. თუმცა დიდ მეცნიერს, ზემო აღნიშნული მიზეზების გამო, არ უცდია ამ შედარებას გაცდენოდა და უფრო ღრმა პარალელები მოქმია, ერთი მხრივ, დავითის პერიოდის საქართველოში და, მეორე მხრივ ბიზანტიასა და სპარსეთში მსტოვრობის საქმის ორგანიზების კუთხით.

XI საუკუნეში ბიზანტიის იმპერია საქმაოდ მძიმე დღეში იყო და მისაბამ მაგალითად, მთ უფრო მსტოვრობის საქმეში, ნამდვილად არ გამოდგებოდა. ჩვენი ვარაუდით დავით აღმაშენებელს “მსტოვრობის ხელოვნება” სელჯუკიანთა მმართველებისგან უნდა შეესწავლა.

X-XI საუკუნეებში ისლამურ სამყაროში ორი დიდი მმართველი მოღვაწეობდა, რომლებიც შეიძლება თანამედროვე შპიონაჟის ფუძემდებლადაც კი ჩავთვალოთ. ესენი იყვნენ ადუდ ად-დაულა და ნიზამ აღ-მულქი.

მეათე საუკუნის მეორე ნახევარში სელჯუკიანთა სახალიფო ფაქტობრივად დაიშალა და ჩამოყალიბდა ცალკეული პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც ბალდადის ხალიფას ნომინალურად თუ ემორჩილებოდნენ. იმპერიის ერთ-ერთ ასეთ “ნატეხს” – დასავლეთი ირანს - ბუიდების დინასტია აკონტროლებდა. ამ დინასტიის ყველაზე გამოჩენილმა წევრმა სულთან ადუდ ად-დაულამ (გარდაიცვალა 982 წელს) შეძლო თავისი სამულობელო კასპიის ზღვიდან ომანამდე გაეცართოებინა და თან ისე განავითარა შპიონაჟი, რომ არაბი ისტორიკოსის იბნ აღ-ჯაუზის ცნობით, ეგვიპტეში გადაჩურჩულება ბაღდადში ესმოდა და “ხალხი უკვე თავის ცოლებთან და მონებთან ერიდებოდა დიად საუბარსო” [8.32].

ეს სულთანი სახელმწიფოს მმართველობაში სიახლეების შემოტანით გამოირჩეოდა. მან, მსტოვრობის ყოვლისმომცველი ქსელის შექმნის გარდა, ვეზირად დანიშნა ქრისტიანი (ნასრ იბნ



პარუნი), სახელმწიფო სტრუქტურებიდან გათავისუფლებულ ჩინოვნიკებს უმუშევრობის პერიოდში ხელფასს უნიშნავდა. სოფუთ მუშაობის დაწყების შემდეგ კი გადახდილ თანხას ხელფასიდან უქმითავდა, განაახლა ბრძოლის დროს საომარი სპილოების გამოყვანის ძველი ტრადიცია, შექმნა იმ დროისათვის უძღვიდორესი ბიბლიოთეკა, აფინანსებდა მეცნიერებს, მწერლებსა და პოეტებს. მეცნიერებისა და წიგნის დიდი თაყვანისმცემელი, ყოველი წაკითხული წიგნის შემდეგ, უხვად ასაჩუქრებდა დატაკებს. იმ პერიოდის არაბი და სპარსი ისტორიკოსები (იბნ ალ-ჯუთია, იბნ-მასკავეიკი და სხვ.) დაწვრილებით აღწერდნენ ად-დაულის წარმატებებს სახელმწიფო მმართველობის (მათ შორის მსტოვრობის ორგანიზების) კუთხით. გარდა ამისა, თავად მსტოვრობის თეორიისა და პრაქტიკის დიდ მცოდნეს, ნიზამი ალ-მულქის, თავის თხზულებაში “სიასეტ-ნამე”, ად-დაულის მიერ მსტოვრობის ფართო და გამართული ქსელის ორგანიზების რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი აქვს მოყვანილი.

ნიზამ ალ-მულქი – შპიონაჟის თეორეტიკოსი და ხელმძღვანელი

ამქვეყნად გმართებს არ გადასცდე სიფრთხილის კიდეს, მოსავალს შენსას ქვეყნად უნდა უჩუმრად მკიდე, სანამ გაქვს ენა, ყურები და თვალიც გიჭრის, უნდა დამუნჯდე, დაყრუვდე და დაბრმავდე კიდეც.

ომარ ზაიამი

სელჯუკიანთა მეორე მმართველი, რომლის თხზულებითაც შეიძლება დავით მეფეს ესარგებლა და მსტოვრების ფართო ქსელი შექმნა, სელჯუკიანთა სულთნების უცვლელი ვეზირი ნიზამ ალ-მულქი (1018-1092 წწ.) იყო. მისი ნამდვილი სახელი ჰასან იბნ-ალია. ის დაიბადა ხორასანში 1018 წელს. ახალგაზრდა



ასაკიდან მსახურობდა სულთნების: თოლრულ-ბეგის (1038-1063) ალფ-არსლანის (1063-1072) და მალიქ-შაპის (1072-1092) კაზიშულიოთისა

1074 წელს მალიქ-შაპი ისპაპანში ობსერვატორია რომ გახსნა ნიზამ ალ-მულქის რჩევით, სხვა ცნობილ მეცნიერს შორის, ომარ ხაიამიც მიიწვია. ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ ნიზამ ალ-მულქი სიცოცხლის ბოლომდე მფარველობდა დიდ სპარს პოეტსა და მეცნიერს.

ნიზამ ალ-მულქი მრავალჯერ მონაწილეობდა ქართველი მეფეების წინააღმდეგ ოქებში. თურქ-სელჯუკების იმპერიაში ალფ-არსლანის და მალიქ-შაპის დროს პირველი ვეზირის პოსტი ეკავა და განაგებდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს, მათ შორის ჯაშუშობასაც. მალიქ-შაპის დავალებით დაწერა ტრაქტატი “სიასეტ ნამე” - “წიგნი XI საუკუნის ვეზირის მმართველობის შესახებ” [9]. ნიზამ ალ-მულქი 1092 წლის 14 ოქტომბერს მოკლეს, როგორც მიჩნეულია ასასინებმა. ეს ტრაქტატი, როგორც მკვლევარები (მაგ. ჰაჯი-ჰალფი, “ბიბლიოგრაფიული ენციკლოპედიის” შემდგენელი XVII საუკუნეში) ფიქრობენ, დაწერილია 1076-77 ან 1091-92 წლებში. მაინც რისი სწავლა შეეძლო დავით მეფეს ამ თხზულებიდან?

“სიასეტ-ნამე” – ტრაქტატი მსტოვრობის თეორიაზე

ამ ტრაქტატში ნიზამი ალ-მულქი იძლევა სახელმწიფოს მართვის საკუთარ ხედვას და კონკრეტულ რჩევებს აძლევს მმართველს. ერთ-ერთი რჩევაა ცენტრალიზებული მართვის აპარატის, პირადი გვარდიის და მსტოვრთა ფართო ქსელის შექმნა.

ის ურჩევდა სულთანს მსტოვრები (“აინი” – ანუ “თვალები”) მიეჩინა ვეზირებისთვის, რელიგიური პირებისთვის, შხედარომთავრებისთვის, გადასახადის ამკრეფთათვის და ფაქტობრივად ყველა ხელქვეითისთვის; ასევე გამოერკვიათ ჯარისა და ხალხის განწყობა – ე.ი შეექმნა ყოვლისმომცველი შიდა



პოლიტიკური დაზვერვა. გარდა ამისა, შეტოვრები უნდა გთხოვთ სხვა ქვეყნებშიც, ვითომ ისინი ვაჭრები, მოგზაურები და ექიმები იყვნენ. პირველი ვეზირი ურჩევს სულთანს აუცილებლად იყოლის საპიბ-ჰაბარები - ინფორმაციის მინისტრის და საპიბ-ბერიდი - საკურიერო სამსახურის უფროსის პროტოტიპები. ისინი უნდა ყოფილიყვნენ სულთნის სპეციალსახურის ოფიციალური აგენტ-თანამშრომლები. ნიზამ ალ-მულქის აზრით განსაკუთრებით საპიბ-ჰაბარის ყოლა იყო აუცილებელი, რაც სასულთნოს არსებობის საფუძველს წარმოადგენდა. თავის ტრაქტატში ნიზამი საინფორმაციო-აგენტურული საქმიანობისთვის კადრების შერჩევას დიდ ყურადღებას უთმობს. ისინი უნდა ყოფილიყვნენ მორწმუნე, გამოცდილნი და ჰატიოსანი.

ვეზირი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სულთნის დაცვისა საკითხებს. მისი აზრით, მცველებისა და დარაჯების საქმიანობაზე აუცილებელია მუდმივი ფარული მეთვალყურეობა, რადგანაც ყოველთვის შეიძლება ისინი ოქროზე “გაიყიდნონ” და დალატს მიჰყონ ხელი.

საგარეო დაზვერვის კუთხით მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებოდათ ელჩებსა და ვაჭრებს, რომლებსაც სხვა ქვეყნებში უნდა შეეგროვებინათ მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია ჯარის რაოდენობაზე, შეიარაღებაზე, პოლიტიკურ ინტრიგებზე, ხელმწიფე-მმართველის კარზე არსებულ ძალთა თანაფარდობაზე, წოდებრივ განსხვავებებზე, ცალკეული სახელმწიფო მოხელეების შესახებ გავრცელებულ კომპრომატებზე და ა.შ.

ამავე დროს ელჩებს ზუსტად უნდა აღენუსხათ უცხო ქვეყნის გზების, ხიდების და წყაროების მდებარეობა, მდინარეებზე ლაშქრის გადაყვანის შესაძლებლობა და სხვ.

“მმართველის ძლიერი გონება ძლიერ ჯარზე უკეთესია” – ურჩევდა დიდი ვეზირი ყველას. ნიზამ ალ-მულქის ტრაქტატი ფაქტიურად შპილნაუის მზა ინსტრუქციას წარმოადგენდა და მის საფუძველზე დავით აღმაშენებელს აღარ გაუჭირდებოდა მზვერავ-მსტოვართა ძლიერი და ყოვლისმომცველი ქსელის შექმნა.


ბოლოს ნიზამ ალ-მულქის იმ სიტყვებს მოვიყვანთ, რომელიც
დღესაც აქტუალურია: “მეფეს არ ეპატიება ოთხი ყველაზე მძიმე
შეცდომის დაშვება: სახელმწიფო დალატი, ქვეშევრდომების მიერ
მეფის ჰარამჩანის ხელყოფა, საიდუმლოების გაცემა და
მოღალატების გვერდით ყოლა”.

შესაძლებელია თუ არა, რომ არაბ და სპარს ისტორიკოსთა
ეს თხზულებები დავით IV-ს ან რომელიმე მისი უახლოესი
მრჩევლის (თუნდაც გიორგი მწიგნობართუნუცესი-ჭყონდიდელის)
ხელში აღმოჩენილიყვნენ? სავსებით რეალურია. თუ იმასაც
გავითვალისწინებთ, რომ: “დავით აღმაშენებელს საუცხოვოდ
შესწავლილი ჰქონდა მარტო ქართული მწერლობა კი არა, არამედ
მაპმადიან მეცნიერთა და პოეტების თხზულებებიც” (10,211) და
“მეზობელთა ერების ენები, არაბული და სპარსულიც საფუძვლიანად
იცოდა” (10,359) მაშინ ეს ვარაუდი ჭეშმარიტებასთან ახლოს
უნდა იყოს. უფრო მეტიც, დავით მეფის მემატიანის ის სტრიქონი,
რომ დავითის დროს მსტოვართა შიშით მეუღლესაც ვერ
უმხელდნენ საიდუმლოსო (“ორგულებასა და ზაკვასა და დალატსა
რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადაცა,
არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ მეუღლესა და ცხედრულსა
თვისსა თანა”; “ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი”), აზრობრივად
ძალზე ახლოსაა არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ჯაუზის ზემოთ
მოყვანილ ციტატასთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ისტორიკოსი
1186-1257 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, თავის კომპილაციური ზასიათის თხზულებებში ის უმთავრესად წინა
პერიოდის (მათ შორის ად-დაულის და ნიზამი ალ-მულქის
თანამედროვე) ისტორიკოსების თხზულებებს უყრდნობოდა. სწორედ
მათგან უნდა იყოს აღებული ისტორიული ცნობები სულთან
აღუდ ად-დაულას შესახებ. თავის მხრივ, დავითის მემატიანის
მიერ ზემოთ მოყვანილი შედარებები და სპეციფიკური ჰარალელები
შემთხვევითი არ უნდა იყოს. ჩანს, რომ დავითის უახლოესი
გარემოცვა კარგად იცნობდა და პრაქტიკულად იყენებდა X-XI
საუკუნეების უცხოელი ავტორების ნაშრომებს.



ამასთან ერთად არაა გამორიცხული, რომ დავით მეფის გარემოცვაში ყოფილიყვნენ პიროვნებები, რომლებიც მოჩერდებიან იყვნენ სელჯუკების მიერ სახელმწიფოს მართვის, კერძოდ, მსტოვრობის საქმის ორგანიზებაში და მოწინააღმდეგის გამოცდილება საქართველოშიც გადმოეტანათ.

დავით აღმაშენებლის მსტოვართა სიჩაუჩა ბრძოლების დროს

როგორ “მოი პარეს” ქართველებმა
სამშვილდის ციხე

საქართველოს ისტორიის ეს მნიშვნელოვანი ფურცელი თავიდანვე დავით მეფის ღრმა განჭვრეტითა და ბრძნული ხელვით იწერებოდა. 1110 წელი იდგა. დავითის ხმლის მოშიშარი თურქი თაგვებივით შეკეტილიყვნენ სამშვილდისა და ქვემო ქართლის სხვა ციხეებში. მათი მსტოვრები, რომლებიც მრავლად მოდებოდნენ საქართველოს კუთხეებს, ყურადღებით და შიშით ზვერავდნენ დავითის მიმოსვლას. თურქებმა შვებით მხოლოდ მაშინ ამოისუნთქეს, როცა რამდენიმე აეშაგისგან დანამდვილებით შეიტყვეს მეფის დასავლეთ საქართველოში გამგზავრება. მაშინ კი მოეშვნენ და მოდუნდნენ თურქი მეციხოვნენი – დავითის გარეშე ვინ გაბედავდა მიუვალი სამშვილდის ციხე-ქალაქის დალაშქრას?

სამშვილდის ციხე-ქალაქის, როგორც
ფორტიფიკაციის მოკლე დახასიათება

ამ ციხე-ქალაქის დიდ მნიშვნელობას მის მახლობლად გამავალი სამხრეთის საკაჭრო გზები განაპირობებდნენ. სამშვილდე, ოდიოგან ქვემო ქართლის დიდი ქალაქი და მტკიცე ციხესიმაგრე, ანტიკურ



ხანაში იყო აგებული. XII საუკუნეში საქართველოს სამრეწველო ფარგლებში არსებულ ციხე-სიმაგრეთა შორის სამშვილდე, ბუნებრივ-რელიეფური მიუვალობით და მყარი ნაშენობით, განსაკუთრებით გამოიჩინდა. ეს მიუვალი ციხე ორი მდინარის: ხრამის და ჭივჭივას შორის სოლისებურად შეჭრილ კონცხზე, ციცაბო ფერდობებიან პლატოზე მდებარეობდა. გვერდებიდან ღრმა ხრამი იცავდა და ციხის აღება მხოლოდ ერთი, პირდაპირი შეტევით იყო შესაძლებელი. მაგრამ მაღალი და მკვიდრად ნაშენი კედელ-გალავნები საიმედოდ იცავდნენ ამ მიმართულებასაც. ქართული ფორტიფიკაციის ცნობილი მკვლევარი, პროფესიონალი პარმენ ზაქარია წერს: “ამ მხარის ჩასაკეტად პლატოს მთელ სიგანეზე მიუყვებოდა 4-5 მ სისქის კედელი. თუ მტერი ამ კედელს დასძლევდა, მაშინ ქალაქის შუა ნაწილში დახვდებოდა პლატოს მთელ სიგანეზე, ფერდობიდან ფერდობამდე გაშლილი ციხე, რომელიც ფაქტიურად ქალაქის ციტადელი იყო . . ციხის კედლები სხვადასხვა ზომისაა. სამი მათვანის სისქე ორ მეტრამდეა, მეოთხესი - ექვს მეტრამდე. . . მშენებლებს კარგად გაუთვალისწინებიათ რელიეფის თავისებურება: რაკი მტრის შემოსევა დასავლეთიდან იყო მოსალოდნელი, კედლიც სწორედ ამ მხარეს უნდა ყოფილიყო საიმედო. ამჟამად ამ დაზიანებული კედლის სიმაღლე 12 მეტრია. თავდაპირველად აღიათ უფრო მაღალი იქნებოდა. ქონგურებიც ექნებოდა და იმ დროის ვერც ერთი სანგრევი მანქანა ვერაფერს დააკლებდა. ამიტომაც მოაღწია მან დღემდე. კედელს მხოლოდ ერთგან ეტყობა, რომ აქ უშედეგოდ უცდიათ მისთვის ძირი გამოეთხარათ”. ამ ვრცელი ციტატის გაცნობის შემდეგ მკითხველი დარწმუნდება, რომ სამშვილდის ციხე-ქალაქის შტურმით აღებას მრავალათასიანი ლაშქარი და მრავალთვისი ალყა დასჭირდებოდა.

სამშვილდის ხელში ჩაგდებას, გარდა წმინდა სამხედრო მიზნებისა, ფრიად დიდი პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. დავითმა, რომელიც უკვე ორი ათეული წელი მეფობდა, მრავალი ბრძოლა მოიგო, ბევრი მოღალატე დილეგში გამოკეტა და ბევრსაც თავი დააგდებინა. მაგრამ, კარგად იცოდა, რომ სანამ სამშვილდეში თურქები “ბაირამობდნენ” ვერც ის და ვერც სრულიად



საქართველო ვერ დამშვიდდებოდნენ. ეს იყო ერთგვარი ტექსტი ქართული სამხედრო ხელოვნების სიძლიერის და სამუშავებლის, ქართველთ ლაშქრის და მსტოვარ-მზვერავების სიჩაუქის შესამოწმებლად.

დავით მეფის “ოპერატიული კომბინაციები” სამშვილდის ოპერციის დროს

ისტორიული ცნობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართველები წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. ქვეყნის პირველი ვეზირის, მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელის ხელმძღვანელობით შეიკრიბნენ: თვედორე - ჭყონდიდელის დისტული, იმავდროულად თრიალეთის და კლდეკარის მმართველი, აბულეთი და ივანე ორბელი. მემატიანე დაუუფარავი კმაყოფილებით და სიამაყით წერს: “სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე”-ო. აი ასე, ყველა სხვა მინიშნება-დაზუსტების გარეშე. არა-რა ბრძოლა და მსხვერპლი, არამედ: “ხერხი სჯობია ღონესა” და მიუვალი ციხე-ქალაქი უკვე ჩვენია! მემატიანეს ამ ძუნწ სტრიქონებს შორის მიმაღლული აზრები უნდა განვჭვრიტოთ და შედეგებს შევუდაროთ. ივანე ჯავახიშვილის აზრით ეს უცნობი ავტორი დავით მეფის თანამედროვე და მასთან დაახლოებული პიროვნება უნდა ყოფილიყო. ამიტომაც, საფიქრებელია, რომ როცა ის სამშვილდის ციხის აღებაზე ასე შმრალად წერდა, ეტყობა ქართველი მსტოვრების მოქმედებების მეთოდ-ხერხების გამეღავნება არ სურდა და ამ ბრძოლიდან დაახლოებით ორი ათეული წლის შემდეგაც სახელწიფო საიდუმლოებას უფრო ხილდებოდა! (მისაბაძი მაგალითია დღევანდელი ქართველი ჩინოვნიკ-მოხელეებისა თუ ურნალისტებისთვის).

თუმცა, ჩვენ კი გაგვიხადა უფრო მეტი საფიქრალ-სავარაუდო. ისტორიული წყაროების და მოვლენების ობიექტური ანალიზის შემდეგ დასკვნა ერთია — ან ციხე შიგნიდან “გატყდა” და ქართველების მიერ გადმობირებულმა თურქმა მეციხოვნებმა



ფარულად ჩააბარეს ციხის კლიტენ ჭყონდიდელსა და მის გუნდს ან ქართველთა მცირე “დივერსიულმა” ჯგუფმა, აგნტ-მეცისოვნურა დახმარებით, შეძლო ციხე-ქალაქში შეფარვით შეღწევა და ციხის ბჟენის გახსნა. შემდეგ კი, ჭყონდიდელის მეთაურობით ქართველთა ლაშქარი დამის სიბნელეში შეიჭრა ციხე-ქალაქში და მოულოდნელად დაადგა თავს არხეთად მძინარე თურქებს.

ამ ისტორიული მოვლენის ანალიზისას თვალნათლივ იკვეთება დავით IV-ს და მისი უახლოესი გარემოცვის მიერ ოპერატიული კომბინაციების დაგეგმვისა და განხორციელების კარგი უნარი. სამშვილდის აღების წინ თურქებთან “ოპერატიული თამაში” ორ ეტაპად ჩატარდა:

პირველი ეტაპი დავით მეფის დასავლეთ საქართველოში გამგზავრებით დაიწყო. ეს საიდუმლო ინფორმაცია თურქი ჯაშუშებისთვის დროულად გახდა ცნობილი, რაზეც აღბათ შეგნებულად იზრუნეს ქართველებმა. ზემოთაც ავღნიშნეთ, რომ თურქ-სელჯუკებს საქამაოდ კარგად ორგანიზებული ჯაშუშთა ქსელი ჰქონდათ (რაშიც კიდევ დავრწმუნდებით). მათთვის ოპერატიულად ხდებოდა ცნობილი მეფის და მისი დიდებულების გადაადგილების მარშრუტი და დრო. ამ შემთხვევაში კი, სავარაუდოა, რომ ქართველთ მსტორებმა მაქსიმალურად დადასტურებული ცნობები “შუცურეს” თურქებს, რის შედეგად თურქთა ყურადღება საგრძნობლად მოდუნდა. ეს ლოგიკური იყო, რადგან მანამდე არ ყოფილა, რომ მეფის გარეშე საქართველოს ლაშქარს ასეთი მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩაეტარებინოს.

პარალელურად გრძელდებოდა სპეციალურაციის გეგმის მეორე ეტაპის - სამშვილდის ციხე-ქალაქის მეცისოვნეთა შორის მსტოვართა, სპეცსამსახურების ენაზე რომ ვთქვათ, გადაბირება-“ჩანერგვის” სამუშაოები.

ამ ოპერაციას დიდი სამხედრო-ფსიქოლოგიური შედეგი ქონდა. ქვემო ქართლის სხვა ციხეებში გამაგრებულმა თურქებმა, შეიტყვეს რა სამშვილდის აღება, თავს უშველეს და დამის სიბნელეში გაიპარნენ. ქართველებს ციხეების მითვლადა დარჩენოდათ. ასე “მოიპარეს” ქართველებმა სამშვილდის ციხე და საფუძველი



ჩაუყარეს ქვემო ქართლის ტერიტორიის დაბრუნებას, ერთგული დაგეგმილი სპეციალისტის წყალობით.

რამოდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ კი 1115 წელს, დავით აღმაშენებელმა იგივე ხერხი გაიმეორა – თვითონ ლაშქრით ქართლის შუაგულისკენ გასწია, გიორგი ჭყონდიდელმა კი მოულოდნელად რუსთავს შეუტია და დეზორგანიზებულ მტერს მსწრაფლ “აართვა” ქალაქი. რუსთავის დაკარგვით თურქებს მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული დასაყრდენი და გამოსახამთრებელი ადგილი გამოეცალათ ხელიდან.

მტრის დეზინფორმაცია – გამარჯვების საწინდარი

უძველეს და საყოველთაოდ ცნობილ სამხედრო ხერხს – ბრძოლის წინ მტრის ლაშქრის დეტალურ დაზვერვას და მოულოდნელ თავდასხმას, XII საუკუნის ათიანი წლების ბოლოს დავითმა ახალი, უკვე მსტოვრობისთვის დამახასიათებელი, თვისობრივად უფრო ღრმა ტაქტიკა – მტრის სრული დეზინფორმაცია დაუმატა. მტრის ლაშქრის რიცხოვნობის, რესურსების და გეგმების შეტყობა მისი მსტოვრების მთავარი ამოცანა იყო. გარდა ამისა, მეფის მსტოვრებს ზოგჯერ საიდუმლო ინფორმაციის (მაგ. მეფის გადადგილების დროისა და მარშრუტის) ცრუ ვერსიის შენებული გავრცელება ევალებოდათ, რაც ერთიანი სამხედრო ოპერაციის შემადგენელი რგოლი იყო.

დავით მეფეს შორს რომ დაიგულებდნენ, მაშინ განსაკუთრებით სუსტდებოდა თურქ-სელჯუკთა ყურადღება. ქართველებიც ამ მომენტს ელოდნენ და “უგრძნეულად” ესხმოდნენ მტერს თავს. ეს ხერხი დავით IV-ის საბრძოლო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი რომ იყო, ამას მემატიანეც ადასტურებს: “ხოლო აქვნდის ესე მეფესა, რამეთუ განზრახვით გარდავიდის აფხაზეთით და ჩამოიტყუვნის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკვრის პირისათ”. როგორც ჩანს, ამ ტაქტიკას დავითი ხშირად მიმართავდა. მემატიანის სიტყვებით: “რამეთუ მოიმსტვარნის მეფემან რომელთა მოსრვა ეგბოდის, და უგრძნეულად დაესხის და მოსწყვიდნის.

და ეს არა ერთგზის ანუ ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის კონკრეტული გვთარცა აწ ერთი ითქვას”.

მტრის წარმატებული დეზინფორმირების თვალსაჩინო მაგალითია 1116 წელს დავითის “ტაოს ლაშქრობა”. 1115 წლის ზამთრის დამდეგს: “ტაოს ჩამოღვნენ დიდნი თურქი ხარგებითა” (დავითის მემატიანე). დავითმა ეს დროულად შეიტყო და “დაუპატიჟებელი სტუმრების” განადგურების გეგმა შეადგინა. თურქთა ლაშქრის თვალის ასახვევად თვითონ “ქუთათის გარდავიდა”, თან ქართლის ლაშქარს საიდუმლოდ დათქმული ვადისთვის მზადყოფნა უბრძანა. 1116 წლის თებერვალს დავით მეფემ ქართლელები და მესხები კლარჯეთს დაიბარა. თავადაც, მტრის ჯაშუმების ფარულად, იქ გაემგზავრა. ერთ მუშტად შეკრული ქართველთ ლაშქარი მოულოდნელად (“უგრძნეულად”) დაესხა “ნირვანაში” მყოფ მტერს და ერთიანად ამოწყვიტა. ანალოგიური ხერხით დაამარცხა თურქები 1120 წელსაც, როცა თურქებმა დავითი შორს დაიგულეს და გამოსაზამთრებლად დედაბუდიანად კვლავ საქართველოს მოაშურეს. მეფემ ცოტა აცალა და “. . გარდამოიფრინვა თებერვალსა ათოთოთხმეტსა და უცნაურად დაესხა ზედა, და ძლით ვინმე შეესწრა ცხენსა და გარდაიხვეწა. აღიღეს ტყვე და აღაფი ურიცხვი” (დავითის მემატიანე).

თურქ-სელჯუკებს საქმაოდ კარგად ჰქონდათ აწყობილი მსტორობის საქმე, რასაც ქართული, სომხური, არაბული და სპარსული ისტორიული წყაროებიც ადასტურებენ (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). ამიტომ იყო, რომ თურქი “მსტოვარნი ზედა ადგიან მეფესა და ეძებდიან გზათა მისთა” (დავითის მემატიანე). აქვან ჩანს, რომ საქართველოს დიდი მეფე თურქთა მზვერავების მუდმივი “მიფურადების” ობიექტი იყო და მის გადაადგილებას დაკვირვებით ადევნებდნენ თვალს.

იმავე წლის ზამთრის დამდეგს დავითმა აფხაზეთს მიაშურა - “ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი: ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცილები დაპყრა და წვარონა” (დავითის მემატიანე). საინტერესოა, რომ ზამთრის უამს თბილ მხარეს (კერძოდ კი აფხაზეთში) გამგზავრება ქართველი



მეფეებისთვის ჩვეული საქმე იყო. დავითის პაპაც, მეფე გაგლატ IV ხშირად მიღიოდა აფხაზეთს, რათა: “მუნ დაიშემორის და განისვენოს და ვითარმედ არს ქვეყანაი იგი ბარი და ტფილი” (გიორგი მცირე, “გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება”). სავარაუდო რომ, თურქ-სელჯუკებს ათწლეულების მანძილზე კარგად პქონდათ შესწავლილი ქართველი მეფეების წეს-ჩვეულებები. ამიტომ იყო, რომ 1120 წლის დეკემბერში, უხვი თოვლობის უაშს, დავით მეფის აფხაზეთს გამგზავრება უყურადღებოდ არ დარჩენიათ თურქთა ჯაშუშებს – ”ხოლო ცნეს რა თურქთა, ვითარმედ შორს არს მეფე, გულდებით ჩამოდგეს პირსა მტკვრისასა” (დავითის მემატიანე). ეს იყო ის გამონაკლისი შემთხვევა, როცა დავითის გამგზავრება რეალური იყო და არა სპეციალურად მოგონილი დეზინფორმაცია. თურქ-სელჯუკების მიზანი ამ შემთხვევაშიც გამოსაზამთრებლად მტკვრის ხეობაში დაბანაკება იყო. თუმცა საქართველო უკვე იმდენად იყო გაძლიერებული, რომ მტრის დროებით შემოსვლასაც კი, დავით მეფე უპასუხოდ არ ტოვებდა. შეიტყო რა ეს ამბავი, მიუხედავად დიდოთოვლობისა, დავითი მსწრაფლ წამოვიდა აფხაზეთიდან, ლიხის ქედზე იმდენად დიდი თოვლი დახვდათ, რომ რამდენიმე დღის მანძილზე დავითის სპა თოვლს შეუსვენებლივ წმინდა („გარდაათხრვინა მთა ლიხისა“ – წერს მემატიანე). ქართლში ჩასულ მეფეს ლაშქარი გამზადებული დახვდა და მაღვე, 1121 წლის მარტში, ქართველები მოულოდნელად დაესხნენ თავს დაარხეინებულ თურქებს და მტკვრის ხეობა - გაგიდან ხუნანამდე, დაუნდობლად “გაწმინდეს” მტრისგან, თანაც ისე, რომ: “არ დაუშთა მთხრობი ამბავისა” (დავითის მემატიანე). ამ კონკრეტულ შემთხვევაში თურქთა ჯაშუშ-აეშაგების შეცდომა სახეზეა – მათ დროულად ვერ შეიტყვეს ქართველთა ლაშქრის მოახლოება, რაც სასტიკ დამარცხებად დაუჯდათ. მეორე მხრივ კი, ეს ისტორიული ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს დავით IV-ს დიდ ანალიტიკურ ნიჭის და მოვლენების სწორი და სწრაფი შეფასების უნარზე.

დავით მეფის ეპოქაში შეტოვართა გუნდის ერთ-ერთი ძრითადი მოვალეობა მრავალეროვან ლაშქარში (როგორც ქართველთა, ასევე სხვა ეროვნების მეომართა მხრიდან) დაღატის გამოვლენა და აღკვეთა, დიდგვაროვან აზნაურთა და მთავართა სამხედრო შეოქმულების ჩანასახშირე ჩანაშობა და დისციპლინის დამყარება იყო. მათი მონღომების შედეგად საქართველოს ლაშქარში თანდათანობით წესრიგი და დისციპლინა მყარდებოდა: “... საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღმრთისა საძულელი და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხვსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთასა . .” (დავითის მემატიანე). ეს შეტოვრები, დღევანდელი შესატყვისით, სამხედრო კონტრდაზვერვის ფუნქციას ასრულებდნენ.

ამასთან ერთად, არსებობდა ქვეყნის შემდგომი გაძლიერების ხელშემლელი ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. დავით მეფე აღმაშენებელი მახვდა რომ, საქართველოს სხვადასხვა ობიექტები და სუბიექტები მიზეზის გამო, არ შეეძლო იმ რაოდენობის მუდმივი ლაშქარი ჰყოლობდა, რომ ბრძოლებშიც გამოეყვანა, ციხე-ქალაქებშიც ჩაყვენებინა და ყველაზე ერთგული სამხედრო დანაყოფი - პირადი გვარდიაც ("მონა-სპა") შეეღვინა. გარდა ამისა მეფე პირდაპირ იყო დამოკიდებული დიდგვაროვანთა ნებაზე - საქმარისი იყო მათ შორის უთანებმოება ჩამოვარდნილიყო, რომ დიდგვაროვან აზნაურთა ლაშქარი მომზღვრის მხარეზე გადადიოდა და საქართველოს მტრებთან ერთად ხლართავდა "ბადეს" მეფის წინააღმდეგ.

ამ მიზეზთა გამო დავითმა, დიდი ფიქრის და ბჭობის შემღება, ყივჩალთა ჩამოსახლება გადაწყვიტა – “განიზრახა სივრცითა გონებისათა, რამეთუ სხვაებრ არა იყო ღონებ” (დავითის მემატიანე).

დავით IV-ს სიდიადე სწორედ იმაში იყო, რომ საფუძვლიანი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, რისკიანი და სახითაო საშინაო და საგარეო პლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღებასა და



აღსრულებას არ უშინდებოდა. ერთ-ერთი ასეთი ულტრაველები გადაწყვეტილება საქართველოში ყივჩაღების ჩამოსახლების ამ ჩანაფიქრის სასარგებლოდ სამი ფაქტორი მეტყველებდა:

1. ყივჩაღები ძლიერი და ამტანი მებრძოლები იყვნენ;
2. დავითის მეორე მუზელე, დედოფალი გურანდუხტი, ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარალანის ძის ასული იყო;
3. იმ პერიოდში ყივჩაღები ძალზე შეავიწროვა კიევის რუსეთის დიდმა მთავარმა ვლადიმერ მონომახმა და ამიტომ ნაწილს თავადაც უნდოდა ძლიერი ქვეყნისთვის თავის შეფარება.

ამავე დროს, ეს გადაწყვეტილება მრავალი საფრთხის შემცველი იყო. ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ტრამალებზე მომთაბარე, სხვა ენაზე მოსაუბრე ყივჩაღები აბსოლუტურად სხვა კულტურისა და ლირებულებების მატარებელი ხალხი იყო. თანაც საუკუნეების მანძილზე მომთაბარეობას მიჩვეულთ, თავიდან გაუჭირდებოდათ ერთ მიჩნილ ადგილას ცხოვრება, მკვიდრი ბინადრობა და მკაცრად ორგანიზებული ყოფა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ და სხვა მიზეზთა გამო, ყივჩაღებმა რამდენჯერმე მოაწყვეს სამხედრო ბუნტი და თვით დავით IV-ს ლიკვიდაციის ოპერაციაც მრავალჯერ დაგეგმეს, მაგრამ მისი განხორციელება, მეფის ძლიერი მსტორართა გუნდის წყალობით, საბედნიეროდ, ვერ შეძლეს.

მანამდე კი “1118 წ. დავითმა ჩრდილო კავკასიიდან 40000 ყივჩაღის ოჯახი გადმოასახლა საქართველოში. გადმოსახლებულ ყივჩაღებს მისცეს მიწის ნაკვეთები, მიუჩინეს საზაფხულო და საზამთრო საძოვრები, უზრუნველყველების ეკონომიკურად, რის სამაგიეროდ ყოველ ოჯახს ერთი შეიარაღებული მოლაშქრის გამოყვანა დაევალა” (3,226.).

ყივჩაღების ჩამოსახლება ორ ეტაპად განხორციელდა. დავით მეფემ ჯერ თავის სიმამრთან “წარავლინნა კაცნი სარწმუნონი” (დავითის მემატიანე) და გადაწყვეტილება გააცნო. მეფის წარგზავნილებში უთუოდ დავითის უერთგულესი მზვერავებიც იქნებოდნენ გარეულნი, რომელთა მთავარი ამოცანაც გადმოსახლების მარშრუტის და ყივჩაღთა მუდმივი მტრების – ოსების - გუნება-



განწყობის შესწავლა იყო. მზვერავების დაბრუნების შემდეგ დავითი დარწმუნდა, რომ მისი პირადი მონაწილეობის გარეშე ეს გეგმა მართვა
ვერ განხორციელდებოდა, ამიტომ გიორგი ჭყონდიდეს ერთად,
ლაშქრით თავად გაემგზავრა ოსეთს და წარმატებით
უხელმძღვანელა მრავალი ათასი ყივჩაღის ოჯახის ჩამოსახლებას.

ამის შემდეგ, 1120 წლამდე დავითი ყივჩაღთა საბრძოლო
ერთეულებად დაწყობას და სალაშქრო წვრთნას ახორციელებდა.
ალბათ ამიტომაც ამ პერიოდში ქართველებს რაიმე დიდი ბრძოლა
არ ჩაუტარებიათ (ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ ისტორიულო
ცნობები არ მოიპოვება). შემდეგ წლებში კი ყივჩაღები, რომლებიც
თანდათანობით ქრისტიანდებოდნენ და მკვიდრ ცხოვრებას ეწვეოდნენ,
ისეთ შიშის ზარს სცემდნენ სისასტიკით განთქმულ თურქ-
სელჯუკებს, რომ ისინი, მემატიანის სიტყვებით: “ეძიებენ მშვიდობასა
და სიყვარულსა და ყივჩაღთაგან არა რბევასა”. ამიტომაც, სულთნის
მოციქულები ძვირფასი ძღვენით ხელდამშვენებულნი მოწიდებით
ეახლებოდნენ ხოლმე დავითს.

ყივჩაღების ერთიანი საქართველოს სამეფოში დამკვიდრება,
ბუნებრივია, საქმაოდ რთული პროცესი იყო. მათ ძვალ-რბილში
ჰქონდათ გამჯდარი ქართველთათვის უცხო სისასტიკე
დამარცხებულთა და ტყვეთა მიმართ. მათი ტრადიციით, ბრძოლაში
მოპოვებული ტყვე პირადი საკუთრება იყო და მისი ბედი ყივჩაღთა
კუთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ კაცომლებარე დავით
მეფეს ხშირად უხდებოდა მათგან ტყვეთა გამოხსნა გარკვეული
საფასურის სანაცვლოდ. მემატიანე მოვითხრობს: “ვინ აღრიცხვნენ
ტყვენი, რომელნი მან განათავისუფლნა და რომელნი უკუმოიხსნნა
თვისთა ყივჩათაგან ფასითა!”.

გარდა ამისა, გაღმოსახლებულ ყივჩაღთა ამხელა მასაში,
უპირველესად კი მეომრებში, არ შეიძლება უკმაყოფილება და
აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილი იყო. ეს ყველაფერი წინასწარ
განჭერიტა მეფემ და ამიტომაც ყივჩაღებს ჩამოსახლებისთანავე
ერთგული ქართველი მსტოვრები მიუჩინა:

“. . დაუდგინა . . თვისისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და
მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი” (მემატიანე).



ყივჩაღები მუდმივ კონტროლს და მეთვალყუფებულის საჭიროებდნენ. დავითის მსტოვართა გუნდმა გამოავლინა და აღქვეთა ყივჩაღთა რამდენიმე საიდუმლო გეგმა, რომლის მიზანი მეფის მოკვლა იყო. მემატიანე პირდაპირ აცხადებს:

“რაოდენგზის ყივჩაღთა თვისთა განიზრახეს ღალატი და განაჩინნეს კაცი მხნენი – რომელნიმე ხრმლითა, რომელნიმე შუბითა, სხვანი ისრითა. და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის. და არაოდეს მოუშვა ღმერთმან კვერთხი ცოდვილთა მართალსა ზედა, არცაოდეს მისუა იგი ხელთა მაძიებელთა მისთა”.

სავარაუდოდ ყივჩაღთა მიმართ უნდობლობის გამო იყო, რომ 1121 წელს დიდორის ბრძოლაში, საქართველოში ჩამოსახლებული ყივჩაღებიდან (45 ათასი მეომარი) მხოლოდ მესამედი (!) – 15 ათასი კაცი მონაწილეობდა. დავით მეფე დანარჩენ ჩამოსახლებულ მეომრებს ეტყობა ბოლომდე ვერ ენდობოდა, წინაღმდევ შემთხვევაში საქართველოსთვის ამ გადამწყვეტ ბრძოლაში, თანაც რაოდენობით რამდენჯერმე უმეტეს მტრის ლაშქართან შეტაკებისას, 30 ათას მეომარზე რატომ იტყოდა უარს? შემდგომ განვითარებული ისტორიული მოვლენები სრულად ადასტურებენ ჩვენს მოსაზრებას.

დავით აღმაშენებლის მსტოვართა შეცდომები

ზემოაღნიშნულ წარმატებებთან ერთად ქართველ მსტოვრებს შეცდომებიც ბევრი ჰქონდათ. თუ ეს, გარკვეულწილად, არ შეიმჩნეოდა და გასაგები იყო დავითის მეფიობის პირველ პერიოდში, შემდგომ წლებში უკვე მიუღებელი და მძიმე შედეგების მომტანი გახდა. ზოგჯერ სამხედრო მსტოვრებისა და საზღვრისპირა ადგილების დაცვის (“მტრის დარაჯების”) შეცდომების გამოსწორება მხოლოდ დავით მეფის პიროვნული სიმტკიცის, ნიჭისა და თავდადების წყალობით ხერხდებოდა. ამიტომაცაა, რომ მემატიანე ასე ახასიათებს მეფეს: “უშიშარი და ყოვლად უძრავი გულითა”.

დავითის ზეობის პერიოდში მისი მსტოვრების პირველი სერიოზული შეცდომა სამშვილდის ციხე-ქალაქის აღებას და



ქართველების მნიშვნელოვან წარმატებას მოჰყვა. აღმათ აქვთ გულარხეინობაში ჩვენმა ისტორიულმა სენმა – გულარხეინობაში იჩინა თავი. აბალიონთავა სხვას რას უნდა მივაწეროთ რომ, მემატიანის სიტყვებით “ოდეს სამშვილდე და ძერნა აიღეს, ქრონიკონი იყო სამას ოცდათი. მას წელსა მოვიდა სულთანისა და ყოველი თურქობა, კაცი ვითარ ას ათასი, უგრძელებულად სიმარჯვითა”. გასაგებია რომ, მემატიანეს საკმაოდ გაზვიადებული აქვს მტრის რიცხოვნობა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ თურქები სამშვილდის დაბრუნებას დიდი ძალებით ეცდებოდნენ და საქართველოს საზღვარსაც დიდი ლაშქრით გადმოკვეთდნენ. დავით მეფე ნაჭარმაგვის რეზიდენციაში იყო, როცა შედამებისას (“მიმწუხრს”) თურქთა შემოჭრის ამბავი მოახსენეს.

მსტოვართა შეცდომის თუ უყურადღებობის გამო დავითი იძულებული გახდა ძალზე რისკიანი გადაწყვეტილება მიეღო – მცირე ლაშქრით (მემატიანის გადმოცემით “კაცითა ათას ხუთასითა”) იმ ღამითვე გაემართა მტერთან შესახვედრად. მეფის მხედრულმა მამაცობამ და მოულოდნელობის ეფექტმა ბრძოლის ბედი ქართველთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. თურქთა უცუქცევა იმდენად მოულოდნელი ყოფილა, რომ დავითის სპა შიმბდა – რაიმე ვერაგობას არ ქონდეს ადგილი და თურქები არ ჩაგვისაფრდნენ. ეს ფაქტიც მეტყველებს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეფის მსტოვრები ინფორმაციას არ ფლობდნენ და ქართველთა გამარჯვება უფრო მეფის პირად გმირობას და მტრის სისუსტეს (რომელთა ჯაშუშ-აეშაგებმაც დავითის ლაშქრის მცირერიცხოვნობა ვერ დაადგინეს) უნდა მივაწეროთ, ვიდრე კანონზომიერებას.

მსტოვრების შემდეგი სერიოზული შეცდომა კინაღამ საქართველოს ლაშქრის სრული მარცხით დასრულდა.

1123 წელს თურქ-სელჯუკები მოულოდნელად შეარვანს დაესხნენ, აიღეს მისი დედაქალაქი შამახია და შარვან-შაპი შეიპყრეს. მომხდეულებმა ეს არ იკმარეს და მათმა სულთანმა მკვანე და ქედმაღლური უსტარი გამოუგზავნა დავით მეფეს – შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერასოდეს ველზე ვერ შემებრძოლები.



ამიტომ ან დღიდი ძლვენი გამომიგზავნე ან თუ გაბედავ, ვისრომაც დავითმა უმაღლ ლაშქრის შეკრება ბრძანა და სასწრავოდ მოხდა, გაემართა. ყველაზე საინტერესო სწორედ მერე მოხდა. დავითის ლაშქრის სიმრავლე მოახსენეს თუ არა მსტოვარ-აეშაგებმა სულთანს, ის უმაღლ ციხე-ქალაქ შამახიაში შევიდა და იქ გამავრდა. თურქ-სელჯუკთა ლაშქარმა ღამე შიშში და ქართველთა შეტევის მოლოდინში გაათენა. თუმც ქართველთა 50 ათასიანი ლაშქარი შეტევაზე არ გადასულა. დავითი სულთანს არ შეებრძოლა და ამ ჯერზე არც შამახის აღებას შეეცადა. მემატიანის სიტყვებით: “არამედ დავარდა მიწასა ზედა და მადლობა შეწირა ღმრთისა სახიერისა . . .”. მეორე ღამეს სულთანი შამახიიდან ფარულად გაიპარა სპარსეთში. ქართველთ მეფე მისთვის უჩვეულოდ მოიქცა - არ დაედევნა და არ გაანადგურა მტერი. ამ უცნაურ “ბრძოლას” არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი იმით ხსნის, რომ სწორედ იმ ღამეს ქართველთა და ყივჩაღთა შორის დიდი უთანხმოება მოხდა, ისინი ერთმანეთს დაერივნენ და შამახის აღება ამიტომ ვერ შეძლეს. ქართველი მემატიანე ყივჩაღთა ბუნტს ძალზე ლაკონურად გადმოგვცემს: “და ყივჩაღნი ოდენ აღთვალულ იყვნეს მაშინ”. შეშინებული სულთანი რომ არ გაქცეულიყო, საქართველოს ორად გახლებილი ლაშქრის დამარცხება არ გაუჭირდებოდა. თავის მხრივ არც დავით მეფემ გარისკა და არ შეებრძოლა მტერს, მემატიანის სიტყვებიდან ჩანს, რომ მეფე კმაყოფილი იყო ამგვარი შედეგით. ამ ისტორიული ფაქტის შესახებ არსებული ისტორიული წყაროების ანალიზიდან არ ჩანს ყივჩაღთა უკმაყოფილებას მიზეზები. ასევე გაურკვეველია რა მატერიალური, სოციალური თუ სამხედრო-პოლიტიკური პრობლემები გახდა ამბობის საფუძველი. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის არის, თუ რატომ ვერ მოახერხეს მეფის მსტოვრებმა (“ცხენკეთილმა და პირშეუქცეველმა” სპამ) ყივჩაღთა უკმაყოფილების გამოვლენა და სამხედრო ამბობის აღკვეთა ადრეულ ეტაპზე? ეჭვგარეშეა, რომ ეს მათი სერიოზული შეცდომა იყო, რადგანაც ამ მიზეზის გამო მეფეს ხელი მოეცარა და სულთანი დაუსჯელი გაექცა, ხოლო შამახის ციხე იმჯერად ასაღები დაურჩა. ეს ყველაფერი, მემატიანის გადმოცემით, 1123 წლის მაისში მომხდარა.

იმავე 1123 წლის სექტემბერში დავით მეფემ საბოლოო შენიშვნის გაცემისთვის აიღო შამახია და დაიმორჩილა “სრულად ყოველი შარვანი”. ქართლში დაბრუნებულმა ჩვეული შორისმჭვრეტელობა გამოიჩინა და “. ყივჩაღთა თვისთა უჩინა საზამთროდ სადგური და საზრდელი და კაცნი ზემდგომნი მათნი” (მემატიანე). ე.ი. მეფე იძულებული კამხდარა დაძაბულობის განმუხტისათვის “მოფერების” პოლიტიკისთვის მიემართა, რათა ყივჩაღებთან დამოკიდებულება არ გამწვავებულიყო და მათი ქვეყანაში შემოყვანა უფრო მძიმე, საპირისპირო შედეგის მომტანი არ გამხდარიყო. იმავდროულად მეფის მიერ ყივჩაღებისთვის ახალი “ზემდგომი კაცების” დანიშვნა იმის ნიშანია, რომ მეფე უკმაყოფილო იყო წინა მეთვალყურეთა მოქმედებით, რომელთაც სამხედრო ბუნტი გამოეპარათ.

თავი II. მსტომრობა დემოტომ I ცისა და გიორგი III-ის მაფობის შპს

დავით აღმაშენებელმა ბრძოლა-შენებაში ქვეყნის მართვის ხელოვნება იმ დონეზე აძლიერდა, რომ ყოველ შემდგომი ქართველი მეფის მოღვაწეობას ამ უმაღლეს საეჭაპო მაჩვენებელს ვუდარებთ. დავითის გარდაცვალების შემდეგ თითქმის ერთი საუკუნე მისი ოთხი შთამომავალი-მეფიკვიდრე (დემეტრე I, დავით V, გიორგი III, თამარი) მეფობდა და ცდილობდა მისი საქმის გაგრძელებას. მათგან ერთი - დემეტრე I შვილი დავითი V სულ ექვსი თვე მეფობდა და ბუნებრივია ხელშესახები ვერაფერი მოასწრო, ხოლო მსტომრობის განვითარება თამარის მეფობის პერიოდში, ვფიქრობთ ცალკე შესწავლას საჭიროებს.

ამიტომ მსტომრობის ისტორიის ეს კონკრეტული მონაკვეთი მხოლოდ დემეტრე I (1125-1156წწ.) და მისი ვაჟის გიორგი III (1156-1184წწ.) მეფობის წლებს მოიცავს.

დემეტრე I და გიორგი III მეფობის უამს მსტომრობის ინსტიტუტი საქართველოში დაცემის და დასუსტების ფაზაში შევიდა. მტრის ჯაშუშების მოძალებას, ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალების მსტომარ-აგშაგების გააქტიურება და გაძლიერებაც თან დაერთო. საფიქრალია, რომ ხშირ შემთხვევებში გარე და შიდა მტრები კოორდინირებულად და შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ამიტომ იყო, რომ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება-შეთქმულებას მოსდევდა, ხოლო მაპმადიანური კოალიციის საბრძოლო მოქმედებები და თავდასხმები, საქართველოს მეფეებისთვის ხშირად სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა.

ასეთ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ პიროვნების ერთგულებას, პატრიოტიზმსა და პროფესიონალიზმს, ვინც მსტომრების უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებდა.

მსტოვრობის საქმის უკუსვლა დემეტრე I მეფობისას



დემეტრეს უნიკალური შანსი პქონდა ყმაწვილებულობა მამის, დიდი დავით მეფის, სიახლოვეს გაეტარებინა და თავად ყოფილიყო ბევრი ისტორიული მოვლენის უშუალო მონაცილე. ის მამის სიცოცხლეშივე, უფლისწულობის დროს, მონაწილეობდა საქვეყნო საქმეების გადაწყვეტაში თუ მტრის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. მართალია დავით აღმაშენებლის მემატიანე მხოლოდ ერთხელ, 1117 წელს შირვანის დალაშქვრისას, იხსენიებს დემეტრე უფლისწულს, რომელმაც ამ ბრძოლაში გულადი მეომრისა და კარგი შედართმთავარის სახელი მოიხვეჭა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ამ ბრძოლის შემდეგაც დემეტრეს მამის შხარდამჩარ მრავალჯერ უქნევია სატევარი.

დემეტრე I 1125 წელს გამეფდა და ოცდაათი წელი იმეფა. ამის მიუხედავად მისი მოღვაწეობის შესახებ ცალკე ქართული ნარატივილი წყარო არ შემონახულა. ეს კი ძალზე ართულებს მისი მეფეობისას მსტოვრობის საქმის შეფასებას. ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ: “მისი ცხოვრება და თავგადასავალი საიდუმლოებით არის მოცული, ხოლო მოღვაწეობის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით” (10,221.).

უცხოენოვანი წყაროებიდან კი ჩანს, რომ გამეფების პირველივე დღიდან დემეტრე დაუღალავად ცდილობდა მამის მონაპოვრის დაცვას. თუმც საგარეო და საშინაო პოლიტიკური მოვლენების განვითარება გვიჩვენებს, რომ დავითის მიერ დატოვებული საზღვარფართო, სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მოსახლეობისგან შემდგარი სახელმწიფოს მართვას მხოლოდ დემეტრეს პირადი თავდადება არ ყოფნიდა. ამ პერიოდის წერილობითი წყაროების ანალიზი (რაც დაწვრილებითაა მოცემული ქართულ ისტორიოგრაფიაში) ნათელს ფენს ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი ბერკეტის – მსტოვრობის სისტემის - საფუძვლიან მოშლას. დავით მეფის დროს გაძლიერებული მსტოვროთა გუნდი დემეტრე I მეფობის



პერიოდში განვითარებული საბედისწერო მოვლენების სტრუქტურად აღარ ჩანს. ქვეყნისთვის და პირადად მეფისთვის უძველესი დრამატული მოვლენების სიმრავლე და სისტემატური ხასიათი, სწორედ ერთგული მსტოვართა გუნდის სისუსტეზე მეტყველებს.

საგარეო პრობლემების მოგვარებას შინაგანი გამწვავებული მდგომარეობა უშლიდა ხელს, ხოლო საქართველოს და პირადად დემეტრე მეფის ხელისუფლების დასუსტებას კი თავად მისი ოჯახური აშლილობა აძლევდა დასაბამს. დავით აღმაშენებლის დროს დაწინაურებული დიდგვაროვანი ფეოდალებიც შესაფერის დროს უცდიდნენ, რათა საკუთარი პოლიტიკური თამაშები წამოეწყოთ. დავითის დროინდელი ერთიანი მსტოვრობის სისტემის - მოშლის შედეგი იყო სწორედ ამ პერიოდისათვის დემეტრეს ყველაზე მთავარი საგარეო პრობლემა – სომხეთის ქალაქ ანისის გაკონტროლებისთვის წარმოებული ბრძოლები, რაც მრავალ ათეულ წელს გრძელდებოდა.

ქალაქი ანისი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი იყო სამხრეთ კავკასიაში და მისი მფლობელი სომხეთის მთელ ჩრდილოეთ ნაწილს აკონტროლებდა. თავის დროზე, როცა დავით IV-მ ანისი აიღო, მან, სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, ქალაქის და მისი ოლქის გამგებლად ქართველი დიდებულები აბულეთი და მისი ვაჟი ივანე განაწესა. მაპმადიანი ამირები ასე იოლად არ თმობდნენ ანისს. ისინი ყველა მეთოდს (მოსყიდვა, სამხედრო ძალა და სხვ.) იყენებდნენ ქალაქის დასაბრუნებლად. 1126 წელს ანისის მმართველმა ქალაქი და მისი შემოგარენი ამირა ფადლონ IV-ს დაუიმო. რა მოხდა, რა პირობებში დათმეს დავითის მიერ ბრძოლით და სისხლით მოპოვებული ქალაქი მამა-შვილმა აბულეთებმა, პქონდათ თუ არა ამის შესახებ დემეტრე მეფის თანხმობა და ბრძანება, ისტორიული წყაროებიდან არ ჩანს. ერთი კი ნათელია – შემდგომ განვითარებული მოვლენები ადასტურებენ, რომ დემეტრე I-სა და აბულეთებს შორის ამ ფაქტის შემდეგ დიდი მტრობა ჩამოვარდა.

მეფის მსტოვრებს არანაირი წინმსწრები ინფორმაცია არ პქონდათ, რაც, კრთი მხრივ, მათ სისუსტეზე, ხოლო მეორე მხრივ

აბულეთის და მისი ვაჟის, ივანეს სამხედრო-სადაზვერო
პოზიციების გაძლიერებაზე მიუთითებს. შემდგომ წლებში იმით იმა
მამა-შვილი აქტიურად მონაწილეობდა დემეტრეს წინააღმდეგ
შეთქმულებებში. ეს იყო იმის შედეგი, რომ დემეტრე I-ს მეფობის
პერიოდში მსტოვართა ერთიანი სისტემის მოშლის გამო, შესუსტდა
და და ფარული კონტროლი დავით აღმაშენებლის მიერ
საქართველოსთვის შემორთებული ტერიტორიების მმართველ-
დიდებულებზე. ფეოდალურმა არისტოკრატიამ ამით ისარგებლა
და ფელა ხერხით დავით IV-ს დროს დაკარგული უფლებების
დაბრუნებას შეეცადა.

1130 წელს დემეტრე I-ს ნახევარმმა ვახტანგმა და ივანე
აბულეთის ძემ მეფის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს, რომლის
ერთ-ერთი ორგანიზაციონი, უეჭველია, თავად აბულეთი იყო. ჩანს,
შეთქმულების შესახებ მეფის მსტოვრებს არანაირი ინფორმაცია
არ ჰქონდათ, რადგანაც შეთქმულების მონაწილენი . . . თავად
აბულეთმა გასცა და მეფეს ჩააბარა. დემეტრემ ნახევარმმას თვალები
დასწრა და ისე გაათავისუფლა. ივანე აბულეთის ძეს კი რატომლაც
აპატია.

ჩანს, რომ აბულეთის და მისი ვაჟის პოზიციები კვლავ ძლიერი
იყო. ერთი წლის შედევ ივანემ, ვარდანის ცნობით, ქალაქი გარნისი
დალაშქრა, რამაც მის გაძლიერებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი. 1132 წელს, ისტორიული წყაროების თანახმად, დემეტრემ ივანე
აბულეთის ძე მოაკვლევინა, ხოლო თირქაშ ივანეს ძემ გაქცევით
უშველა თავს, საქართველოს მტერ შაჰ არმენს შეეკედლა და
იქიდან ებრძოდა დემეტრეს.

საქართველოს საშინაო პოლიტიკურ სტაბილურობას
განსაკუთრებით დემეტრეს უფროსი ვაჟის, უფლისწულ დავითის
სულწასულობა და აუხსენელი ამბიციები უთხრიდა ძირს. ის
ცდილობდა მეფე-მამა ტახტიდან ჩამოევდო და თავად
გამეფებულიყო. ურჩ უფლისწულს ქართველი და სომეხი
დიდგვაროვანი ფეოდალები აქტებდნენ. ქართველ ფეოდალებს
დავითის სახით მართვადი და მათ წინაშე გარკვეულწილად მოვალე
მეფე უნდოდათ. სომეხი დიდგვაროვნებიც პირადი, ეგოისტური

მიზეზების გამო ებრძოდნენ დემეტრეს. მათ არ სურდათ, რომ საქართველოს მეფეს სომხური ქალაქები (უპირველესდა ჭირისამ) მაპმადიანი ვასალი მმართველებისთვის გადაეცა. სომებს ფეოდალებს ამ ქალაქების მართვის პრეტენზია თავად ჰქონდათ, თუმცა, როცა თურქ-სელჯუკები შემოესეოდნენ, უღონობის გამო ტერიტორიების დაცვის თავი არ ჰქონდათ და მაშინვე საქართველოს მეფებს ეზვეწებოდნენ დახმარებას. ეს მრავალჯერ განმეორებულა. ჩანს, რომ უფლისწული დავითი სომებს ფეოდალებს გარკვეულ გარანტიებს აძლევდა. ამის დასტურია ის, რომ სომები ისტორიკოსები (ვარდანი, მხითარ გოში, სტეფანოზ ორბელიანი) ვერ მაღავდნენ სიმპატიებს დავითის მიმართ.

1150 წელს უფლისწულმა დავითმა ქართველ და სომებს დიდებულთა ერთი ნაწილის დახმარებით სამხედრო ამბოხი მოაწყო და ტახტზე ძალით ასვლა მოინდომა. დემეტრე I-მა შეძლო აჯანყების ჩახშობა და მოღალატე დიდებულები ზოგი სიკვდილით დასაჯა, ზოგი ქვეყნიდან გააძვა და ზოგი “განპატიუ” (დააკვეითა). დავით უფლისწულს ეს “ცელქობა” რატომღაც შერჩა. ისტორიული წყაროების ანალიზიდან ირკვევა, რომ დემეტრე მეფე მსტოვართა უგერგილობის გამო შეთქმულების შესახებ მხოლოდ ბოლო სტადიაზე იტყობდა და მაშინდა ახდენდა რეაგირებას. ხუთი წლის შემდეგ, 1155 წელს, დავითმა მორიგი აჯანყების შედეგად მაინც ჩაიგდო ხელში სამეფო ტახტი. მამა – მეფე დემეტრე I ბერად შედგა. საეჭვოა, რომ ეს გადაწყვეტილება მას ნებაყოფლობით მიეღო. დავით V-მ სულ ექვსი თვე იმეჯა და გარდაიცვალა. ამ მოკლე პერიოდშიც კი მან ბევრი, ქვეყნისთვის საზიანო გადაწყვეტილება მიიღო. ერთ-ერთი ასეთი თირქაშ ივანეს მე აბულეთის დილეგიდან გათავისუფლება და ამირსპასალარად დანიშნა აღმოჩნდა.

მართლაც რომ ბედის დაცინვა იყო - დავითი წლობით ნანატრს ტახტს დაეპატრონა და მხოლოდ რამდენიმე თვე მოუწია მეფობა.

დავით V ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, თუ შეთქმულების მსხვერპლი გახდა და სხვები “მიეხმარნენ”? ისტორიკოსებში ეს ფაქტი ყოველთვის იწვევდა დაეჭვებას.

მხოლოდ ვარდანი ასახელებს პირდაპირ დავითის მკვლელებს სუმბატ და ივანე ორბელებს, რომლებმაც, სომეხი ისტორიკონის სუმბატ და ივანე ორბელებს, რომლებმაც, სომეხი ისტორიკონის სიტყვებით, ეს მკვლელობა გიორგი უფლისწულთან შეთანხმებით ჩაიდინება (3,287).

ამის შემდეგ დემეტრემ ბერის სამოსი კვლავ სამეურ ხალათით და მეფის სკიპტრით შეცვალა. თუმც დიდი დღე აღარც მას დარჩენდა. ერთი ის მოასწრო, რომ მეორე, უმცროსი ვაჟი გიორგი ტახტზე აიყვანა და 1156 წელს ვარდაიცვალა.

მუძმივი შინაური ამლილობით გარეშე მტერი სარგებლობდა და არ ასვერებდა ჩვენს ქვეყანას. ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ: “გამწვავებული შინაგანი მდგომარეობის გამო, დემეტრე I-ს დროს არამც თუ საქართველოს პოლიტიკური ზრდა შეფერხდა, არამედ წინანდელი მონაპოვრის შენარჩუნებაც-კი შეუძლებელი გახდა” (10,364). დემეტრეს მეფობის პერიოდში აშკარაა მსტორობის ერთიანი სისტემის დასუსტება, რაც პირდაპირ აისახა საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე. შიდა და საგარეო პოლიტიკური დაზვერვა, სამხედრო მზევრავები თუ ლაშქარში მოქმედი მოენები და აეშაგებ-მზირები ისე გამართულად და აწყობილად ვერ მოქმედებდნენ, როგორც დავით აღმაშენებლის მეფობის დროს.

მსტორობა გიორგი III-ის მეფობის ჟამს

დავით აღმაშენებლის შვილიშვილის და დემეტრე I-ის უმცროსი შვილის გიორგის საქართველოს ჯერ კადევ ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს ტახტზე ასვლა და მეფობა, ბევრი სუბიექტური და ობიექტური მიზეზით იყო გართულებული. ჯერ იყო და, წლების მანძილზე, მისი მრუთშენლობის უნით შეპყრობილი უფროსი ძმა - დავითი, მამას - დემეტრე I-ს - ებრძოდა და ტახტის ხელში ჩასაგდებად შეთქმულებას-შეთქმულებაზე აწყობდა. ამ სერიოზული შინა აშლილობის გამო, დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი ქვეყნის მართვის ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა სერიოზულად შეირყა. დიდგვაროვანი ფეოდალები

რამდენიმე ბანაკად გაიყვნენ, შესაბამისად დაირღვა საქართველოს ლაშქრის სიმტკიცე ყველაზე მძიმე დღეში კი მსტომართუმშესჭრი აღმოჩნდა.

მოიშალა დავითის IV-ის მიერ რუდუნებით აწყობილი და კარგად გამართული საგარეო დაზვერვის ერთიანი სისტემა. გიორგი III-ს თანდათან სულ უფრო ნაკლები სარწმუნო ცნობები მოსდიოდა გარეშე მტრების (უპირველესად შაჰ არმენის და არზრუმის ამირას) ზრახვების შესახებ. ამის გამო ბევრჯერ გამოეპარა მათი შეკავშირება და გაერთიანებული ძალებით საქართველოს და მისი ყმარნაფიცი ქვეყნების (ანისის, რანის და შარვანის) წინააღმდეგ გალაშქრება. საზღვრებთან, სპეციალურად “მტრის მოდარაჯედ” მიჩნილი ფეოდალებიც, ხშირად დროულად ვერ იტყობდნენ მტრის მოახლოებას. ამის საპირისპიროდ კი მტრის დაზვერვა სულ უფრო და უფრო აქტიურად მოქმედებდა. შაჰ არმენების და არზრუმის ამირების მზვერავები ხელს უწყობდნენ შინა აშლილობას, იბირებდნენ, საჭიროების შემთხვევაში კი თავშესაფარს აძლევდნენ მოღალატე დიდგავაროვან ფეოდალებს. მაგალითად საქართველოს დაუძინებელმა მტერმა სამხრეთ სომხეთის მაპმადიანმა მფლობელმა შაჰ არმენ სუქმან II-მ (1128-1183წწ.) დემეტრე I-ს განდგომილი და მოღალატე ივანე აბულეთის ძის შვილი თირქაში დიდი პატივით მიიღო, არშარუნის სამთავროს გამგებლად დანიშნა და მსწრაფლვე საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრება უბრძანა.

გიორგი III-ს მეფობის ეამს საგარეო პოლიტიკის მთავარი ვექტორი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებთან გადიოდა და უპირველესად ჩრდილოეთ სომხეთის და რან-შარვანის ვასალური დამოკიდებულების განმტკიცებას ისახავდა მიწნად. საქართველოს ლაშქარს და შესაბამისად საგარეო და სამხედრო დაზვერვასაც ძირითადად ამ მიმართულებებით უნდა ემოქმედა. მართალია მეფედ კურთხევისთანავე გიორგი III ცდილობდა ყმადნაფიცი სამთავროების დაცვასთან ერთად “კრაზანების ბუდე” – სამხრეთ სომხეთის მმართველის შაჰ-არმენის სამფლობელო მოეშალა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ისტორიული წყაროების



ანალიზიდან ირკვევა, ეს მცდელობა შეტ-ნაკლები წარმატებით ხორციელდებოდა. უმთავრესი პრობლემა ჩრდილოეთ სომხეთში (ანისში) მმართველობის სტაბილური ფორმის და გამგებლის პიროვნების სწორ შერჩევაში იყო. 1161 წლის აგვისტოში გიორგი მეფე ანისი ბრძოლით აიღო და მამის, დემეტრე I-ს მიერ დანიშნული გაპატიანი მმართველი, შედადიანთა შთამომავალი ფადლონი დაატყვევა. ქალაქი კი საქართველოს ამირსპასალარსა და შანდატურთუხუცეს ივანე ორბელს (საინტერესოა, რომ მის მოადგილედ სარგის მხარგრძელი დანიშნა - პიროვნება, რომელმაც მნიშვნელოვანი ისტორიული როლი ითამაშა თამარის მეფობისას) ჩააბარა. ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოხელის ანისის მმართველად დანიშვნა განპირობებული იყო ან გასალი სამთავროს უფრო შემომტკიცების სურვილით, ანდა ივანე ორბელის უმაღლესი ხელისუფლებიდან მოცილების ფარული წადილით. აქტია, რომ გიორგი მეფის ამ გადაწყვეტილებამ მომდევნო წლებში საქართველოს შინააშლილობაში მნიშვნელოვანი უარყოფითი მუხტის ფუნქცია შეასრულა.

გიორგი III-ს მეფობა – მცდელობა “საქართველოს მოდუნებული ძლიერების” აღდგენისა

გიორგის III-ს მეფობის პერიოდს ივანე ჯავახიშვილმა “საქართველოს მოდუნებული ძლიერების” აღდგენის მცდელობა უწოდა, მართლაც ძნელია ამაზე უფრო ზუსტი სახელი მოუმებონ დავით აღმაშენებლის შემდგომ პერიოდში საქართველოს მეფების მოღვაწეობას.

გიორგის მეფობა გამორჩეული იყო იმითაც, რომ მან ვერ შეძლო პაპის – დავით IV-ს მიერ შექმნილი და გაძლიერებული მსტოვართა ქსელის აღზევება. უფრო მეტიც, ისტორიული მოვლენების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მას საერთოდ ხელიდან გაექცა საგარეო და საშინაო დაზვერვის



მართვის სადაცები და საქართველოს ლაშქრისა და მსტორულის უშუალო ხელმძღვანელი, ამირსპასალარი და მანდატურულის ივანე ორბელი, მის ფარულ და ყველაზე საშიშ მოწინააღმდეგებ იქცა.

ხელიდან გაშვებული გამარჯვებები

საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერების პერიოდი ანუ XI–XIII საუკუნეები, ყველაზე ხელსაყრელი დრო იყო მსტორობის ინსტიტუტის განვითარებისთვის. მაშინ, ისევე როგორც დღეს, ინფორმაციის მოპოვების ძირითადი წყარო და მსტორობის “კლონდაიკი” საგარეო და საშინაო ვაჭრობა და ხელოსნობა იყო.

იმ პერიოდში საქართველოდან და მისი ვასალი ქვეყნებიდან საქარავო ვაჭრობა და მიმოსვლა ხორციელდებოდა ინდოეთთან, ირანთან, ერაყთან, სირიასთან, ბიზანტიასთან, ეგვიპტესთან, რუსეთთან, ყივჩაღეთთან და სხვა უფრო შორეულ ქვეყნებთანაც. მსტორობა და ჯაშუშობა ყოველთვის ორმხრივი პროცესია და თუ ქართველ მსტორათა ხელმძღვანელები საქართველოში მოღვაწე ვაჭრებისგან იღებდნენ ინფორმაციას, ასევე თურქ-სელჯუკების, ბიზანტიის და სხვა ქვეყნების მმართველებიც იყენებდნენ ვაჭრებსა და მოგზაურებს საქართველოს შესახებ ინფორმაციის შესაკრებად.

ინფორმაციის მოპოვებასთან ერთად ამა თუ იმ ქვეყნებში ყოფნისას ვაჭრები ხშირად გაებმებოდნენ ადგილობრივი მსტორების მიერ დაგებულ მახეში და ხდებოდნენ დეზინფორმაციული ოპერაციის მონაწილენი. ჰქვიანი მასპინძელი - მეფე, სულთანი თუ შაპი, მათ “დეზას” გავრცელების არხად, წყაროდაც იყენებდა. ეს განსაკუთრებით კარგად მონდოლებს გამოსდიოდათ, რის შესახებაც ცალკე გვექნება საუბარი.

XII საუკუნეში, როცა საქართველოს მეთაურობით სამხრეთ კავკასიის გაერთიანება მიმდინარეობდა, საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში მოყვა სომხეთის, რანის და შარვანის დიდი სახელოსნო და სავაჭრო ცენტრები, ასევე სტრატეგიული

შიშვნელობის ქალაქები: ანისი, დევნი, კართი, განძა, ბარდავი, ბათუმი, გამახია, ფაბალა და სხვ. ეს გარემოება საგარეო პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვის გაძლიერების საუკეთესო, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში გამოუყენებელი შანსი იყო. ბიზანტიაში და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში დიდვაჭრები და ვაჭართა ამხანაგობანი ანუ ისინი, ვისაც საკმაო შეძლება ჰქონდათ უცხოეთში სავაჭრო მიმოსვლისათვის, საგარეო დაზვერვის მიშვნელოვანი რგოლს წარმოადგენდნენ. დიდვაჭრები იყვნენ სამეფო კარის ინფორმატორები უცხო ქვეყანათა საქმეებში და ხშირად ასრულებდნენ სხვადასხვა სადაზვერვო-დიპლომატიურ დავალებებს.

შიდა პოლიტიკურ დაზვერვით ოპერაციებში კი უპირველესად ქალაქებში მყოფი ხელოსნები, ქვეყნის შიგნით მოვაჭრენი და ზოგიერთი საეკლესიო პირები იყვნენ ჩართულნი. ამიტომაც იყო, რომ მნიშვნელოვან სავაჭრო გზებზე მდებარე ქალაქების დაყყორბას და მათზე კონტროლის შენარჩუნებას დიდი სამხედრო, სადაზვერვო, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

გიორგი III მეფობის პერიოდში, მიუხედავად საქართველოს ზოგადი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგრამარეობის გაუმჯობესებისა, მსტოვრობის ინსტიტუტის სისუსტის გამო მრავალი გამარჯვება იქნა ხელიდან გაშვებული. უფრო მეტიც, არაერთი მრავალი მძიმე დამარცხების მიზეზი ქართველ მსტოვართა უმოქმედობა გახდა.

გიორგი III-ს მეფობის 28 წელი, პირობითად სამ პერიოდად შეიძლება დავყოთ. 1156 წელს, გარკვეულად საკამათო ვითარებაში (ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის წესის თანახმად, დემეტრე I-ს შემდეგ საქართველოს მეფობა, შესაძლებელია, ყველაზე მეტად მის შვილიშვილს, დავით V-ს ვაჟს დემა-დემეტრეს ეკუთვნოდა) გამეფებული გიორგი, პირველი ხეთი წელი განსაკუთრებულ სამხედრო და პოლიტიკურ აქტიურობას არ იჩენდა (ყოველ შემთხვევაში დღეისთვის არსებული ისტორიული წყაროები სხვას არ გვიჩვენებენ). 1161 წლის ზაფხულში, ანისის აღებით იწყება გიორგი III-ს მეფობის მეორე, განსაკუთრებულად აქტიური სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდი, რომელიც 1177 წლამდე, ივანე ორბელის მეთაურობით მოწყობილი შეთქმულების



დამარცხებამდე გრძელდება. პირველი და მეორე შემოსილი გამორჩეულია იმით, რომ წლების მანძილზე აღზევებულიშა სამარტინული გვარმა ფაქტობრივად სახელმწიფო მმართველობის ყველა მნიშვნელოვანი “სახელო” (თანამდებობა) დაიკავა და თითქმის ორმოცდათი წელი სამეფო ხელისუფლება იძულებული იყო ანგარიში გაეწია მათი სურვილებისა და მოთხოვნებისთვის. ამ გარემოებამ ძალზე დიდი უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს სამეფოს განვითარებაზე, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით.

გიორგი III-ს მეფობის უკანასკნელმა შვიდმა წელმა შედარებით მშვიდად ჩაიარა. ამ პერიოდში აღსანიშნავია მის მიერ მაღალი რანგის (“დარბაზის რივის”) მოხელეებად ერთგულ “უგვაროთა” დანიშვნა; მეფის თანამოსაყდრედ მისი ქალიშვილის - თამარის - გამოცხადება; ყაჩაღობისა და ქურდობისათვის სასჯელის გამკაცრება და სხვა საგარეო თუ საშინაო ღონისძიებების გატარებით საქართველოს მომავალი მეფისთვის მაქსიმალურად მშვიდი ვითარების შეგებება.

განუწყვეტელი ბრძოლების წლები

1161 წლის ზაფხულის დასაწყისში ციხე-ქალაქ ანისში ქართული ჯარის ჩაყენება საკმაოდ მძიმე დარტყმა იყო ახლო მდებარე მაჰმადიანური სამთავროებისთვის. ისინი ანის-ქალაქის საქართველოს მეფისადმი ვასალურ დაქვემდებარებას ურიგდებოდნენ, მაგრამ იქ გიორგი მეფის პირდაპირი მმართველობის დამყარებაში უკვე ხიფათს ხედავდნენ - ანის-ქალაქი ზომ შესანიშნავი პლაცდარმი იყო სამხრეთისკენ სალაშქროდ. ამიტომაც იყო, რომ 1161 წლის აგვისტოსთვის მეიქმნა თურქელ სამთავროთა კოალიცია და ხლათის მთავარ შაჰ-არმენ სუქმან II, არზერუმის ამირა სალდუხი და დიარბექირის მმართველი ჯდ-დინ ილ-დაზი ერთობლივი ძალებით, მოულოდნელად აღყვა შემოეწყვენ ანისს. გიორგი III-ს მსტოვრებს მთელი ეს პროცესი - საქართველოს მტრების გაერთიანება,

ლაშქრად დაძვრა და ანის-ქალაქის ალყაში მოქცევა საერთოდაც
გამოეპარათ და უყურადღებოდ დარჩათ!

კარგად გამართული მსტორების ქსელის აქტიური საგარო
დაზვერვითი ოპერაციებით ეს კოალიცია ან არ უნდა შემდგარიყო,
ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი შექმნის შესახებ ინფორმაცია
გიორგი მეფეს წინასწარ უნდა სცოდნოდა, რათა სათანადოდ
მომზადებულიყო.

ამის გამო, როგორც თამარ მეფის ისტორიკოსი აღნიშნავს
“ყოვლადვე არღა მომლოდინე” (12,7) გიორგი მეფე, იძულებულ
შეიქმნა მცირე ლაშქრით შებმოდა მტერს. ქართული მხედრობის
სიმამაცის წყალობით, ეს უთანასწორო ბრძოლა გიორგი III სრული
გამარჯვებით დასრულდა.

იმავე ისტორიკოსის ცნობით, ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 1162 წლის ზაფხულში ქართველებმა უფრო განამტკიცეს
წარმატება. მათ კარგად გამოიყენეს ანისის ხელსაყრელი
სტრატეგიული პოზიცია, ღრმად გაჰქირნენ სამხრეთისაკნ, არარაჭის
მხარეში მდებარე სომხეთის ძველი დედაქალაქი დვინი აიღეს და
“ყველა მცხოვრებნი, ქრისტიანებს გარდა, დააწიოკეს. მრავლის
ნადავლითა და ტყვევებით დატვირთული ქართველთა ძლევამოსილი
მხედრობა შინ დაბრუნდა” (10,233).

ამის საპასუხოდ იმავე წელს, მაპმადიანურმა ქოალიციამ, ახლა
უკვე სამხრეთ-აღმოსავლეთის – სპარსეთის მხრიდან, ილდიგუზ
ათაბაგის და სულთან არსლანის მეთაურობით, კვლავ ელვისებური
და მოულოდნელი შეტევა განახორციელა, რანის გავლით
საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა, გაგის ციხე დაარბია და
ახლო-მახლო ყველაფერი მოაოხრა. მოულოდნელობისგან
გაოგნებულმა გიორგი III გვიან მოახერხა ჯარის შეკრება, თუმცა
სანამ ის გაგის ციხემდე მივიდოდა, მტერი უგნებლად და დაუსჯელად
უკიდურეს. საქართველოს ჯარს და მის ამირსპასალარს ივანე
ორბელს დადევნება ვერ გაუბედავს. თავად გიორგი მეფეს კი,
თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით, დიდებულებმა ცხენის სადავე
დაუკავეს და ძალზე უსუსური არგუმენტით – მტერი გაიქცა და
სისხლისძვრა რაღა საჭიროა - მტრის დევნა არ დაანებეს.


მეფეც დაყაბულდა, ლაშქარი დაითხოვა, მცირე ამაღა ჭარტუგვა
და სანადიროდ მზადება ბრძანა. ქართველი ისტორიული ყურადღებულ
აღწერს ამ ამბავს: “და არა მიუშვეს მეტყუელთა ამისთა: “ვინათვან
გაქცეულა სულთანი ყოვლითა სპითა მისითა, ნულარა აღზუავებულ
მკადრებლობ დმრთისა. . . ვინათვან მეფე ცნობითა ბრძენი მომსმენი
იყო, დამორჩილებული კუალად ევო, გამყრელი ლაშქართა თვისსავე
შვებასა, სიხარულსა და ნადირობასა” (12,12).

მნელია ზუსტად დაასახელო ის მიზეზი, რის გამოც ქართული
ლაშქრის მეთაურებმა მტერი დაუსჯელად გაუშვეს, თუმცა ერთის
თქმა კი დანამდვილებით შეიძლება – ეს გადაწყვეტილება
ნამდვილად არ ემყარებოდა მსტოვრების მიერ მოპოვებულ
ინფორმაციას. საფიქრებელია, რომ მანდატურთუხუცესმა ივანე
ორბელმა გაქცეული მტრის კვალზე მზვერავებიც კი არ გააგზავნა.
სხვა შემთხვევაში ქართველი დიდებულები დარწმუნდებოდნენ,
რომ მაპმადიანური კოალიციის ჯარი ძალზე დიდი შიშით და
არაორგანიზებულად იხევდა უკან და გზადაგზა სურსათ-სანოვაგეს,
ტყვებსა და ნაალაფარს ტოვებდა. ხოლო ერთ-ერთ ადიდებულ
მდინარესთან დიდხანს შეყოვდნენ კიდეც. მტრის დასასჯელად
განა ამაზე უკეთესი უამი შეიძლება კაცმა ინატროს? მაგრამ
საქართველოს ლაშქარმა ვერ გამოიყენა მოწინააღმდეგის
განადგურების ეს შესანიშნავი შესაძლებლობა.

ქართველი მსტოვრების და მათი უშუალო ხელმძღვანელის,
მანდატურთუხუცესი ივანე ორბელის უმოქმედობის გამო
საქართველოს სამეფო და გიორგი III კვლავ არასახარბიელო
მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სამაგიეროდ დიდი ზეიმი სუფევდა
ახლო აღმოსავლეთის მაპმადიანურ სამთავროებში.

“კაცი მოგვი და ტრელი, მეცნიერი საქმისა . . .”

მტრის გაქცევა ბრძოლის მოგებად ჩათვალა საქართველოს
მეფემ და მცირე ამაღით ლორე-დმანისის მთებში ნადირობასა
და დროსტარებას მიჰყო ხელი.

მაპმადიანთა კოალიცია კი, ხლათის მფლობელის შაპ-არმენი სუქმან კუტურის ძის და მარალის პატრონ აესანკორმას მეომართა შემოერთების ხარჯზე, კიდევ უფრო გაძლიერდა. 1163 წლის იანვარ-თებერვალში მათ უფრო დიდი სამხედრო ოპერაცია დაგეგმეს და მიზნად დაისახეს საქართველოს გავლენის სფეროების შევიწროება, რისთვისაც ჩრდილოეთ სომხეთიდან გიორგი III-ს საბოლოო განდევნა დაგეგმეს. მიზნის მიღწევისთვის მათ საუკუნეების მანძილზე ნაცად ხერხს მიმართეს და ჯაშუშ-მსტოვრების გამოყინება განიზრახეს. საჭირო იყო საქართველოს ლაშქრის რაოდენობისა და ბრძოლისუნარიანობის დადგენა, რის შემდეგადაც მეფის სპაზე თავდასხმის მიზანშეწონილობა უნდა გადაწყვეტილიყო. ამიტომაც ხლათის სულთანმა გიორგი მეფეს, თვალისასახვევად და ყურადღების მოსაღუნებლად, ვითომდა ელჩ-მოციქულები, სინამდვილეში კი ჯაშუშ-აეშაგები მიუგზავნა.

თამარ მეფის ისტორიკოსი იმდენად შხატვრულად და დამაჯერებლად აღწერს მაპმადიანური კოალიციის ამ სადაზვერვო ოპერაციას, რომ კარგი იქნება თუ მის თხრობას მივყვებით.

იმ დროს, როცა გიორგი მეფე: “. . მცირედითა ლაშქრითა მონადირე და მხიარული დგა შორის მთათა ლორისა და დაბანისისათა, რომელსაც წინაშე მოსრულ იყოცა მოციქული სულთნისა, კაცი მოგვი და ტრელი, მეცნიერი საქმისა, ამზილველი და გამომხილველი ლაშქართა დგომისა. . . ამან, სახედ ყვავისა გამომცდელმან ლაშქართამან, მოისხნა ფრთხი და აფრინდა, და მივიდა წინაშე სულთნისა და ათაბაგისა, და მეტყუელმან ესრეთ თქვა:

- აპა ჟამი კუალად-გებისა ჩუენისა! უკეთუ აწ არა მიხუდეთ, სხვა ჟამი ვეღარა ჰპოვოთ.

ვინათაგან იხილა მცირედითა მდგომი, განლაღებული ამასს ზედა. . . ღამისამან ჟამსა განთიადისასა მძინარეთა ზედა დამსხმელ ექმნეს ესრეთ, რომელ მეფემან ძლითლა იხუმია სწრობა შეჭურვისა და ამხედრებისა. .”(12,13).

როგორც ირკვევა სულთნის ჯაშუში ძალზე გამოცდილი ყოფილა მსტოვრობის, განსაკუთრებით სამხედრო დაზვერვის

საქმეებში და კარგადაც “გამოუხილია” ქართველთ ულაშესრი, დაუდენია მისი მცირერიცხოვნობა და არასაპრძოლო უზრუნველყოფა. თავდასხმის ღროც შესაბამისად იყო შერჩეული – “უამი განთიადისა”. თავდასხმა იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ გიორგი მეფე ძლივს გადაურჩა დატყვევებას. დიდი იყო დანაკარგი ქართველთა მხრიდან. მაჰმადიანური კოალიციის მეთაურებმა კი ეს გამარჯვება იკმარეს და უკან გაბრუნდნენ.

არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი, ქართველი კოლეგისგან განსხვავებით, კოალიციის ამ გამარჯვებას ცოტა სხვანაირად აღწერს. მისი სიტყვებით ერთი ქართველი დიდებულთაგანი ფარულად მივიდა ილდიგუზ ათაბაგთან, მაჰმადიანობა მიიღო, წარუდღვა მაჰმადიანთა რაზმს და მოღალატურად ზურგიდან დაესხა თავს საქართველოს ლაშქარს. ამ ღალატს გადაუწყვეტია ბრძოლის ბედი.

ამ შემთხვევაში მთავარია ის კი არაა, გამაჰმადიანებული ქართველი მოღალატის თუ სულთნის ელჩ-ჯაშუშის გამო დამარცხდა გიორგი III, არამედ სამწუხაროა ქართველი შიტოვრების უსუსურობის მორიგი გამოვლინება. ამ და ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ გიორგის მეფობის პერიოდში სახეზე იყო “მტრის მოდარაჯეების” (ანუ საზღვრისპირა რაიონებში განლაგებული მზვერავების), საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვის ერთიანი სისტემის სრული კოლაფსი და მოშლა. მეფის ხელისუფლებას, ერთი მხრივ, გამოექარა მტრის ჯაშუშების თუ ქართველი მოღალატე დიდებულების მოქმედები, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველმა მზვერავებმაც ვერ შეძლეს ეფექტიანი საღაზვერვო ოპერაციების ჩატარება მტრის ზურგში და მათი ზრახვების ღროული შეტყობა.

1163-1175 წლებში კვლავ გრძელდებოდა ბრძოლები საქართველოს ყმაღნაფიცი მხარეების შემოსამტკიცებლად. დაპირისპირების მთავარი ობიექტი კვლავ ციხე-ქალაქი ანისი და დვინი იყო. ბრძოლა გარდამავალი წარმატებებით მიმდინარეობდა. გიორგი III-ს უჭირდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, მაგრამ ტერიტორიულად დაცილებული მხარეების



გართვა. ამის მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ მისი სახელისუფლებო აპარატი, უპირველესად კი სამი ძირითადი მოხელე: პირველი ვაზირი მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, სხვადასხვა მიზეზის გამო, ძალზე უნიათოლ ხელმძღვანელობინენ ლაშქარსა და მსტოვრებს. ეს პირველ რიგში 1156-1177 წლებს ეხება, იმ პერიოდს, როცა საქართველოს მეფეს ურთულესი საგარეო და საშინაო პრობლემების გადაწყვეტა უხდებოდა.

ამ დროს კი, გავიხსენოთ - დავით აღმაშენებლის ზეობის პერიოდში, თუ რა წარმატებით ხელმძღვანელობდა გიორგი მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი სამშვილდის ციხის “შოპარვას” და სხვა, სადაზვერვო თუ საჯარისო ოპერაციებს. გიორგი III-ს კი 1177-1178 წლებამდე ამგვარი ერთგული და განსწავლული ქვეშვერდომები ცოტა თუ ჰყავდა.

საშინაო პოლიტიკური დაზვერვის დასუსტების მიზეზები გიორგის III მეფობის უამს

დავით აღმაშენებელის მეფობის პერიოდში შეტოვართა საერთო ხელმძღვანელობას ძალზე წარმატებით ახორციელებდა გიორგი მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი (აღბათ ამიტომაც მოიხსენიება იგი იმ პერიოდის ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროებში ასე ხშირად). დაზვერვის ზოგადი სტრატეგიის და ტაქტიკის განსაზღვრა-ჩამოყალიბება კი უცილობლად თავად დავით მეფის პრეროგატივა იყო. დემეტრე I-ს და გიორგი III-ს მეფობის უამს მსტოვრობის ინსტიტუტი საქართველოში დაცემის და დასუსტების ფაზაში შევიდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იმ პერიოდში მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელის “სახელოს” (თანამდებობის) დასუსტებაც იყო. გარეშე მტრის ჯაშუშების მოძალებას, ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალების (რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ მეფის ხელისუფლების შესუსტებას) მსტოვარ-აქშაგების გააქტიურება და გაძლიერებაც თან დაერთო.



საფიქრებელია, რომ ხშირ შემთხვევებში გარე და შედა მტკრები კოორდინირებულად და შეთანხმებულად მოქმედებდნენ უსამართული იყო, რომ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება-შეთქმულებას მოსდევდა, ხოლო მაპმადიანური კოალიციის საბრძოლო მოქმედებები და თავდასხმები, საქართველოს მეფებისთვის ხშირად სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა.

ასეთ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ პიროვნების ერთგულებას, პატრიოტიზმსა და პროფესიონალიზმს ვინც მსტორების უშუალო და ყოველდღიურ ხელმძღვანელობას ახორციელებდა.

წერილობით წყაროებში დაცული ცნობების და ქართველი ისტორიკოსების (ი.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, შ.მესხია და სხვ.) გამოკვლევების საფუძველზე შეგვიძლია ქრონოლოგიურად დავალავოთ საქართველოს მანდატუროუზუცესთა ვინაობა ჩვენთვის ამჟამად საინტერესო პერიოდში, კერძოდ კი XI-XII საუკუნეებში და XIII-ის დასაწყისში.

საქართველოს პირველი მანდატუროუზუცესი, რომელსაც გიორგი II-ს მეფობის ბოლოს და დავით აღმაშენებლის პერიოდში ეჭირა ეს “სახელო”, ივანე ვარდანის ძე სვანთა ერისთავთ-ერისთავი იყო. ის სუმბატ ივანეს ძე ორბელმა შეცვალა, რომელსაც დემეტრე I დროს (დაახლოებით 1128-1155 წწ.) ეჭირა ეს პოსტი. დავით V-ს ხანძოკლე მეფობის მიუხედავად მამის - დემეტრე მეფის - ყველა ფავორიტი, მათ შორის სუმბატიც, მოიცილა და ამირსპასალარად დილეგიდან გამოშვებული თირქაში დანიშნა. საფიქრებელია, რომ რაოგანაც იმ პერიოდში ამირსპასალარის და მანდატუროუზუცესის “სახელოს” ტრადიციულად ერთი პიროვნება ედგა სათავეში, დავით V-ს დროს მანდატუროუზუცესიც თირქაში იქნებოდა. სწორედ ამიტომ, სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, განაწყენებულმა მამა-შვილმა სუმბატ და ივანე ორბელებმა გიორგი III-ს დაუჭირეს მხარი და დავით V მოკლეს. თუმცა საქართველოს ახალმა მეფემ სუმბატ ორბელი ამირსპასალარად და მანდატუროუზუცესად აღარ დააბრუნა

(საფიქრალია ასაკის გამო). სანაცვლოდ მისი შეიღი აღზებდა /
 დიდად. ისტორიული წყაროების თანახმად, 1161-1177 წელის 1178
 წლებში ივანე ორბელის ეკავა ამირსპასალარისა და
 მანდატურთუხუცესის თანამდებობები. ორბელთა აჯანყების შემდეგ
 ორივე “სახელო” ნაყიშალარ ყუბასარს ერგო, რომელიც ქართველი
 მემატიანის სიტყვით იყო “გაზრდილი პატრონთაგან”. თამარის
 გამეფებისთანავე დიდგვაროვანი დიდებულების მოთხოვნით
 “უგვარო” ყუბასარს 1185 წელს პოსტი დაატოვებინეს. მის
 მაგივრად თამარ მეფემ მანდატურთუხუცესად ასევე მამის, გიორგი
 III -ს ერთგული და მის მიერვე “გაზრდილი” ჭიაბერი დანიშნა,
 რომელიც ოც წელზე მეტ ხანს (გარდაცვალებამდე) ინარჩუნებდა
 ამ უმნიშვნელოვანეს პოსტს. 1205 წლიდან ზაქარია მხარგრძელი
 გვევლინება ამ “სახელოს” პატრონად.

მსტოვართა ინსტიტუტის დაკნინება

ქლიერი მსტოვართა ქსელის შექმნა მხოლოდ მეფის სურვილზე
 და მონდომებაზე არ იყო დამოკიდებული. როგორც ჩანს, გადამწყვეტი
 პირველი ვაზირის – მწიგნობართუხუცესის - პირველი და
 მისი ერთიანი, ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლების
 არსებობისადმი დამოკიდებულება იყო.

თამარის მეფობის პირველ პერიოდში მსტოვართა ინსტიტუტის
 დასუსტება-დაკნინებაზე შემდეგი ისტორიული პარალელებიც
 მეტყველებენ. დავით აღმაშენებლის დროს მსტოვართა უშუალო
 ხელმძღვანელი – მანდატურთუხუცესი - საქართველოს სამეფოში
 ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის შემდეგ მნიშვნელობით მეორე
 სახელო (თანამდებობა) იყო და შემდეგ ამირსპასალარი
 სახელდებოდა. დემეტრე I-ს და გიორგი III-ს მეფობის დროს
 “მსტოვრების მინისტრმა” უკვე სამხედრო მინისტრის შემდეგ
 მესამე ადგილზე გადაინაცვლა. თამარ მეფის ზეობის პირველ
 პერიოდში მანდატურთუხუცესის სახელო უკვე მხოლოდ “სხვა
 ხელისუფალთა” შორის მოიხსენიება.

ჩვენ ზემოთაც ავღნიშვნეთ, რომ შეა საუკუნეების საქართველოში მსტომრულ-აგენტურული საქმიანობით მეფის გარდა დაინტერესებულნი იყვნენ დიდგვაროვნებიც. სადაზვერვო ჯგუფები მათაც ჰყავდათ. ამიტომ მათთან დაპირისპირება ცენტრალური ხელისუფლებისთვის თავიდანვე წამგებიანი იქნებოდა თუ უფრო ძლიერი “სპეცსამსახურები” – საშინაო და საგარეო პოლიტიკური დაზვერვა, ოპერატორული და სტრატეგიული სამხედრო დაზვერვა, სამხედრო კონტრდაზვერვა და პირადი დაცვა – “მონა-სპა” - არ ეყოლებოდა.

მეფის ხელისუფლების დაცვა უპირველესად პირველ ვეზირს – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს, ამირსპასალარს და მანდატურთუხუცესს ევალებოდათ. მათ იცოდნენ ქვეყნის ყველა საიდუმლო, ჯარისა და მსტომრების ქსელის სიძლიერე და ნაკლი. გიორგი III-ს მეფობის ჟამს, სავარაუდოა, რომ პირველი ვეზირის “სახელო” ძალზე შეზღუდული იყო ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის “სახელოს” მიერ. ამგვარ ვარაუდს აძლიერებს ამ პერიოდში პირველი ვეზირის ისტორიულ წყაროებში მოუხსენიებლობა, მაშინ როცა ივანე ორბელი საგარეო თუ საშინაო საქმეებში სისტემატურად ფიგურირებს. ოცი წლის მანძილზე პირველი სარდლისა და მსტომართა ხელმძღვანელის “სახელისუფლოებს” სწორედ ის იკავებდა და მთელ სახელმწიფოს ფარულად აკონტროლებდა. ამავე დროს მისი უმცროსი ძმა ქავთარ ორბელი მეჯინიბეთუხუცესი იყო. საინტერესოა რა დამსახურებისთვის მიიღეს 1156 წლის შემდეგ ორბელებმა ესოდენ მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტები?

რამდენიმე ისტორიული წყარო სწორედ ორბელების ფარულ მოქმედებებს უკავშირებს დავით V-ს უეცარ სიკვდილს, მისი მეფობის ექვს თვეში დასრულებას და გიორგი III-ს გამეფებას. ფაქტია, რომ სწორედ ამ მოგლენების შემდეგ ქვეყნის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტი ორბელებმა დაიკავეს. ივანე ორბელმა მეტად ეშმაკური და შორს მიმავალი სვლა გააკეთა



- დავით V-ს მცირებლოვნი ვაჟი, დემა (დემეტრე) უფლისწული
აღსაზრდელად და ვითომდა სამეთვალყურეოდ, თავის მამულში მომავალი
წაიყვანა. სინამდვილეში მას ეს ყმაწვილი გიორგი მეფის მუდმივი
დაშანტაჟების ფარულ იარაღად სჭირდებოდა. უკვე მოწიფულ
და დავაუკაცებულ დემას ივანე ორბელმა ცოლად საკუთარი
ქალიშვილი შერთო და ალბათ გულში საქართველოს მომავალი
მეფის - დემას სიმამრად და ქვეყნის რეალურ მმართველად
წარმოედგინა უკვე თავი. გიორგი III კი ამ მზაკვრულ გეგმებს
აშკარად ვერ უღებდა ალლოს, არც ერთგული მსტოვარ-აეშაგნი
ედგნენ გვერდზე. საქართველოს მეფის განსაკუთრებულ ნდობა
ორბელთა მიმართ, თუნდაც იმაში გამოიხატა, რომ დიდი
სტრატეგიული მნიშვნელობის ანისის ციხე-ქალაქის მართვა
რამდენჯერმა ჩააბარა ივანე ორბელს და თან პატივსა და დიდებას
არ აკლებდა.

თუმცა დიდი ამბიციების გამო ორბელებმა ეს არ იკმარეს და
ჯერ ანის-ქალაქის საკუთრად გადაცემა, ხოლო შემდეგ მთლიანად
საქართველოს სამეფოს მართვა მოიწადინეს.

..... და განდგომა

ორბელთა საგვარეულოს ოცი წლის მანძილზე დაგროვილი
უკმაყოფილება თავიდან ანის-ქალაქის მფლობელობას და ამირობას
უკავშირდებოდა. იმ პერიოდში ქალაქები დიდი სიმდიდრის წყარო
განდა. ამიტომაც დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ,
დიდგვაროვანი ფეოდალები დიდად იყვნენ მოწადინებულნი ხელო
ეკლისით და შეენარჩუნებინათ სიმდიდრისა და ძლიერების ისეთი
საშუალება, როგორიც იყო ქალაქები. ქვეყნის აღმშენებლობის
კვალობაზე ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან მიღებული შემოსავალი
თანდათან იზრდებოდა. ამიტომაც იყო, რომ ფეოდალური
არისტოკრატია თავგამოდებით იბრძოდა ქალაქების დაუფლებისა
და ვაჭარ-ხელოსნებზე კონტროლის მოსაპოვებლად. თავის მხრივ
სამეფო ხელისუფლებაც ყოველნაირად ცდილობდა ქალაქებზე
თავისი უფლების შენარჩუნებას.



შეა საუკუნეებში საქართველოს ქალაქები, მათი კუთხით და სიზურებით თვალსაზრისით, რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა:

1. “ძველი ქალაქი”, როგორც, მაგ. ობილისი და ქუთაისი, საფეოდალოდ არ გაიცემოდნენ; ისინი უშუალოდ სამეფო ქალაქები იყვნენ და მართვა-გამგეობა და შემოსავალი მეფის ვაზირს, მეჭურჭლეთუხუცესს ებარა.
2. ზოგ ქალაქები მეფე სამამულოდ (ანუ საშვილიშვილოდ) ხელმოსხლეტით გასცემდა ხოლმე რაიმე განსაკურებული დამსახურებისათვის. ეს ქალაქი რომელიმე დიდებულის მფლობელობაში გადაღიოდა;
3. ზოგჯერ მეფე ამა თუ იმ ქალაქის მხოლოდ შემოსავალს (მთლიანად ან ნაწილობრივ) უწყალობებდა ხოლმე ერთგულებით გამორჩეულ პირს, ხოლო ქალაქზე უფლებას თვითონ იტოვებდა. ასეთი ქალაქის მმართველობას მეფის მიერ დანიშნული მოხელე ახორციელებდა.
4. სხვა შემთხვევაში მეფე ამა თუ იმ ქალაქის მხოლოდ მოურავობას უწყალობებდა დიდებულს. ამ შემთხვევაში ეს დიდებული მხოლოდ ქალაქის მოურავის ანუ მეფის აღმასრულებელი პირის ფუნქციებს ასრულებდა და სამოურავო შემოსავლით უნდა დაკმაყოფილებულიყო. ხოლო ეკონომიკურად და სოციალურ-პოლიტიკურადაც ქალაქი, მეფის მმართველობაში რჩებოდა “ (13,176.).

ამ უკანასკნელი წესით (როგორც მოურავი) მართავდა რამდენჯერმე ანისს ივანე ორბელი, მაგრამ სამეფო კარზე მდგომარეობის გამყარების კვალობაზე პატივმოყვარე ამირსპასალალარი და მანდატურთუხუცესი მეფის მოხელეობას აღარ სჯერდებოდა და ანისი “სამამულოდ და საშვილიშვილოდ” უნდოდა.

თანდათან ორბელებს მადა გაეზარდათ და გიორგი III-ს ჩამოგდებით და დემნას გამეფებით საქართველოს სამეფოს მართვა მოიწადინეს.

ორბელთა განდგომა აშკარად და ღიად სამხედრო შეთქმულებაში გამოიხატა, რომელიც ამირსპასალარისა და

მანდატურთუხუცესი ივანე ორბელის მეთაურობით 1177-1178 წლებში მოეწყო. ორბელებმა გიორგი III-ს წინააღმდეგ იმანათლებული სამხედრო ამბოხი დემნა ბატონიშვილის გამეფების „კანონიერი მოთხოვნით“ შენიდეს. მსტომარ-შზვერავთა გამართული ქსელის არსებობის შემთხვევაში საქართველოს მეფის სთვის მოულოდნელი არ იქნებოდა გაზუღუქებული დიდებულის ამბიციების დროული შეტყობა და ჩანასახშივე განადგურება (რასაც წარმატებით აკეთებდა მისი პაპა – დიდი დავით აღმაშენებელი), მაგრამ ამ შემთხვევაში სამხედრო ამბოხს სათავეში ედგა სწორედ ის პიროვნება, რომელიც ერთდროულად თავდაცვის, უშიშროების და შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და რომელსაც თავად ევალებოდა ამბოხის გამოვლენა.

მსტომარეობა თამარის გამეფების წინ

გიორგი III-ს მეფიობის მეორე ნახევარი ანუ 1170-1184 წლები, განსაკუთრებით დაძაბული იყო. ქვეყანაში მრავლად არსებულ საგარეო და საშინაო პრობლემებს თან ისიც ერთვოდა, რომ საქართველოს სამეფო ტახტის ვაჟი-მემკვიდრე არ ჰყავდა. გიორგი მეფეს ერთადერთი მცირეწლოვანი ქალიშვილი თამარი უნდა დაესვა მეფედ. ეს იმ პერიოდში მთელ ახლო აღმოსავლეთში უპრეცენდენტო ფაქტი იყო. მეფის ამ სურვილს სერიოზული ფარული წინააღმდეგობა ჰქონდა როგორც დიდგვაროვანი აზნაურების, ასევე ეკლესიის მხრიდანაც. თუმცა განსაკუთრებით სახიფათო გიორგი III-ს უფროსი ძმის დავით V-ის შვილის დემნა-დემეტრეს სამეფო ტახტის დაკავების პრეტენზიები იყო. მით უფრო, რომ მას ზურგს სიმართი - საქართველოში რეალური ძალაუფლების მხრივ მეორე პირი, ქვეყნის ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი ივანე ორბელი უმაგრებდა.

1177-1178 წლების სამხედრო ამბოხი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა მეფის სთვის. ის მცირე ამალით თბილისთან ახლოს ისვენებდა, როცა კოჯორთან ივანე ორბელმა 30 ათასიანი ჯარი შეკრიბა და მეფის დასატყვევებლად დაიძრა.



თავდაცვის და უშიშროების მინისტრმა, რომელსაც ჯარი-სპა და მსტოვრები ემორჩილებოდა, ხანგრძლივი მოლაპარაკებებით შეძლო სხვა დიდგვაროვნების გადაბირება და სამხედრო ამბოხის წამოწყება. ამ დროს გიორგი III სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდა. აჯანყებულთა ბანაკში აღმოჩნდნენ დიდგვაროვან აზნაურ ხელისუფალთა დიდი უმრავლესობა ანუ “ყველა ორბელთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა სამცხეთა, ჰერთა, კახთა და სადაცა ვინ ნათესავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო” (12,18). მათი მიზანი მეფის დატყვევება და სამეფო ტახტზე დემნას აყვანა იყო.

რატომ მიემზრო აჯანყებულებს დიდგვაროვანთა უმრავლესობა? ჩვენი აზრით ამის მირითადი მიზეზი სამეფო ტახტის მემკვიდრის საკითხი იყო. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ქალის გამეფება არ უნდა ყოფილიყო დიდგვაროვან აზნაურთათვის და მღვდელთმთავართაოვის მიმზიდველი გადაწყვეტილება. მით უფრო მაშინ, როცა, ზოგიერთის აზრით, არსებობდა მეფობის სხვა კანდიდატიც - დემნა უფლისწული, რომელიც, მემატიანის სიტყვებით “სახე-კეთილი და ყოვლით ხელით მარჯვე და ნასწავლი” ყოფილა. (დასახელებული წყარო, 18 გვ.).

თბილისში გამაგრებულ გიორგი III-ს ყველაზე მეტად მონასპის სარდალმა, ნაყივჩაღარმა ყებასარმა უერთგულა, რომელმაც 500 მეომარი მიაშველა განსაცდელში ჩავარდნილ მეფეს. აჯანყებულები კარგად გამაგრებულ პოზიციებზე იერიშის მიტანის ვერ ბედავლნენ და ყოფილი მეფე და ჯარის შეყრა დაიწყო. გამრეკელ-თორელი იყო ამბოხებულ დიდებულთაგან პირველი, ვინც მეფესთან გამოცხადდა და პატივება სთხოვა, შემდეგ მას მხარგრძელებდა და სხვებმა მიბაძეს. ასე თანდათან დასუსტდნენ ივანე ორბელი და მისი მომხრენი და გაძლიერდა გიორგი III სამხედრო ძალა. ძალე მეფემ თავად შეუტია აჯანყებულებს. ისინი იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ და ლორეს ციხეში გამაგრებულიყვნენ. თან იმედგადაწურულებმა, საქართველოს დაუძინებელ მტრებს შაპარმენს და ელდიგუზის ძეს დახმარების თხოვნით შეამავლები გაუგზავნეს. გიორგი მეფემ დაასწრო და ლორეს ციხეს გარშემოერტყა. ამბოხებულთაგან პირველი დემნა



უფლისწული გამოვიდა ციხიდან და მეფეს პატიება სიხოვა. შემდეგ კი სხვებიც “გამოასხეს”. გიორგი III სასტიკად გაუსწოდა აჯანყებულებს: დემნა დაასაჭურისეს, თვალები დათხარეს და კლდეკარის ციხე-ქალაქის დილევში გამოამწყვდიეს, სადაც მაღვევი გარდაიცვალა. ივანე ორბელს თავი მოკვეთეს. ასევე სიკვდილით დასაჯეს დანარჩენი მოღალატენიც. აღსანიშნავია, რომ დემნა უფლისწულის სიკვდილის შემდეგ საქართველოში სამეფო გვარის მამრობითი შთამომავალი აღარ დარჩა.

გამარჯვებულ მა მეფემ ამირსპასალარად და მანდატურთუხუცესად სრულიად უგვარო, მაგრამ ერთგული ქვეშვრდომი ყუბასარი დააყენა. სამეფო კარზე ასევე დაწინაურდნენ აურიდონი, ჭალერი, გამრეკელ-თორელი, ყუთლუ-არსელანი და სხვები.

თბილისში დაბრუნებულ გამარჯვებულ მეფეს ახალი მოულოდნელობა ელოდა – მას მოწვეული დახვდა საეკლესიო კრება, რომელიც თხოულობდა, რომ საეკლესიო ქონებაზე და მამულებზე დაწესებული სახელმწიფო გადასახადი გაუქმდებულიყო და ეკლესიის ქონებრივი “შეუვალობა” მეფეს ძველებურად აღედგინა. დრო მარჯვედ იყო შერჩეული. გიორგი მეფეს ამბოხის ჩაქრობის შემდეგ ქვეყანაში ახალი დაპირისპირება ხელს არ აძლევდა. გარდა ამისა, მეფეს ეკლესიისგან თანხმობა და მხარდაჭერა სჭირდებოდა მცირეწლოვანი ქალიშვილის, თამარის ტახტის მექვიდრედ და თანამესაყდრედ დამტკიცების საკითხშიც.

გიორგი III სამართლიანად შიშობდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მის ქალიშვილს გამეფებისას დიდი სიძნელები შეუქმნებოდა. ამიტომ მეფე იძულებული იყო ეკლესიისთვის შეუვალობა მიენიჭებინა და საეკლესიო მიწები გაეთავისუფლებინა გადასახადებისაგან. სავარაუდოდ, ამის სანაცვლოდ ეკლესია წინააღმდეგი არ იყო, როცა 1179 წელს მეფემ თამარი თანამოსაყდრედ აკურთხა. ხუთი წელი თამარი გიორგი III-ს თანამეფედ ითვლებოდა. ძნელია იმის თქმა, ამ მცირე დროში რამდენად კარგად გაერკვა ახალგაზრდა ქალი სამეფოს მართვის სირთულეებში. ფაქტი ერთია - 1184 წელს გიორგი მეფის გარდაცვალების შემდგომ რამდენიმე წელი, ქვეყანას რეალურად



მართავდნენ თამარ მეფის მამიდა, რუსუდან დელოფაზუნაზუ
შტიგნბართუხუცესი-ჰყონდიდელი, იმავდროულად საქართველოს
ეკლესიის პირველი პირი მიქაელ მირიანის ძე. ამ ფაქტორმა
უარყოფითი გავლენა იქნია, როგორც თამარ მეფის პირად
ცხოვრებაზე, ისე საკადრო პოლიტიკაზე და საერთოდ, ქვეყნის
ძლიერებაზე.

სამწუხარო რეალობა იყო, რომ გიორგი III-ს დროს
მსტოვრობის საქმე დაღმავალ გზაზე წავიდა. სამხედრო საქმის
მსტოვრები, საგარეო დაზვერვა და შიდა პოლიტიკური დაზვერვა
არათუ ვერ გაძლიერდა, პირიქით, მნიშვნელოვნად დაქნინდა. მეფე,
როგორც უზენასი და ერთმართველი მონარქი, არ ფლობდა ზუსტ
და დროულ ინფორმაციას მეზობელ და ყმადნაფიც ქვეყნებში
მიმდინარე პროცესებზე. სახელმწიფოს შიგნით კი, ვერ
აკონტროლებდა ჯარში არსებულ სიტუაციას, დიდგვაროვან
ხელისუფალთა წრეში სულ უფრო მომძლავრებულ უკამყოფილებას
და საქართველოს ეკლესიის არერთვაროვან განწყობას. ჯარს
და მსტოვრებს ათწლეულების მანძილზე ხელმძღვანელობდა ივანე
ორბელი, რომელმაც რამდენჯერმე უღალატა მეფეს. სწორედ ეს
იყო გიორგის მეფობის პერიოდში მსტოვრობის დაკნინების
მთავარი შედეგი.

ერთგული ყუბასარის ამირსპასალარის და
მანდატურთუხუცესის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პოსტებზე
დანიშვნით გიორგი III ცდილობდა დარჩენილ წლებში
გამოესწორებინა მდგომარეობა, აღვდგინა და განემტკიცებინა პირადი
კონტროლი ჯარზე, მსტოვართა ქსელზე, რათა სამეფო
ერთმმართველობის ეს მძლავრი ბერკეტები თავისი მემკვიდრის
– თამარ მეფისთვის გამართულ მდგომარეობაში, ერთგული
დიდგვაროვნებით დაკომპლექტებული დაუტოვებინა.

III. მსტომრობა თამარ მეფის მარქაზი



თამარ მეფის შესახებ თხრობა, ჩვენი ვარაუდით, ცოტა არ იყოს სარისკო და უძალური საქმეა. საქართველოს პირველი ქალი-მეფე საუკუნეების მანძილზე იმდენად იყო იდეალიზებული და გახატებული, რომ დღესაც – XXI საუკუნეში თამარ მეფის მოღვაწეობის ობიექტური ანალიზი და კანონიზირებული პოსტულატების ოდნავ კრიტიკული განხილვაც კი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გაღიზიანებას და აღმუოთებას იწვევს. თამარის მეფობის პერიოდის შესწავლა ტაბუდადებული თემებითაა შეზღუდული. ამ დროს კი, დაგვირვებული თვალი თამარის მეფობის პერიოდში, განსაკუთრებით კი მისი გამეფობის პირველ წლებში, ბევრ ისეთ მოვლენას და ფაქტს წააწყდება, რომელიც ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ქაოსზე და მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების აშკარა დასუსტებაზე მეტყველებს. ივანე ჯავახიშვილი ყოველთვის ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა თამარის მეფობის შუქ-ჩრდილებს. ამიტომაც მისი ნაშრომები ამ ეპოქის კვლევისთვის ფასდაუდებელი განხია.

თამარ მეფის მოღვაწეობა პირობითად სამ პერიოდად შეიძლება დავყოთ: ჟამი სისუსტისა, ჟამი გაძლიერებისა და ჟამის სიძლიერისა. მსტომართა ინსტიტუტიც, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი სახელმწიფოს ერთიანობის და ძლიერებისა, ამ თანმიმდევრობით ვითარდებოდა.

ჟამი სისუსტისა

ეს პერიოდი თამარის ხელმეორედ მეფედ კურთხევიდან იწყება და მისი პირველი ქმრის, საქართველოდან გაძევებული იური რუსის (იური ბოგოლიობსკის, იგივე “უბედური რუსის”, როგორც მას ივანე ჯავახიშვილი მოიხსენიებს) პირველი სამხედრო ამბობის დამარცხებით მთავრდება. ეს, საქართველოს ისტორიაში საკმაოდ დაძაბული მონაკვეთი 1184-1191 წლებს მოიცავს.

ახალგაზრდა ქალ-მეფეს პრობლემები პირველივე ლიტერატურული შეკვეთისა

1184 წლის მარტში გიორგი III-ს დაკრძალვის შემდგომ, დიდგვაროვანმა აზნაურებმა თამარის მეფედ კურთხევა ხელმიორედ მოითხოვეს. ცნობილია, რომ ექვსი წლით ადრე, 1178 წელს, თამარი უკვე იყო მამის თანამოსაყდრედ დასმული, რაც გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ მის უპირობო გამეფებას გულისხმობდა. მაშინ გიორგი მეფისთვის გაწეული სამსახურისთვის ეპისკოპოსმა მიქაელ მირიანის ძემ საქართველოს კათოლიკოსობაც კი მიიღო.

ჩანს, რომ მეფედ კურთხევის განმეორებითი ცერემონიალის ჩატარების მოთხოვნით, რაც არანაირი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული, დიდგვაროვანებს ახალი ჯილდოების – “სახელოების” (თანამდებობების) მიღების დაუკებელი სურვილი ამოძრავებდათ, იმავდროულად ახალგაზრდა მეფე-ქალისთვის საკუთარი ძალის და მნიშვნელობის დამტკიცებაც სურდათ. თანაც მეფე მათგან გარკვეულად დავალებული გახდებოდა. ასე, რომ შანტაჟის გზით თანამდებობების მიღება ჯერ კიდევ გიორგი III-ს დროიდან დაწყებულა.

ყოველივე ეს დიდგვაროვან აზნაურთა გარკვეული ფენის, მანამდე არნახული გაძლიერების და ცენტრალური სამეფო ხელისუფლების დასუსტების დასაწყისი იყო.

ამ პერიოდში თამარ მეფეს ერთგული, ძლიერი და პროფესიონალი მოხელეები გვერდით არ ჰყავდა. გიორგი III-ს მიერ დაწინაურებული “უგვარო” მოხელეები – ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი “ნაყივჩაღარი” ყუბასარი და მსახურთუხუცესი, წინათ “აზნაურის ყმობაში” ნაყიფი, აფრიდონი 1184-1186 წლებში იძღვნად იყვნენ შევიწროვებულნი და უფუნქციოდ დატოვებულნი, რომ საკუთარი თავის გადარჩენისთვისაც კი ვერ მოქმედებდნენ.

თამარის მეორედ კურთხევის სანაცვლოდ კათალიკოსმა მიქაელმა იმავდროულად ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის უნიშვნელოვანები “სახელოც” მიიღო (უფრო სწორედ, თამარის მამიდის რუსუდან დედოფლის წყალობით პირველი ვაზირობა

“გიორგი” გიორგი III-ს მიერ დანიშნულ ანტონ გლონისთავისძეს). ერთხურობა
ამის შემდეგ მიქაელი გახდა ყველაზე (თვით ქალწულ-მუჭტევე
კი) გავლენიანი პირი საქართველოს სამეფოში. ის საკუთარი
შეხედულებისამებრ წარმართავდა როგორც საერო, ასევე საკულტო
საქმეებს. ეს ფაქტი სამეფო ხელისუფლების მეორე მარცხი იყო.

ქართული და უცხოური ისტორიული წყაროების ანალიზიდან
კარგად ჩანს, რომ სწორედ მიქაელ მირიანისძე იღგა იმ
დიდებულების ზურგსუკან, რომლებიც თამარ მეფეს “უგვარო”
დიდმოხელეების – ყუბასარის და აფრიდონის სამეფო კარიდან
გაძვებას და მათთვის პატივის აყრას მოითხოვდნენ. წინააღმდეგ
შემთხვევაში განდგომით იმუქრებოდნენ. ცხადია, სამეფოს პირველი
ვეზირის მხარდაჭერის გარეშე ისინი ახალგაზრდა მეფის
შევიწროვებას და ულტიმატუმის წაყენებას ვერ გაბედავდნენ.

მთავარი სამიზნე, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი
ყუბასარი, რომელსაც ნომინალურად საქართველოს შეიარაღებული
ძალები (ჯარი, ლაშქარი, მონა-სპა) და მსტორართა ქსელი
ემორჩილებოდა, ავადმყოფობის ან დაბალი პროფესიონალიზმის
გამო, გაფიცულ და გაყოფოჩებულ დიდგვაროვან აზნაურთა ფარულ
მიზნებსა და გეგმებს დროულად ვერ იტყობდა. მას არ გააჩნდა
წინმსწრები სადაზვერვო ინფორმაცია, რის გამოც დიდგვაროვანთა
ულტიმატუმი “გამოუცდელ ქალწულ-მეფეს და მის მთავრობას . . .
ისე სწრაფად და მოულოდნელად დაატყდათ, რომ
თავზარდაცემულებმა ვერაფერი მოახერხეს ურჩ დიდგვარიან
მოხელეთა საწინააღმდევოდ” (10,246).

თამარ მეფე იმულებული გახდა ურჩ დიდებულთა ნებას
დაყოლოდა, თუმც შეძლო ყუბასარის ნაწილობრივ დაცვა,
გარდაცვალებამდე პატივი არ მოაკლო და ლორეს ციხეც დაუტოვა.
მსახურთუხუცესს (ანუ დღევანდელი შესატყვისით მეფის
აღმინისტრაციის უფროს) აფრიდონს კი თამარშა ვერაფერი
უშველა და, როგორც თამარის პირველი ისტორიკოსი აღნიშნავს,
აფრიდონი ერთიანად “მოიშალა და დაიმხო”.

თამარ მეფის ამ ორი უგვარო ერთგული მოხელის მოცილების
შემდეგ კვლავ დაწინაურებულ დიდგვაროვნებს მეფის დაშანტაჟებისა



და ულტიმატუმების წაყენებისთვის უფრო მეტი თავისუფლება მიეცათ. ისინიც დაუღალავად შეუდგნენ ცენტრალური ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობების დაუფლებისთვის ბრძოლას. ორგორც შემდგომ განვითარებული მოვლენები გვიჩვენებუნ, სავარაუდოა, რომ ურჩ დიდებულთა ამ მოთხოვნებს, კვლავ აღზვების გზაზე მდგარი მხარგრძელების, თორელ-გამრეკელების დიდი სახლები უჭერდნენ მხარს. ისინი 1177-1178 წლების დემა უფლისწულის აჯანყების დროს თავიდან მეამბოხეთა მხარეზე იდგნენ და სწორედ გიორგი III-ს ერთგულ ყუბასარსა და აფრიდინს ებრძოდნენ. ამ “უგვარო” დიდმოხელეთა გადაყენების შემდეგ ყველაზე მეტად სწორედ მხარგრძელებმა და თორელ-გამრეკელებმა იხეირეს.

“ბედნიერი ლომის” პრეტენზიები

სამეფოს კარის მორიგი მარცხი მეჭურჭლეთუხუცეს (ანუ ფინანსთა მინისტრი) ყუთლუ-არსლანის (რაც თურქულად “ბედნიერ ლომს” ნიშნავს) მომხრეთა გამოსვლა და სამხედრო აჯანყების მუქარა იყო. იძულებითი საკადრო ცვლილებების შემდეგ თამარ მეფეს ის ნომინალური დასაყრდენიც აღარ პქონდა არმიასა და მსტოვრებში, რაც სახელმწიფოს სტაბილური მართვისათვის იყო აუცილებელი. ამიტომ ყუთლუ-არსლანის დასის გაფიცვა და სამეფო ხელისუფლების მმართველობის შეკვეცის მკვეთრი პოლიტიკური მოთხოვნები ახალგაზრდა მეფისთვის სავსებით მოულოდნელი და გამაოგნებელი აღმოჩნდა. თამარის ისტორიკოსის სიტყვებით, ყუთლუ-არსლანს ამირსპასალარის პოსტი და სომხეთის მეფობა სურდა. ურჩი ფინანსთა მინისტრის სასწრაფო დაპატიმრებამ პრობლემა ვერ გადაჭრა, რადგანაც ყუთლუს მრავალრიცხოვანი მომხრენი თამარ მეფის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აჯანყებით დაიმუქრნენ. ახალგაზრდა მეფე იძულებული გახდა ამ მორიგ შანტაჟსაც დაყოლოდა და ყუთლუ-არსლანი გაეთავისუფლებინა.

ამ მოცემების შემდეგ თამარის ხელისუფლება მაღლებრივი უფლება მექუსტრადა.

ი. ჯავახიშვილის აზრით, დიდგვაროვან აზნაურთა გაფიცება და მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანის დასის მეფის საწინააღმდეგო გამოსვლები “უბედური რუსის” ჩამოსიძებამდე ანუ 1184-1186 წლებამდე მომხდარა.

“ვერა განაყენეს, დაღაცთუ ფრიად იღვაწეს”

წლების გასვლასთან ერთად ახალგაზრდა მეფეს გამოცდილება და სიბრძნე ემატებოდა. თამარი მაღლევე მიხვდა, რომ ქვეყანაში რეალურად არსებული ორხელისუფლებიანობის, პოლიტიკური ქაოსის და დიდებულ აზნაურთა ზღვარგადასული თვითნებობის სათავე კათალიკოსი და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მიქაელ მირიანისძის პიროვნული ამბიციები იყო. ამიტომ თამარ მეფემ პირველი ვეზირის პოლიტიკური და საეკლესიო პოზიციების დასუსტება დაისახა მიზნად. უპირველესად მიქაელის საქართველოს ეკლესიის მეთაურობიდან გადაყენება გადაწყდა, თუმცა ვეზირობიდან მიქაელის გათავისუფლება თამარისთვის უფრო იოლი გადასაწყვეტი უნდა ყოფილიყო.

თამარ მეფე და მისი მომხრენი საეკლესიო კრების მოწვევის საშადისს შეუდგნენ. იერუსალიმიდან საქართველოს ყოფილი კათალიკოსი, მიქაელის მიერ ვერაგობით და ცბიერებით გზიდან ჩამოცდებული ნიკოლოზ გულაბერისძე მოიწვიეს, დასავლეთ საქართველოდან ცნობილ საეკლესიო პირს ანტონ ჭუთათელს უხმეს. ისინი თამარ მეფის ძირითადი მოკავშირენი იყვნენ მიქაელის წინააღმდეგ დაგეგმილ საიდუმლო ოპერაციაში. თუმცა მათი ფარული მიზნები მიქაელის მსტორებისათვის უმაღვე ზდებოდა ცნობილი. საეკლესიო კრებაზე კათალიკოსი და პირველი ვაზირი მიქაელი არც კი დაუშვეს. მიუხედავად თამარის მომხრე საეკლესიო პირების დიდი მცდელობისა, ეშმაკი და ჭკვიანი კათალიკოსის გადაყენება მათ ვერ მოახერხეს (“ვერა განაყენეს, დაღაცთუ ფრიად იღვაწეს”, ასე წერს თამარ მეფის ისტორიკოსი).



ეს ფაქტი დავით აღმაშენებლის მიერ 1103 წელს ჩატარებულის უბნისის საეკლესიო კრების მოწვევის და დასახული მიზანის მიღწევისთვის ჩატარებულ მზადებასთან უნდა პარალელის აღძრავს. გავიხსენოთ საქართველოს ეკლესიის ულირსი პირებისგან გასაწმენდად, თუ რამდენი იღვაწეს დავით მეფის მსტორებმა.

თამარ მეფის მარცხი მაღვევე აისახა საქართველოს შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ქვეყანაში პოლიტიკური ქაოსი ბატონობდა, თამარს სულ უფრო მეტ კომპონმისზე და საკუთარი პოზიციების დათმობაზე უწევდა წასვლა. მისი მოწინააღმდეგების ყველაზე დიდი ვერაგობა პირველი ქმრის – “უბედური რუსის” ჩამოსიძებას უკავშირდება.

ახალგაზრდა ქალწული-მეფის საქმროს კანდიდატურა მიქაელისა და მისი ერთგული ხალხის მიერ იყო შერჩეული. თამარის ნაჩქარევად გათხოვება მისი ნების გარეშე, ერთმორწმუნა, თუმცა უცხო ერის კაცზე, თამარ მეფის ხელისუფლების კიდევ უფრო დასუსტების მოსურნე დიდებულების ვერაგული გეგმის ნაწილი იყო.

1184-1185 წლებში საქართველოში აშკარა პოლიტიკური ქაოსი და შიდა დაპირისპირება სახეზე იყო. ძალაუფლების მრავალი ცენტრის (თამარ მეფე, პირველი ვაზირი და კათალიკოსი მიქაელი, თამარის მამიდა დედოფლი რუსეუდანი და დიდგვაროვან ფეოდალთა სხვადასხვა დაჯგუფება) არსებობა ამ ქაოსის მთავარი მიზეზი იყო. სამწუხაროდ ახალგაზრდა მეფეს ქვეყნის მართვის არც დიდი გამოცდილება ჰქონდა და, როგორც ჩანს, არც ერთგული დიდებულები ედგნენ გვერდით რჩევის მისაცემად. ყველა ჯგუფი ცდილობდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებას და ძალაუფლების განმტკიცებას. ამ ვითარებაში მეფეს დაქვემდებარებულ ერთიან ჯარზე და მსტოვართა ქსელზე საუბარიც კი ზედმეტია. წინააღმდეგ შემთხვევაში თამარ-მეფის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებას ვინ გაბედავდა?

ალბათ ამიტომაც იყო, რომ 1184-1185 წლებში არც ერთხელ არ გაულაშქრავთ გარეშე მტრების წინააღმდეგ. ყველა რესურსი შიდა დაპირისპირების ჩახშობაზე იხარჯებოდა.



გამეფებიდან ორ წელიწადში თამარის სამეფო ხელისუფლების სისუსტე კიდევ ერთხელ მაშინ დადასტურდა, როცა გათხოვდა მართვისა და ქმრის მოგვრაც კი, პირველი ვაზირის და კათალიკოსის მიქაელის მონდომებით, თამარის გარეშე გადაწყვიტეს და სასიძოს ჩამოსაყვანად ხალხიც გააგზავნეს.

ამ “სპეცოპერაციის” მოთავეებმა საკმაოდ კარგად გათვალისწილებული სვლა და თავდაპირველად წარმატებაც მათ მხარეს იყო. გეგმის მიხედვით, პირველ ეტაპზე თამარ მეფის სასწრაფო გათხოვების აუცილებლობა წამოსწიეს წინ.

ისინი “უშვილობასა მოახსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფობასა დრტვინავდეს, წინამძღვარსა სპათასა ითხოვდეს” (12,120). ამ არგუმენტების შემდეგ “შებნა და მოყვანა ქმრისა”-და იყო დარჩენილი. მათ უკვე შერჩეული ჰყავდათ სასიძო, საჭირო იყო მისი წარმომავლობის, სამხედრო და პოლიტიკური გავლენის და ძლიერების წარმოჩენა. “მიქაელის დასმა” აქ უკვე კლასიკურ დეზინფორმაციას მიმართა და არარსებული – რეალობად გაასაღა.

აბულასანის დეზინფორმაცია

ამრამ ქართლისა და ტფილისისამ აბულასანმა ასე დაახსიათა სიძეობის კანდიდატი: “ მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსი მთავრისა, რომელსაც მონებენ სამასნი მთვარნი რუსთანი. და იგი, მცირე დარჩომილი მამისგან, ექსორია-ქმნით დევნული გარდმოიხვეწა ბიძისა, სალავათად სახელწოდებულისაგან. და არს იგი ყივჩაღთა მეფისა სევინჯისა ქალაქსა” (12,36).

აბულასანს სასიძო ბიძისგან გაძევებულად, მაგრამ მანც ძლიერი მთავრის შვილად და თამარის საკადრისად ჰყავს წარმოჩენილი. ამ დროს კი სასიძოს მამა, დიდი მთავარი ანდრია ბოგოლუბსკი უკვე 12-13 წლის გარდაცვლილი იყო და მისი დიდებიდან და სიძლიერიდან არარა დარჩენილიყო. მისი შვილებიც წიწილებივთ მიმოეფანტა ანდრიას უმცროს ძმას ვსევოლოდს (სალავათს).



ასე რომ, ლტოლვილი ოური ბოგოლუბსკი ვერანაირი კრიტიკულური ვერ ჩაითვლებოდა ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი პოლიტიკური გათვლების ძლიერი სახელმწიფოს მეფე-ქალის შესაფერის საქმროდ.

ზანქან ზორაბაბელის საიდუმლო მისია

საქართველოს პირველი ვაზირი და იმავდროულად ქათოლიკოს-პატრიარქი მიქაელი პოლიტიკური გათვლების ხორცშესხმას ჩატარდა.

ყივჩაღეთში სასწრაფოდ დიდ-ვაჭარი ზანქან ზორაბაბელი გააგზავნეს და მანაც “შსწრაფლ მისრულმან ცვალებითა პუნეთათა წამოიყვანა და მოიყვანა” (12,37) ოური ანდრიას ძე ბოგოლუბსკი.

რას ჩქარობდნენ ის ოჯახაშენებულები, მომავალ სიძეს, ყივჩაღეთში გადაწვეწილ იური-რუსს საპატარიძლო-დედოფლების რიგი ედგა და მოსწრებაზე იყო საქმე?

თამარის პირველი ისტორიკოსი აღნიშნავს: “პატრიარქმან, დიდებულთა, ვაზირთა და სპათა მოახსენეს თამარსა და მათგან ნება დაურთავი განამზადეს ქორწილი” (12,37).

თამარი გოდებდა: “კაცნო, ვითარ ღირს არს შეუტყვებელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მხედრობისა, არცა ბუნებისა, და არცა ქცევისა. მაცალეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკუე მისი” (12,120). არ შეისმინეს და თამარის აშკარა და დაუფარავი წინააღმდეგობისდა მიუხედავად ის აიძულეს იური რუსს გაჰყოლოდა ცოლად.

ქვეყნისთვის მართლაც საჭირობოროტო, მაგრამ ამავე დროს ძალზე ფაქიზი და პირადული საკითხი – საქმროს არჩევა და გათხოვებაც კი, თამარის მოწინააღმდეგეთა დასმა საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოიყენა.

ჩვენი აზრით, თამარისთვის საქმროს შერჩევაში აბულასანი ძალზე გავლენიანი პოლიტიკური დასის სურვილს ახმოვანებდა. ასეთი გავლენიანი პიროვნება იმ პერიოდში მხოლოდ მიქაელ

მირიანისე იყო, რომელიც ორივე უმაღლეს – საერო და საეკლესიულო
თანმდებობას ერთდროულად ფლობდა.



თამარის და იური რუსის თანაცხოვრების პერიოდში (1185 – 1187-1188 წწ.) აბულასანმა ერისთავთ-ერისთავობას და მეჭურჭლეულურების მიაღწია. იგი იურის ერთგული მსახური იყო, მისი წინადაღებით ჩამოიყვანეს სიძედ და შესაძლებელია მანამდე იცნობდა კიდეც. მისი კარიერა იურის გაძევებასთან ერთად დასრულდა.

თამარის პოლიტიკურმა მოწინააღმდეგებმა ტყუილ-მართლით შეძლეს იური ანდრიას ძის ერთადერთ და ყველაზე შესაფერის სასიძოდ წარმოჩენა.

საინტერესოა მართლაც ასე აუცილებელი იყო 18-19 წლის ახალგაზრდა ქალი - მეფისთვის ცხრა მთას იქიდან საქმროს ჩამოყვანა?

დამოყვრება, როგორც სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგია

დინასტიური ქორწინებები, სხვადასხვა ქვეყნის სამეფო ოჯახებს შორის დამოყვრება დიდი სამხედრო და საგარეო-პოლიტიკური მიზნების აღსრულებისთვის ხდებოდა. ამგვარი ფაქტები უძველესი დროიდან არის ცნობილი. ამ სტრატეგიას ქართველი მეფეებიც ხშირად იყენებდნენ, უფრო ხშირად მოკავშირებთან, ხანდახან კი გუშინდელ მტრებთან სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების გასამტკიცებლად თუ ზავის და მშვიდობის შესანარჩუნებლად.

დამოყვრების ინსტიტუტი ხშირად სარწმუნოებრივ მოთხოვნებსაც არღვევდა. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებლის მეორე ცოლი გურანდუხტი, ყოვჩალთა მთავრის ათრაქა შარალანის ძის ასული იყო. მათი ქალიშვილებიდან ერთი, თამარი მიათხვეს შირვანის შაჰს მანუჩარ II-ეს, ხოლო მეორე კატა, ბიზანტიის კოისარ იოანე კომნენტის უმცროს ძმას, ალექსის გიორგი III ცოლად ჰყავდა ოვსთა მეფის ასული, ულამაზესი

ბურდუხანი, სწორედ მათი შვილი იყო საქართველოს პირველი ქალი-მეფე თამარი.

რუსეთშიც მიღებული იყო დამოყვრების სტრატეგია. რუსი მთავრები, მეზობელი ქვეყნების სამეფო ოჯახებთან საქორწინო კავშირების დამყარებით ცდილობდნენ საკუთარი სამხედრო და შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გამყარებას. ხშირად პოლიტიკური და სამხედრო მოსაზრებები ჩრდილოვალენ რელიგიურ-სარწმუნოებრივს და რუსი მთავრები ყივჩაღებსა და მონღოლებსაც კი უმოყვრდებოდნენ. რუსი ისტორიკოსების გამოკვლევებით დადგენილია, რომ 1043 წლიდან მოყოლებული, ვიდრე XIII საუკუნის დასასრულამდე, მარტო რუსეთ-პოლონეთის დიდი ფეოდალების ოჯახებს შორის 15 “დი პლომატიური” საქორწინო კავშირი იყო დამყარებული. რუსი მთავრები ასევე ემოყვრებოდნენ ბიზანტიის, უნგრეთის, ხეხეთის, გერმანიის, ინგლისის და ლიტვის სამეფოებსაც. დიდ მთავარს ვლადიმერ მონომახს ცოლად ჰყავდა ანგლო-საქსონიის მეფის პაროლდის ქალიშვილი პილა.

რუს მთავართა დინასტიური ქორწინებების ისტორიების შესწავლისას, საბჭოთა და რუსი მკვლევარები რატომღაც გვერდს უვლიდნენ იმ პერიოდში საქართველოს სამეფოსა და რუსეთის სამთავროების დამოყვრების ორად-ორ შემთხვევას. პირველი იყო კიევის დიდი მთავრის იზიასლავის მიერ 1154 წელს მეორე ცოლად ობოზების ქალის მოყვანა, ხოლო მეორე 1185-1186 წლებში იური ბოგოლუბსკის ჩამოსიძება.

დამოყვრების ინსტიტუტის ზოგადი პრინციპების თანახმად და შორს მიმავალი სამსედრო და საგარეო-პოლიტიკური მიზნების გათვალისწინებით, საქართველოს სამეფო კარის (დედოფლი რუსუდანი + პირველი ვაზირი და კათალიკოსი მიქაელ მირიანისე) + დიდგვაროვანი აზნაურები + “ლაშქარი”-ანუ მხედართმთავრები) გადაწყვეტილება რუსეთის რომელიმე დიდ მთავართან დამოყვრების შესახებ, პრინციპულად სწორი იყო. ლოგიკურად საქმროდ უნდა მოექცენათ ძლიერი და გავლენიანი სამთავროს ან სახელმწიფოს უფლისწული და ამ გზით დაემყარებინათ მჭიდრო სამხედრო,

პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები ერთმორწმუნებული რუსეთთან.

იური ბოგოლიუბსკის კანდიდატურა ვერცერთ კრიტერიუმს ვერ პასუხობდა და ჩვენი აზრით, შევნებულად უაღრესად მცდარად იყო შერჩეული.

თავად განსაჯეთ, ნოვგოროდის მთავრად 1172-74 წლებში ფორმალურად მყოფი იური უკვე ცხრა წლის გაძევებული იყო რუსეთის სამთავროებიდან და ყოვჩალეთში აფარებდა თავს, ამიტომაც მას არანაირი სამხედრო-პოლიტიკური გავლენა აღარ ჰქონდა და არც რაიმე სამფლობელო ებადა.

იცოდნენ თუ არა ეს მნიშვნელოვანი გარემოება მისი ჩამოსიმების ინიციატორებმა? უეჭველია ყოველივე ზედმიწევნით იცოდნენ. უფრო მეტიც, ეს გარემოება მათ ხელს აძლევდა. რაღაც აც “უკატრონო” რუსი, სულ მალე, იოლი სამართავი უნდა გამხდარიყო.

თამარის მოწინააღმდეგე პოლიტიკური დაჯგუფების ფარული გათვლა საქმაოდ მარტივად იშიფრება – უცხო ტომის კაცს საქართველოში დასაყდენი და მრჩეველი უცილობლად დასჭირდებოდა. ასეთებად კი მისი ჩამოყვანის ინიციატორები – მიქაელი და მისი დასი გახდებოდნენ და თანდათანობით ქვეყნის მართვის სადაცები მათ ხელში აღმოჩნდებოდა.

თამარის “ასწრაფებულმა”, ნაჩქარევმა გათხოვებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა 1184-1185 წლებში მისი სამეფო ხელისუფლების სისუსტე.

ცნობილია, რომ ყოვჩალეთიდან რუსი სიბის ჩამოყვანის ინიციატორი აბულასანი იყო. რომელი წყაროებიდან და რა ინფორმაცია შეიძლება ჰქონოდა ქართლის და ტფილისის ამირას? რამდენად ზუსტი იყო ეს ინფორმაცია? – ეს კითხვები ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია.

მსტოვრების “კადრების სამჭედლო”



იმ ეპოქაში ინფორმაცია არანაკლებ ძვირად ფასობდა, ვიდრე დღეს. მუდმივი და პლომატიური ურთიერთობების არარსებობის და ელჩების არყოლის პირობებში, ინფორმაციის მოპოვება (რაც მსტოვრის უმთავრესი მოვალეობაცაა) ვაჭრების, მოგზაურების, პილიგრიმების და ქვეყნიდან-ქვეყანაში მოხეტიალე ექიმბაშების ძირითადი საქმიანობის დამატებითი ფუნქცია იყო. მდიდარი და შორისმჭვრეტელი მმართველები ხშირად მსტოვრებს ვაჭარ-მოგზაურებად ნიღბავდნენ და უხვადაც აფინანსებდნენ მათ კოიაუებს. იმ პერიოდში ქართველი მოგზაურების მიერ ჩრდილოეთის მიმართულებით რაიმე ექსპედიციის შესახებ რაიმე სარწმუნო ინფორმაცია არ მოიპოვება. ვაჭრობა კი ყივჩაღებთან, სავარაუდოდ მანც აქტიურად ხორციელდებოდა.

ამიტომაც საფიქრებელია, რომ აბულასანს ოური ბოგოლუბსკის შესახებ ინფორმაცია იმ ვაჭრებიდან ექნებოდა, რომლებსაც ყივჩაღების მთავარ სევინჯთან და მის ძმა სალავათთან მიმოსვლა ჰქონდათ.

თავად აბულასანი, ქართველი ისტორიკოსების (მაგ. პროფ. შ. მესხია) აზრით, დიდვაჭართა წრეს ეკუთვნოდა და ტფილისის ამირად გიორგი III-ს მეფობის უკანასკნელ წელს დანიშნული, დღაქალაქის ვაჭრების და ხელოსნების უშუალო ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებდა. შემდეგ კი, ოური რუსის ხელშეწყობით მეჭურჭლეთუხუცესობამდე (ფინანსთა მინისტრობამდე) აღზევდა. ძნელი მისახვდრი არ უნდა იყოს, რომ სწორედ ოურის ჩამოყვანის ინიციატივისა და ამ საქმის ორგანიზების გამო.

სასწრაფოდ შედგენილი დელეგაციის ხელმძღვანელობა დიდვაჭარ ზანქან ზორაბაბელს ანდეს. საინტერესოა, ზანქანს მხოლოდ “ექსპედიტორის” ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული და სასიძო სასწრაფოდ უნდა ჩამოეყვანა და უვნებლად ჩაებარებინა პირველი ვეზირისთვის, თუ ჯერ ინფორმაცია უნდა შეეკრიბა ოურის ზნეჩვეულებებზე, მის ავ-კარგზე და მხოლოდ ამის შემდეგ წამოებრმანებინა საქართველოში?



ჩვენი აზრით პასუხი ერთმნიშვნელოვანია. თუ გავითვალისწინებთ მწიგნობართუხუცესისა და კათალიტიკურობას მიქაელის დასის სურვილს, რაც შეიძლება სწრაფად გაეთხოვგბინათ ახალგაზრდა გვირგვინოსანი, მაშინ ზორაბაბელს ობიექტურად დროც არ ყოფილი დია და ფარული მეთოდებით ინფორმაციის შესაკრებად. გარდა ამისა, ეს ყველაფერი გამოცდილი და კარგად “დაგეშილი” მსტორის ალღოს მოითხოვდა. ჰქონდა კი ეს თვისებები დიდვაჭარს? სავარაუდოდ, არა.

ამიტომაც იყო, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი აღნიშნავდა:

“და ესე ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისია მეცნიერ იყვეს, რომელსაცა იგი მოიყვანებდეს” (12,119).

ეს მწარე და განკიცხვის სიტყვები სწორედ იმის დადასტურებაა, რომ “ზანქან ზორაბაბელის მისია” წარუმატებელი აღმოჩნდა.

თამარის ეს ისტორიკოსი იური რუსისადმი უარყოფით დამოკიდებულებას ხშირად ამჟღავნებს და თუ რამეს უწონებდა ქართველების სიძეს, ეს მისი გარევნობა და შესახედაობა იყო. მის პიროვნებაში სხვა რამ დადგითი აღნიშნული არ აქვს.

“ქართლის ცხოვრებიდან” მოყვანილ ამონარიდში ისტორიკოსი იურის ჩამოყვანებს საყვედურობს, რომ მათ იქვე, ყივჩაღეთშივე ვერ გაარგვის სასიძოს ავი ზნე. მართლაც იურის ცოდვები აღგიღზე ეცოდინებოდათ ყველაზე კარგად და დელეგაციას რომ არ ეჩქარა და კარგად შეეკრიბა ინფორმაცია, იქვე დაადგენდნენ ყველაფერს.

ეს კი უპირველესად მისი ჩამოყვანის ორგანიზატორებს სჭირდებოდათ.

“.. რამეთუ არარას მეცნიერ იყვნეს ჩვეულებისსათვის მისისა” (12,119).

საკამათო არ უნდა იყოს, რომ იურის ავი ზნის და სუსტი მხარეების მოულოდნელი გამჟღავნება სწორედ “მიქაელის დასის” არ აძლევდა ხელს. იმიტომ, რომ ქართულ ტრადიციებს თუ



გავითვალისწინებთ, რუსი სიბის რეალური თუ მოგონილი შეწყვეტის აღმოჩენამ, თამარ მეფეს და მის მომხრებს იურის შემცვევის უძლიერესი არგუმენტები ჩაუგდო ზელთ.

ამ შემთხვევაში თამარ მეფის მთავარი მოწინააღმდეგის, მიქაელ მირიანის ძის ჯაშუშ-მსტოვრების სისუსტე და არაპროფესიონალიზმი სახეზეა.

შესაძლო ვერსია მის თაობაზე, რომ “მიქაელის დასმა” იური ბოგოლუბსკის ავი ზნე კარგად იცოდა და როგორც კომპრომატს მის წინააღმდეგებე იყენებდა, საეჭვოა, რადგანაც ძალზე დიდი იქნებოდა რისკი და “შები ხალათში დიდხანს ვერ დაიმალებოდა”.

“უბედური რუსის” ისტორია

ისტორიამ იური რუსს მძიმე ხვედრი არგუნა ბედად. მისი სახელი დამამცირებელი და შეურაცყოფელი ეპითეტებით შევიდა საქართველოს ისტორიაში.

საინტერესოა, რომ თამარ მეფის ორივე ისტორიკოსი სასიმის დიდ გვარიშვილობას უსვამს ხაზს. ამიტომ მის პიროვნებაზე მსჯელობა, მისი ჩვევების და ზნეობის შეფასება ეროვნულ-გენეტიკურ კონტექსტში განხილვის გარეშე არ შეიძლება.

ზედმეტი არ იქნება თუ იური ბოგოლუბსკის გენეალოგიას მოკლედ განვიხილავთ. ეს საკითხი მით უფრო აქტუალურია, რადგან ის “ავი ზნე”, რასაც იური რუსს ბრალად უყვნებენ, შესაძლოა მისი გენებიდან იღებდა სათავეს. ასევე აუცილებელია, გავარკვით ქცევის რა ნორმები იყო მიღებული XII-XIII საუკუნის რუსეთში.

ქართველების “სახეეპლუცი” სიძე რუსეთის ისტორიაში კარგად ცნობილი იური დოლგორუკის (საინტერესოა, რომ რუსი ისტორიკოსი ნიკოლოზ კარამზინი მას ხშირად გიორგი დოლგორუკად მოიხსენიებს) შვილიშვილი და კიუვის დიდი მთავრის ვლადიმერ მონომახის შვილთა შვილი იყო.

დავით აღმაშენებლის თანამედროვე ისტორიულმა მოღვაწემ ვლადიმერ მონომახმა, რომელიც 1113-1125 წლებში კიუვის რუსეთის

დიდი მთავარი იყო, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ამ ქვეყნის ისტორიაში. მან გააერთიანა რუსეთის დაქსასული სამთავროებრივი და გარკვეული პერიოდით სიმშვიდე მოუტანა ქვეყანას. ის ობიექტურად აფასებდა რუსი ერის ნაკლოვან თვისებებსაც.

XII საუკუნის დასაწყისში რუსეთის დიდი მთავარი ასე მოუწოდებდა თავის ერს: “უფრთხოდეთ ტყუილს, ლოთობას და მრუშობას. ეს ცოდვები სულსაც ღუპავს და სხეულსაც” (14,86).

გარდაცვალების შემდეგ მონომახმა რუსეთის სამთავროები თავის ვაჟებს გაუნაწილა. მამის შეურნება მათ ნაკლებად ასხოვდათ. რუსული ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ განსაკუთრებული სისასტიკით, დაუნდობლობითა და ავხორცობით იური დოლგორუკი გამოირჩეოდა.

იური დოლგორუკი - მონომახის უძლები შვილი

იური დოლგორუკი (დაიბადა XI საუკუნის 90-იანი წლებში, გარდაიცვალა 1157 წელს) რუსეთის ისტორიაში წინააღმდეგობრივი ფიგურაა. ის სუზდალის მთავარი იყო, როცა შვილი ანდრია, სუზდალის სამთავროში შემავალი პატარა სოფელ მოსკოვის ბოიარ სტეპან ივანეს ძე კუჩიას ქალიშვილ ულიტაზე დააქორწინა. საინტერესოა, რომ იურიმ ჯერ კუჩია დასაჯა სიკვდილით და ქორწილი შემდეგ გადაიხადა. იურის შვილები: როსტისლავი, ანდრე, ბორისი, გლები, ვასილე და ყველაზე უმცროსი ვსევოლოდი (რომელიც 1154 წელს დაბადებულა) შემდგომ წლებში აქტიურად ჩაერთვნენ ძალაუფლებისთვის ბრძოლაში.

იური დოლგორუკის მთავარი მოწინააღმდეგე კიევის მთავარი იზიასლავი იყო, რომელსაც მთელი ცხოვრება ებრძოდა. თავის მოწინააღმდეგე მართლმადიდებელ რუს მთავრებთან ბრძოლებში იური დოლგორუკი ხშირად იყენებდა ყივჩაღებსაც, რომელთანაც მრავალწლიანი მევობრობის და ზავის ხელშეკრულებით განმტკიცებული ურთიერთობა ჰქონდა. ამ გარემოებას ხელს ისიც უწყობდა, რომ მას ცოლად ჰყავდა ყივჩაღების ერთ-ერთი მთავრის ეპიოპის ქალიშვილი.



რუსეთის ისტორიაში იური დოლგორუკი შევიდა, როგორც
დიდი მთავარი, რომელმაც მოსკოვი დაარსა და რომელიც მასზე გადა
სძულდა ხალხს. რუსი ისტორიკოსები (სოლოვიოვი, კარამზინი
და სხვ.) წერენ, რომ მას სიცოცხლეში ერთი კეთილი საქმე არ
ჰქონდა გაკეთებულიო. ის 1157 წელს გარდაიცვალა, რაც მეტად
ნიშანდობლივ გარემობაში მომხდარა. იური დოლგორუკი ბოიარ
პეტრილას მამულში რამდენიმე დღიანი გაბმული ღრეობის შემდეგ
ცუდად შეიქმნა და ამ ლოთობას გადაჰყვა კიდეც.

“უფროსი იური” იმდენად არ უყვარდათ, რომ კიევის
მოსახლეობამ გარდაცვალება დიდი ზეიმით აღნიშნა, მისი სასახლე
კი დაარბიეს და გაძარცვეს. ჯერი დაკრძალვაზე რომ მიდგა,
იური დოლგორუკი კიეველებმა მამის – ვლადიმერ მონომანის
გვერდით დაკრძალვის ღირსადაც არ ჩათვალეს და ქალაქებარეთ
მიყრუებულ სოფელში მიუჩინეს სამუდამო სასუფეველი.

ანდრეი ბოგოლუბსკი, მთავარი რომელმაც ცხენს ძეგლი აუგო

იური რუსის მამა – სუბდალის და ვლადიმირის დიდი
მთავარი ანდრეი ბოგოლუბსკი (დაახლოებით 1111-1174 წლები)
კიევის რუსეთის დიდი მთავარი 1169-1174 წლებში იყო. ის
ახალგაზრდობიდანვე მონაწილეობდა რუსულ სამთავროებს შორის
წარმოებულ ომებში. 1155 წელს მამის დაუკითხავად გაემგზავრა
სუბდალში და მალევე დაიმორჩილა სხვა ქალაქებიც – ვლადიმირი
და როსტოვი. თვალი უფრო რუსეთის ჩრდილოეთით მდებარე
მდიდარი ნოვგოროდის და ტორუკისკენ ეჭირა.

ანდრია რუსეთის ისტორიაში დახასიათებულია, როგორც
საკმაოდ მამაცი, მაგრამ აჩქარებული და ფიცხი მეომარი. ისტორიაში
შესულია ერთი ხალხური გადმოცემა – ერთ-ერთ ბრძოლაში
ანდრია მტრის განლაგებაში ისე შორს შეიჭრა, რომ ურიცხვი
მტრით გარშემორტყმული მხოლოდ საკუთარი ცხენის
სიმკვირცხლემ და სიმარდემ იხსნა. დაჭრილმა ცხენმა მხედარი



სამშენებლოს გამოიყვანა, თვითონ კი სული განუტევა. როგორც
რუსი ისტორიკოსი ნიკოლოზ კარამზინი წერს, მადლიერმა ანდრია ცხენის
ცხენის ძეგლი აუგო.

რუსი ისტორიკოსები ანდრიას ახასიათებენ, როგორც
ღვთისმოშიშ, კეთილ და ჭიკვიან მოღვაწეს. თუმცა ეს როგორ
დასტურდება მისი მოქმედებებით მკითხველის განსჯისთვის
მიგვინდია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტეს სჯული ძალზე ნელა და
დიდი წინააღმდეგობით ვრცელდებოდა რუსეთში, განსაკუთრებით
კი მის ჩრდილოეთ ნაწილში (ნოვგოროდი, ვლადიმირი, როსტოვი,
სუზდალი და ა.შ.). კერპთაყვანისმცემლობა კვლავ ძლიერი იყო.
ხშირი იყო მრავალცოლიანობა, მონების ხარჭად დასმა,
ზღვარგადასული ლოთობა, მარხვის დღეებში ხორცის მირთმევა,
მრუშობა და სივერაგე. ეს საზოგადოების ყველა ფენის ცხოვრების
წესად იყო ქცეული.

გავიდა ნახევარ საუკუნეზე მეტი და რუსეთის საზოგადოების
მთავრი პრობლემები, სამწუხაროდ, იგივე დარჩა, რაზეც ვლადიმერ
მონომახი წუხდა.

წმინდა თეოდორ პეჩორელი ასე ახასიათებდა რუსეთის
მაშინდელ რეალობას: “ყველა ლოთობს, მრუშობს და ბოროტი
თამაშებით ერთობა” (14,78).

იმდონდელ რუსეთში, ცოდვების მონანიების მიზნით, საყდრის
და ტაძრის აგება წესად იყო შემოღებული. საყდრის აგება რუსი
მთავრებისათვის სავალდებულო საქმედაც ითვლებოდა და ეს
სამდვდელოებისა და უბრალო ხალხის გულის მოსაგებად
კეთდებოდა.

ანდრია ბოგოლუბსკის ღვთისმოსაობა და ქრისტიანული
რელიგიის რწმენა მეტად თავისებურად ესმოდა. მან ვლადიმირთან
ახლოს, ვლადიმერ ზალესკში 1158-1165 წლებში ააგო
ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, რამაც დაუმკვიდრა
“ბოგოლუბსკის” (ღვთისმოყვარე) სახელი. რუსული ისტორიული
წყაროების ცნობით, ტაძარი ბულგარეთიდან ჩამოტანილი თეთრი
ქვით უცხოელ ხუროთმოძღვრებს აუშენებიათ. შიგნით კი

კონსტანტინოპოლიდან ჩამობრძანებული მდიდრული ხატები ესტენის ტაძრის აგების და ოქროთი მოოჭვილი ხატებით გამჭული მიუხედავად ანდრია კვლავ ცოდვიან ცხოვრებას აგრძელებდა.

იმ პერიოდში კონსტანტინოპოლის პატრიარქი მართავდა რუსეთის ეკლესიას. ის ნიშავდა კიევის მიტროპოლიტს (რომელიც უმეტესად ბერძენი ეროვნების იყო), ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ რუსეთის დიდ ქალაქებში აგზავნიდა ეპისკოპოსებს. ანდრია ბოგოლუბსკიმ ამ დამკვიდრებული წესიდან გადახვევა მოინდომა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს სოხოვა სპეციალურად ახლად აგებული ტაძრის წინამძღვრად კიევიდან კი არ გამოევზავნათ ეპისკოპოსი, არამედ პატრიარქს პირდაპირ კონსტანტინოპოლიდან წარეგზავნა მიტროპოლიტი. ამ გზით ანდრია ცდილობდა კიევისაგან დამოუკიდებელი საეკლესიო პოლიტიკა ეწარმოებინა. მაშინ პატრიარქმა სასტიკად დაგმო რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ორად გახლეჩვის მცდელობა და ეპისკოპოსად ლეონი წარგზავნა. უკმაყოფილო ანდრიამ კი 1159 წელს ახლად მოსული ლეონი ვლადიმირ-სუზდალის სამათვაროდან მალევე გააძევა. რუსული წყაროები ადასტურებენ, რომ მთავარსა და ეპისკოპოსს შორის დაპირისპირების საგანი ძალზე მიწიერი იყო. ანდრია მოითხოვდა, რომ მის სამთავროში დიდი მარხვის დღებში, ასევე ოთხშაბათობითა და პარასკეობით, დაშვებული ყოფილიყო ხორცის ჭამა, ლეონი კი ამის სასტიკი წინააღმდეგი ყოფილა.

მორიგი არაქრისტიანული საქციელი ანდრიამ 1162 წელს ჩაიდინა, როცა უმცროსი ძმები (მსტისლავი, ვასილკა, მიხეილი და რვა წლის ვსევოლოდი), დედინაცვალი, მამის ერთგული ბოიარები და საეკლესიო პირები დედა-ბუდიანად გააძევა რუსეთიდან. გაივლის 13-14 წელი და კონსტანტინოპოლი თავშეფარებული დოლგორუკების ერთ-ერთი შთამომავალი, მომავალში რუსეთის დიდი მთავარი ვსევოლოდი, ან დაივიწყებს უფროსი მმის სივერაგეს და შურს მის შვილზე, იურიზე იძიებს. ქართულ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული “სალავათი” სწორედ ეს ვსევოლოდია.

ანდრია ბოგოლუბსკის თვალი რუსეთის დედაქალაქ კიევისკენ ეჭირა და 1169 წელს აჯანყება მოაწყო დიდი მთავრის შეტისლავის წინააღმდეგ. კიევი ორი დღის მანძილზე ალყაში იყო მოქცეული, მესამე დღეს კი ანდრიას მეომრები ძველი რუსეთის დედაქალაქში შეიჭრნენ და არნახული სისასტიკე გამოიჩინეს. რუსი ისტორიკოსები (მაგ. კარამზინი) მომხდარს უდიდეს სირცხვილად მიიჩნევენ. გამარჯვებულებმა დაივიწყეს, რომ ისინი რუსეთის მკიდრი ქრისტიანები იყვნენ და სამი დღის მანძილზე ძარცვადნენ კიევის მცხოვრებლებს, უცხოელ ვაჭრებს და ეკლესია-მონასტრებს. წვადნენ სახლებსა და სავაჭრო ნაგებობებს, იტაცებდნენ ხატებს, საეკლესიო წიგნებს და ზარებსაც კი. ანდრიამ არა იღონა რა ჟერიოდში ის სხვადასხვა გზებით ცდილობდა რუსეთის ჩრდილო ქალაქების დამორჩილებას.

1169-1174 წლებში ანდრია კიევის დიდი მთავარი იყო. ამ პერიოდში ის სხვადასხვა გზებით ცდილობდა რუსეთის ჩრდილო ქალაქების დამორჩილებას.

ნოვგოროდის ისტორიულ წყაროებში შემონახულია დოკუმენტები იმის შესახებ, თუ როგორ გამარცვეს და გადაწვეს ნოვგოროდის შემოგარენი ანდრიას რაზმებმა.

მრავალი სისასტიკის გამო ანდრია ბოგოლუბსკი ბევრისთვის უკვე მიუღებელ პოლიტიკურ ფიგურად იქცა და მის მოსაკლავად შეთქმულება მოაწყვეს.

შეთქმულებს სათავეში ანდრიას ცოლის ძმა, იოაკიმ კუჩა ჩაუდგა. 1174 წელს დიდი მთავრის პირადი მსახურები (ანბალ იასინი, ეფრემ მოიზოვიჩი და სხვები, სულ 20 შეთქმული) დამით ფარულად შეიპარნენ ქალაქ კლადიმირთან ახლოს, ბოგოლუბოვოში მდებარე ანდრიას რეზიდენციაში, სარდაფში ღვინით და თაფლუჭით დათვრნენ, შემდეგ ამოხოცეს მცველები და საძინებელში წარმოუდგენელი სისასტიკით მოკლეს დიდი მთავარი.

შეთქმულებმა გამარცვეს და დაარბიეს რეზიდენცია. რუსეთში მაშინ მოქმედი წესების თანახმად გარდაცვლილი მთავარი მზის

ჩასვლამდე უნდა დაეკრძალოთ. ანდრიას შიშველი გვამჟღავნა სამართლის დღე-დამის მანძილზე გარეთ უპატრონოდ ეგდო.

ამ (როგორც ზოგიერთი რუსი ისტორიკოსი აღნიშნავს) ტირანის მკვლელობით გახარებული ვლადიმერ-სუზდალის მოსახლეობა რამდენიმე დღის მანძილზე ძარცვავდა და სწვავდა ანდრიას მომხრეთა სახლებს, ხოცავდა მის ერთგულ მოხელეებს.

საკვირველია, რომ ყოვლივე ზემოთქმულის მოუხედავად ანდრია რუსეთის ისტორიაში მარც “ღვთისმოყვარე” – “ბოგოლუბსკად” დამკვიდრდა.

აი ამგვარი უახლოესი წინაპრები ჰყავდა ქართველების სიძეს იური რუსს.

იური რუსის სამეფო კარიდან გაძევების მიზეზები

თამარ მეფის და მისი მომხრეების სამხედრო-პოლიტიკური გაძლიერების პირველი ნიშანი იური რუსის სამეფო კარიდან გაძევება იყო. იმის გარკვევას კი, თუ რა გახდა საქართველოდან მისი გაძევების ნამდვილი მიზეზი (ლოთობა, ოჯახური ლალატი თუ სოდომური ცოდვები) ქვემოთ შევეცდებით.

მთლიანად ეს პროცესი ძალზე წააგავს ქართველი მსტორების მიერ კარგად დაგეგმილ და განხორციელებულ სპეციალისტების.

თამარ მეფის ორივე ისტორიკოსის მონათხრობი ადასტურებს, რომ ლაშქრობა, ნადირობა და ნადიმი – მეფეთა და დიდებულთა ცხოვრების იმდროინდელი წესი, უცხო არ იყო ქართველთა სიძისთვის. ჩანს, რომ სამეფო კარზე მოყვანის პირველივე დღიდან იური ბოგოლუბსკი ძალზე აქტიურად ჩაერთო საქართველოს ცხოვრებაში - როგორც სამხედრო ლაშქრობებში, ასევე მიდაპოლიტიკურ ინტრიგებში.

XII საუკუნის ბოლოს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ დაპირისპირებაში იური რუსს მკაფიოდ განსაზღვრული ადგილი ჰქონდა. თამარ მეფის მოწინააღმდეგე პოლიტიკური ჯგუფი,



რომელსაც მიქაელ მირიანის ძე ხელმძღვანელობდა იურის “სრულფასოვან”, მაგრამ მარიონეტ “შეფედ” ამზადებდა. მართვის გათვლებით ეს იყო ხელისუფლების ხელში ჩაგდების ერთადერთი კანონიერი გზა. შეთქმულ დიდგვაროვანთა ეს დასი, რომელსაც დიდი “სახელოები” ეკავათ სამეფო კარზე, ცდილობდა ქალი-მეფის ცენტრალიზებული მმართველობა მაქსიმალურად შეესუსტებინა და მხოლოდ სიმბოლურ მეფობად ექცია. მართვის რეალური სადაცები კი თავად აეღო. ამიტომაც დასჭირდათ სამშობლოდან გაძევებული, უთვისტომო, უქონელი უცხო ტომის კაცის ჩამოყვანა, რომელსაც მარიონეტის ფუნქციები უნდა შეესრულებინა.

თანაცხოვრების პირველივე პერიოდმა დაანახა თამარის მომხრეებს, რომ ქართველების ჩრდილოელი სიმე, რომელიც თანდათანობით ძლიერდებოდა და ავტორიტეტს იზვეჭდა ლაშქრობებსა და დარბაზობებში, სასწრაფოდ სამეფო კარიდან უნდა მოეშორებინათ. საჭირო იყო იმგვარი მიზეზის მოძიება, რომ თამარს დაუბრკოლებრივ შესძლებოდა განქორწინება.

ქართველ მეფეთა ინტიმური ცხოვრება

საქართველოს ისტორიოგრაფიაში თამარ მეფის პირველი ქმრის სკანდალური თავგადასავალის აღწერა უფრო გამონაკლისია, ვიდრე ჩვეულებრივი რამ. მანამდეც და შემდეგაც მეფეთა და დიდგვაროვანთა ინტიმური ცხოვრება მაქსიმალურად იყო დაფარული და ტაბუდადებული. ახლო აღმოსავლეთის და ევროპის ქვეყნების, ასევე რუსი უამთაღმწერლებისაგან განსხვავებით ქართველი ისტორიკოსები ყოველთვის თავს იკავებდნენ ინტიმური ცხოვრების პიკანტური დეტალების აღწერისგან.

ერთ-ერთ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს დავით აღმაშენებელთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი, რომელსაც საქართველოს დიდი მეფე თავადვე არ მაღავდა. სიჭაბუკეში ჩადენილი რაღაც ცოდვა მან ასე აღწერა თავის “გალობანი



სინანულისან” -ში: “მბრძოლ ვექტენ ყოველთა წესთა სჯულისათვის
და ქორწილითა-მიერ ხვნეშითა ვმძლავრე საწოლსა ჩემსა...
ივანე ჯავახიშვილის აზრით, შესაძლებელია დავითის თვითგვემის
მიზეზი ჭაბუკობაშივე გაშორებული პირველი ცოლისადმი
(წოვიერთი ვერსიით მისი პირველი ცოლი სომხის ქალი იყო,
ვისთანაც შეეძინა უფლისწული დემეტრე, საქართველოს მომავალი
მეფე) სიბრალული იყო. იური რუსთან დაკავშირებით კი თამარ
მეფის ისტორიკოსები თითქოსდა სპეციალურად ამუქებენ
სიტუაციას და განზრახ ამბიმებენ ბრალდებებს. მათი მიზანია
იური ბოგოლიუბსკის კომპრომეტირება და ამისთვის ყველაზე
საზარელ მიზეზს პოულობენ.

რამდენად რეალურია ისტორიკოსთა ბრალდებები?

თამარ მეფის ორივე ისტორიკოსი საკმაოდ მძიმე ბრალდებებს უყენებს იური რუსს. “სიმთვრალეთა შინა საძაგელი უწესობანი”, “შერაცხილ კაცთა გვემნა” და ბოლოს, მაშინაც და ახლაც ყველაზე საზარელ-საძრახი – “სოდომური ქცევა”.

ბრალდებების მართლაც რომ ძალზე სერიოზული “ბუკეტია”. განსაკუთრებით სოდომური ქცევისადმი მიღრეკილება იყო უმძიმესი ბრალდება. ქართული ტრადიციით ამგვარი ცოდვის ჩამდენი ყოველგვარ უფლებას კარგავდა სამეცო ხელისუფლების მაღალ პოსტზე და დიდებულებისაგან მხოლოდ ზიზღს იმსახურებდა. მასთან “პურის გატეხვასაც” კი არავინ ისურვებდა.

საინტერესოა, 1191 წელს, გაძვებიდან სამი წლის შემდეგ, “სოდომის ცოდვით” შეპყრობილ იური რუსს რატომ დაუდგა გვერდით საქართველოს დიდგვაროვანთა უმრავლესობა?

პროფ. ი. ცინცაძე სავსებით მართალი იყო, როცა წერდა:

“მაში როგორ მოხდა, რომ, იმავე ისტორიკოსთა ცნობით,
ყველასათვის საყვარელ დავით სოსლანის თამარის ქმრად მოწვევის



რამდენიმე წლის შემდეგ სასახლეში რუსი უფლისწულის ისევ
შემოსაყვანად თითქოს ნახევარი საქართველო იარაღით გამოვდინებულია
და ძმათა სისხლი დაიღვარა. გიორგი რუსი უფლისწულის
“უკეთურებანი” ყველაზე უფრო კარგად მსახურთუხუცესს ვარდან
დადიანს არ უნდა ცოდნოდა? და თუკი იცოდა, რას ფიქრობდა
იგი . . . როცა რუსი უფლისწულის სასარგებლოდ მოწყობილ
აჯანყებას სათავეში უდგებოდა”. [18,127]

დასავლეთ საქართველო (“ლიხთ იმერი”) მთლიანად იური
რუსს მიემხრო და გეგუთში მეფედ გამოაცხადეს. აჯანყებულებმა
შემდეგ ქართლის აოხრებას მიჰყვეს ხელი და თბილისის
მიმართულებით დაიძრნენ.

უდავოა, რომ თამარის პოლიტიკური მოწინააღმდეგები 1188-
1191 წლებში ფარულად და ორგანიზებულად ამზადებდნენ აჯანყებას,
რომლის ფორმალურ მიზნად იური რუსის სამეფო ტახტზე
აყვანა ჩანს. ფაქტია, რომ თამარ მეფისთვის ეს აჯანყება იმდენად
მოულოდნელი ყოფილა, რომ, როგორც ისტორიკოსი აღნიშნავს,
“განკვირვებული” დარჩაო. ეს გარემოება იმაზე მიგვანიშნებს, რომ
კვლავ სრულიად უსუსური იყო მეფის ერთგული მსტოვრების
მოქმედება და საქართველოს ერთიანობას რეალური საფრთხე
ემუქრებოდა.

ქართველები ერთმანეთს ხოცავდნენ იურის რუსის გამო, ამაზე
მეტი სირცხვილი განა შეიძლება ყოფილიყო?

“მსტოვართა გუნდი” – სისუსტიდან გაძლიერებამდე

ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, რომ სახელმწიფოს მართვის ისეთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, როგორიც “მსტოვართა გუნდია”, თამარის მეფობის პირველ პერიოდში (1185-1191 წლები გვაქვს მხედველობაში) ძალზე სუსტად მოქმედებდა.

თავად განსაჯეთ, 1191 წელს იური რუსის პირველი ამბოხების შზადება თამარ მეფის მსტოვრებს სამარცხვინოდ გამორჩათ, მაშინ, როცა სახელმწიფო გადატრიალების ეს მცდელობა მრავალი თვის მანძილზე შზადებოდა. ექსორია-ქმნილი იური ბოგოლუბსკი უცხოეთიდან გეგმავდა სამხედრო ამბოხს და სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებას. მას მჭიდრო კავშირები ჰქონდა თავის მომხრებთან, რომლებიც უცხოეთშიც ხშირად ხვდებოდნენ ქართველთა ყოფილ სიძეს. ამ ამბოხის მომზადების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო იური რუსის შეხვდირა კარნუ-ქალაქში საქართველოდან ჩასულ სამეფო კარის მოხელესთან, კერძოდ კი მეჭურჭლეოუხუცესის ნაცვალთან (მოადგილესთან). ამ პირველების ვინაობა ქართულ ისტორიოგრაფიაში უცნობია. ერთი კი, თამარ მეფის ისტორიკოსი ამ მოღალატეს “ლამაზად ამკობს” და “სჯულით ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზ”-ს უწოდებს. ამის საფუძველზე ქართველი ისტორიკოსები (მაგ. პროფ. შ. მესხია) მიიჩნევდნენ, რომ ის არაქართველი ეროვნების მოხელე უნდა ყოფილიყო. წესით და რიგით, გაძევებული იური ბოგოლუბსკის კონტაქტები სამეფო კარის მოხელეებთან და დიდ ფეოდალებთან მეფის მსტოვრების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ის ფაქტი რომ, იური რუსს სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერა აღუთქვეს და მის მხარეზე გადავიდნენ სამეფო კარის დიდმოხელენნი და ძლიერი ფეოდალები, თამარ მეფისთვის სრული მოულოდნელობა იყო. თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვებით: “თამარ, ქალაქსა მყოვი, უსახურისა და უზრავისა საქმისა განკვირვებული” (12,50) ყოფილა.



ვინ დაუჭირა მხარი მაშინ სახელმწიფო გადატრიაქციულებაზე
ამ პიროვნებების მხოლოდ ჩამოთვლაც საკმარისია, რომ იმ
პერიოდში თამარ მეფის ხელისუფლების ჯერ კიდევ არსებული
სისუსტე თვალში საცემი გახდეს. ამბობებას მხარი დაუჭირეს:
ვარდან დადიანმა, მსახურთუხუცესმა და ორბეტ-კაენის პატრონმა;
გუზან ტაოელმა, პატრონმა კლარჯეთისა და შავშეთისა; ბოცომ,
სამცხის საკასალარმა; ივანე-ყვარელყარე ციხისჯუარელმა და სხვებმა.
საყვრადღებო ფაქტია, რომ გუზანი და ბოცო რიგითი დიდებულები
არ იყვნენ, ისინი საქართველოს მთელ სამხრეთ საზღვრებს
აკონტროლებდნენ. მეფისგან ევალებოდათ რა “მონაპირეობა”, მათ
საკუთარი სადაზვერვო დანაყოფებით პირველებს უნდა შეეტყოთ
მტრის მოახლოება და შეტევაც პირველთ მოეგერიებინათ. 1185-
1191 წლებში ისინი არაერთხელ შებრძოლებიან და უკუუგდიათ
მტერი. აი ასეთმა გამოცდილმა ფეოდალებმა უდალატეს რატომლაც
მეფეს.

ვარდან დადიანმა ისე გადაიბირა მთელი დასავლეთ საქართველო
(“ყოველი სვანეთი და აფხაზეთი, საევრიო, გურია, სამოქალაქო,
რაჭა, თაკუერი და არგუეთი”) და აფიცა “რუსის გამეფებაზე”,
რომ თამარ მეფის მსტორებს მცირედი ინფორმაციაც კი არ
გააჩნდათ. ეს მით უფრო გასაკვირია, რადგანაც ამ მოდალატე
მსახურთუხუცესს, თუნდაც ტერიტორიული ფაქტორის გამო, სულ
მცირე რამდენიმე თვე მაინც დასჭირდებოდა შეთქმულებთან
შესახვედრად და მათ დასაყოლიებლად. სახელმწიფო
გადატრიალება თვეების მანძილზე იგეგმებოდა და მეფის ერთგულმა
მსტორებმა ამის შესახებ მხოლოდ შეთქმულთა თავდასხმის
შემდეგ შეიტყვეს. ობიექტურობა მოითხოვს ავლიშნოთ, რომ იური
რუსის პირველი ამბოხი ნამდვილად გარდატეხის წერტილი
აღმოჩნდა მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების
საქმეში. ამ პერიოდში შეიმჩნევა მეფის ერთგულ მსტორართა
ქსელის ერთგვარი გამოცოცხლება, რამაც ფაქტობრივად განაპირობა
კიდეც აჯანყებულთა დამარცხება. საქმის ვითარება კი ამგვარად
იყო.

ვარდან დადიანის მეთაურობით აჯანყებულების ძირითადი
ლაშქარი სამხრეთიდან – კავახეთის, თმოგვის, ახალქალაქის და



თრიალეთის მხრიდან - გეგმავდა თამარ მეფის ერთგული კულტურული თავდასხმას. ეს გეგმა მეფის მომხრე და როგორც ჩანს, მსტორულების ერთ-ერთი გამოცდილი ხელმძღვანელის - ზაქარია ვარამის ძის - “იგი კაცი ერთგული იყო და ჭაბუკი გამოცდილი” – (12,51) - აეშაგებმა შეიტყვეს და თამარს აცნობეს.

ამირსპასალარმა გამრეკელმა და მხარგრძელებმა დაასწრეს მოწინააღმდეგეს და მოულოდნელად ჯავახეთშივე დაუხვდნენ წინ. ამბოხებულები აშკარად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. მებრძოლი მხარეები ღამემ გაჰყარა, მათ მხოლოდ მტკვარი აშორიშორებდა. ამბოხებულები სათათბიროდ შეიკრიბნენ, ჯარის სიმცირის გამო უკან დახვევა და ციხე-სიმაგრებში გამაგრება გადაწყვიტეს. აქ კიდევ ერთხელ ისახელეს თავი თამარის ერთგულმა მსტორულებმა და ვარდან დადიანის გეგმა მეფის მხედართმთავრებს სასწრაფოდ ამცნეს. უკან დახეულ აჯანყებულებს თამარ მეფის ერთგული ჯარი დაედევნა და ერთიანად გაანადგურა.

ამ ბრძოლებში მონაწილეობდა გიორგი III-ს “გაზრდილი” და დაწინაურებელი დიდგვაროვანი ჭიაბერი, რომელსაც თამარის მამამ ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ჯერ კიდევ 1177 წელს, მეჯინიბეთუხუცესობა უბოძა. თამარის გამეფების შემდეგ ერთგული დიდებული სამეფო კარზე კიდევ უფრო დაწინაურდა და სახელშიწიფოში ჯარის შემდეგ მნიშვნელობით მეორე, ანსებითად ასევე სამხედრო - მანდატურთუხუცესის სახელო დაიკავა. ჭიაბერი 1184-1205 წლებამდე, ოც წელზე მეტ ხანს ფლობდა ამ პოსტს. ისტორიული წყაროების სიმწირე საშუალებას არ გვაძლევს სრულად წარმოვაჩინოთ ამ პერიოდში მსტორართა ერთიანი ქსელის საქმიანობის დეტალები. თუმცა ერთი კი ცხადია, 1184-1191 წლებში მანდატურთუხუცესმა ჭიაბერმა, რომელსაც ფუნქციონალურად ევალებოდა მსტორართა ქსელის ყოველდღიური ხელმძღვანელობა, ვერ შეძლო თამარ მეფის მთავარი პოლიტიკური მოწინააღმდეგის, იური რუსის საქართველოში ჩამოყვანის ერთ-ერთი ინიციატორის მწიგნობართუხუცესი-ჭიაბერი მიქაელ მირიანის ძის დაჯგუფებასთან დაპირისპირებაში გამარჯვება. ამიტომაც ამ პერიოდში სახეზე იყო თამარ მეფის ერთგული

მსტოვართა ერთიანი ქართულის ესოდენ უნიათობა. ამ წლებში “ჭიაბერის მსტოვრების” მოქმედებების სარგებლიანობა ფაქტურულად არ ჩანს. სამაგიეროდ ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვაროვანი აზნაურნი აძლიერებდნენ საკუთარ ჯაშეშთა ქსელს. საფიქრებელია, რომ მანდატურთუხუცესის უფლებები მნიშვნელოვნად იყო შეკვეცილი პირველი ვაზირის მიქაელის მიერ. ფაქტობრივად მხოლოდ ამ “ბოროტი გენის” გარდაცვალების შემდეგ, რაც 1191 წლისთვის უნდა მომხდარიყო, დაიწყო ჭიაბერის ხელმძღვანელობით მსტოვართა ერთიან ქსელის ორგანიზება საქართველოში. ეს პროცესი თამარ მეფის ერთმმართველობის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ბასილი ეზოსმოძღვარის სიტყვებით “. . დღითი-დღე წარემატებოდეს საქმენი თამარისანი უმჯობესად და უკეთესად ბრძნად და მართლად განვებისათვის” (12,123).

1191 წელს ქართლში გადმოსული მეამბოხეების მეორე ნაწილი, რომელმაც სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი მოთავის ვარდან დადიანის ლაშქრის დამარცხება შეიტყო, თავად უბრძოლველად გაიქცა. მოღალატეთა “ჯავახეთის ჯგუფმა” კი თამარ მეფეს წინასწარ პატიება სთხოვა. თამარის პირველი ისტორიკოსი ამ ფაქტს ასე აღწერს: “. . ლიხთ-მერთა დიდებულთა, შემნანებელთა შეცოდებისათა და მოაჯეთა შენდობისათა, ითხოვეს ცხოველნი ხატნი და თვით დედოფალი რუსულან მათ წინაშე საყოფლად, კათალიკოსი, მანდატურთუხუცესი და სხუანი ეპისკოპოსნი . . ” (12,54). ლალატის მომნანებელთა მიერ საშუალოდ მანდატურთუხუცესი ჭიაბერის და არა “დარბაზის რიგის” სხვა მოხელის (თუნდაც ამირსპასალარის) დასახელება, ამ სახელოს ავტორიტეტის აშკარა გაძლიერებად უნდა მივიჩნიოთ. ამ ვერსიას ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1193 წელს, როდესაც იური ბოგოლუბსკიმ მეორედ მოინდომა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა, მისი დახმარება ვერც ერთმა ქართველმა დიდებულმა ვერ გაბედა, რადგანაც “დაუსჯელობის სინდრომი” მათში უკვე აღარ მოქმედებდა. ჩვენი აზრით ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს მსტოვართა ინსტიტუტის თანდათანობითი გაძლიერებაზე.

საგარეო დაზვერვა თამარ მეფის ზეობის პერიოდში



1191 წელს ოური რუსის პირველი ამბობის ჩახშობის შემდეგ შიდა პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში თანდათანობით დაწყნარდა. თამარმა სიტყვა არ გატეხა და მეამბოხენი (მოღალატე გუზან ტაოელის გარდა, რომელიც შემდგომ პერიოდში დააბრმავეს) ფიზიკურად არ დასაჯა. აჯანყებულთა მოთავეებს სამეფო კარზე თანამდებობები ჩამოართვა და თავისი ერთგული დიდებულები დანიშნა.

ამ მოვლენების შემდგომ თამარმა ხელისუფლება მნიშვნელოვნად განიმტკიცა, გაუმჯობესდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, მოძლიერდა ჯარი და მსტოვართა ქსელიც. სამეფო კარზე თანდათანობით იგვეთებოდა მანდატურთუხუცესის სახელოს ავტორიტეტი. ქვეყანა სახელმწიფოებივი სიძლიერის ისეთ ისტორიულ ფაზაში შედიოდა, რომლის მსგავსი, დავით აღმაშენებლის შემდეგ, არ ყოფილა. ამის ნიშანი იყო თუნდაც ის გარემოებაც, რომ თამარ მეფემ, როგორც იქნა, ქვეყნის საგარეო მდგომარეობის განმტკიცებისთვის და გარე ომებისთვის მოიცალა. მას დიდი ისტორიული მისია დააკისრა ბედისწერამ - დავით აღმაშენებელმა ქვეყანას ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს ავტორიტეტი მოუპოვა, თამარს კი ის უნდა შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა.

XII საუკუნის ბოლო წლები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის საკმაოდ დაძაბული და მოულოდნელი მოვლენებით აღსავსე იყო. სუსტდებოლნენ მაჰმადიანი ქვეყნები და ძლიერდებოლნენ ჯვაროსნები. უსწრაფესად იცვლებოდა საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან. ამ პირობებში თამარ მეფის ხელისუფლებას სჭირდებოდა მეზობელ სახელმწიფოებსა თუ შორეულ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და ა.შ. მოვლენების ამსახველი ზუსტი ინფორმაცია. ეს ფუნქცია კი საგარეო დაზვერვას – საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედ მეფის მსტოვრებს უნდა შეესრულებინათ.



ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ თამარ მეფების საგარეო პოლიტიკა, მთეხედავად დავით აღმაშენებლის და გრიგორი III სტრატეგიულ კურსთან თანხვედრისა, ტაქტიკური გადაწყვეტილებებით და მიზნის მიღწევის კონკრეტული გზებით განსხვავდებოდა წინანდელი საგარეო პოლიტიკისგან. თამარ მეფის დიდი წინამორბედები საპროტექტორო ქვეყნებს ყმადნაფიცობის სტატუსით კი არ იღებდნენ, არამედ უშუალოდ უერთხბდნენ თავის სამეფოს და თავადვე მართვდნენ საქართველოს დედაქალაქიდან (რაშიც, უპირველესად დავით აღმაშენებელს, მსტოვართა დიდი ქსელი ეხმარებოდათ).

თამარს კი სხვადასხვა მიზეზის გამო (რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისიც იყო რომ ქალ-მეფეს ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური ინტრიგების შედეგად მსტოვართა ინსტიტუტი დასუსტებული დახვდა), დამორჩილებული ქვეყნების დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად ცნობა მოუწდა. მართალია იმ დროს ყმადნაფიცი (ვასალი) სახელმწიფოს სტატუსი ქვეყნებს შორის ურთიერთობის უფრო დემოკრატიული ფორმა იყო, სამაგიეროდ უფრო არამყარი გახლდათ (თუნდაც შარვან შაპების სისტემატური დალატი და მოულოდნელი განდგომები გავიხსნოთ). ვასალი სახელმწიფოს ადგილობრივი ხელისუფლება ხშირად ცდილობდა საქართველოსგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებას. ამიტომაც მათი ზრახვებისა და გეგმების, ასევე შიდა პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და ა.შ. მდგომარეობის მუდმივი ანალიზი თამარ მეფის ერთგული მსტოვრების ფართო ქსელის არსებობას მოითხოვდა.

ყმადნაფიცი ქვეყნების მხოლოდ ჩამოთვლაც საკმარისია, რომ ამ ამოცანის სირთულეში დავრწმუნდეთ. თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი ასახელებს შორვანშეთს, დარუბანდს, ღუნდეთს, ოვსეთს, ქაშაგეთს, კარნუქალაქსა და ტრაპზონს.

საგარეო დაზვერვის ეფექტიანი მოქმედება მაშინაც ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო. XI საუკუნეში თურქ-სელჩუკთა სულთნების ვაზირმა ნიზამი ალ-მულქმა ქვეყნის მართვაში მსტოვრების გამოყენების მთელი თეორია



შექმნა და ერთგვარი “ჯაშუშობის ტრაქტატი” – “სიაჟურნალი” დაწერა, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ჩვენი პაროგოთ, ეს და სხვა “შპიონაჟის სახელმძღვანელოები” ცნობილი იყო თამარ მეფის კარზე და მათ სათანადოდ იყენებდნენ კიდევ.

მსტოვრები ვაჭრების სამოსელში

XI-XII საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთში, შავი ზღვის რეგიონში და დღევანდელი რუსეთის ტერიტორიაზე რამდენიმე სავაჭრო ცენტრი იყო, სადაც ვაჭრობასთან ერთად ფარულ სადაზვერვო საქმიანობასაც წარმატებით ახორციელებდნენ ვაჭრების სამოსელში გადაცმული მსტოვრები. ვაჭრები, ელჩებთან შედარებით, უფრო თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ქვეყნიდან-ქვეყანაში და სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების უფრო მეტი საშუალება ჰქონდათ.

რუსეთის ტერიტორიაზე ორი საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი მდებარეობდა: ჩრდილოეთის მთავარი სავაჭრო-სასაწყობო პუნქტი ნოვგოროდი იყო, ხოლო სამხრეთით კიევი, სადაც ძირითადად ინდოეთიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და ბიზანტიის ქალაქებიდან შემოსული საქონელი ხვდებოდა.

ადგილობრივი რუსი დიდი მთავრები უცხოელ ვაჭრებს გადაადგილების და ცხოვრების სპეციალურ მოთხოვნებს უწესებდნენ. უცხოელებისთვის მთელი რიგი შეზღუდვების დაწესებით რუსი მთავრები მათ გაკონტროლებას ცდილობდნენ.

ნოვგოროდში დიდი ხნით ცხოვრობდნენ გერმანელი და პოლანდიელი ვაჭრები, რომლებსაც ზღვითა და ხმელეთით შეჰქონდათ საქონელი ნოვგოროდში. ისინი დებდნენ ხელშეკრულებას დიდ მთავართან და მხოლოდ ამის შემდეგ ჰქონდათ ვაჭრობის უფლება. ამ ხელშეკრულებით უცხოელი ვაჭრების (ხშირად ფარული მსტოვრების) უფლებებიც დაცული იყო. მაგალითად ნოვგოროდში ვაჭრის მოკვლისთვის გადასახადი საკმაოდ მაღალი - 10 გრივნა იყო. ვაჭრის ციხეში ჩასმა მიღებული

არ იყო, მოქმედებდა მხოლოდ დაჯარიშების სისტემა. საინტერესოა,
რომ თუ რუსი შეუსწრებდა უცხოელს თავის ცოლთან, “რეგულირები
დაღვმის” სანაცვლოდ 10 გრივნა უნდა მიეღო.

კიევში განლაგებული იყო ბიზანტიიდან შემოტანილი საქონლის
საწყობები., სადაც ნოვგოროდელები ყიდულობდნენ და შეძლებ
ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ყიდდნენ აღმოსავლურ
საქონელს. იმ საუკუნეებში შავი ზღვა უკვე ფართოდ გამოიყენებოდა
ვაჭრობისთვის. რუსი ვაჭრები კონსტანტინოპოლისა და
ალექსანდრიაშიც ჩადიოდნენ, ხოლო ბიზანტიიელები ვლაძიმირ-
სუზდალის სამთავროებსაც აღწევდნენ. რუსი ვაჭრებიც მიღიოდნენ
უცხოეთში სავაჭროდ, მათ გაჭირდათ: ბეწვეული, ოქრო, ვრცხლი,
ხე-ტყე და სხვ. სავაჭრო მიმოსვლის აუცილებელი აზრიბუტი
უცხო ქვეყნებზე ინფორმაციის შეგროვებაც იყო. რუსი ისტორიკოსი
სოლოვიოვი აღწერს 1184 წლის ერთ-ერთ რუსულ წყაროში
აღნიშნულ იმ ფაქტს, რომ ყივჩაღების დასალაშქრად წასულ
რუს მთავრებს გზად სამხრეთიდან მომავალი ვაჭრები შეხვდნენ.
შესაძლებელია ეს საქართველოდან წასული ვაჭრებიც ყოფილყვნენ.
სამხრეთ სავაჭრო გზებზე რუსებისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს
ყივჩაღები წარმოადგენდნენ, რომლებიც დაუნდობლად ძარცვავდნენ
ძლინარე დნეპრზე მცურავ სავაჭრო გემებს. იმ პერიოდში ყივჩაღები
ფაქტიურად მთელ სამხრეთ სავაჭრო გზებს აკონტროლებდნენ.

ვაჭრობა საქართველოსთვისაც ძალზე მნიშვნელოვანი
ეკონომიკური საქმიანობა იყო. დავით აღმაშენებლის პერიოდიდან
მოყოლებული საქართველოს ეთნიკური და რელიგიური “სიჭრელე”
სასარგებლოც იყო და საზიანოც. სწორედ არაქართველი ვაჭრების,
ხელოსნების და ექიმ-მკურნალების ფენებში პოულობდნენ
საქართველოს ხელისუფალი აგენტურას. ისინი უცხო ქვეყნებში
მოგზაურობისას, როგორც წესი, მსტოვრების ფუნქციასაც
ასრულებდნენ. სამაგიეროდ საქართველოს შიდა და გარე მტრებსაც
ამ წრებშივე ჰყავდათ ჯაშუშ-აეშავნი.

საქართველოს საგარეო დაზვერვის გამართული
მოქმედებებისთვის ობიექტური ხელისშემშლელი ფაქტორი
სწორედ ზემოთ აღნიშნული გარემოება იყო. ისტორიული



წყაროებით დადასტურებული ფაქტია, რომ უცხოური წარმომობის ვაჭრები პოლიტიკურად ყოველთვის არასაიმედონი იყვნენ.

ქართველი ისტორიკოსების შეხედულებით (15,) იმ პერიოდში (XI-XIII საუკუნები გვაქვს შედევლობაში) ჩვენ არ შეგვიძლია დავასახელოთ არც ერთი ქართველი ვაჭარი, მაშინ როდესაც ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ვაჭრები (მათ შორის თამარის პირველი ქმრის თური რუსის საქართველოში ჩამომყვანი ზანქან ზორაბაბელი) უცხო წარმოშობის იყვნენ. ისინი თავდაპირველად ძირითადად მაკმადიანი ვაჭრები იყვნენ, თუმცა XII საუკუნის მეორე ნახევრიდან მათ ადგილს თანდათან სომეხი ვაჭრები იკავებენ. თვით სომებს ისტორიკოსთა აზრით საქართველოს ერთიან სამეფოში საკმაოდ გამდიდრებული და დაწინაურებული სომეხი ვაჭრები მონღოლთა ჯაშუშობასაც “კარგად” ითავსებდნენ (15, ..).

ქართულ ისტორიოგრაფიაში სავსებით მართებულადაა გავრცელებული შეხედულება, რომ ვაჭარ-ხელოსანთა ფენის უცხო რელიგიურ-ეთნიკური შემადგენლობა საქართველოს სახელმწიფოს გაერთიანება-გაძლიერებისათვის უარყოფითი მოვლენა იყო

შამი თამარ მეფის და საქართველოს ძლიერებისა

საქართველოს “ოქროს ხანა”

XII საუკუნის დასასრული საქართველოსთვის კარგის მომასწავებელი იყო. ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა ერთიანი და საკმაოდ შორის გამიზნული გეგმით იმართებოდა. სამეფო კარზე თამარ მეფის ავტორიტეტი გამყარებული იყო. ხალხში კი, მეფე-ქალი უკვე საერთო-სახალხო სიყვარულისა და ლეგენდების მთავარ სიმბოლოდ იყო ქცეული.

თამარ მეფეს, დავით სოსლანთან ერთად, მტკიცედ ეპყრა ხელთ ქვეყნის მართვის სადავეები და მუდამ განზე მომზირალი დიდებულები აშკარა ბრძოლას სამეფო კარის წინააღმდეგ ვეღარ



ბედავდნენ. ისინი იძულებული იყვნენ თამარის მკაცრ, მაგრამ შეუძლია სამართლიან ხელს დამორჩილებოდნენ. სამეფო კარმა წარმატებით მოიგერია თამარის პირველი ქმრის, იური რუსის ორი შემოტევა 1191 და 1193 წლებში. მეფემ მოღალატეთაგან უმრავლესობას სულგრძელად აპატია, მხოლოდ საქართველოს დაუძინებელი მტრის - შაპარმენთა მხარეს გადასული, ვუზან ტაოსკარელი დასაჯეს სასტიკად და სამაგალითოდ. ამის შემდეგ ქვეყნის შიგნით თითქმის ოცი წლის მანძილზე, ვიდრე ქართველ მთიელთა აჯანყებამდე, რომელიც თამარის მეფობის მიწურულს უნდა მოშედარიყო, სიმშვიდე დამყარდა.

ქვეყნის გარეთ კი საქართველოს ძლიერება უკვე საყოველთაოდ იყო აღიარებული და მტერ-მოყვარეში ეჭვს არ იწვევდა. აღმოსავლეთის მაპმადიანი მბრძანებლები საქართველოსთან მევობრობას თუ არ ესწრაფოდნენ, ნეიტრალური პოლიტიკის გატარებას მაინც ცდილობდნენ და გაურბოდნენ თამარ მეფის წინააღმდეგ ბრძოლას. უფრო ხშირად კი თავად საქართველო გამოდიოდა “მოლაშქრე შემწუხებლის”, სუსტი მეზობლების დამცველის და მაპმადიან მთავართა მომრიგებლის როლში. იმ საუკუნეებში მოსაზღვრე ქვეყნების დალაშქერა და ნადავლის წამოღება ჯარის ბროლისუნარიანობის შენარჩუნების და ხაზინის შევსების ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო.

გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ზომიერად აგრესიულმა საგარეო სამხედრო პოლიტიკამ და აქტიურმა დიპლომატიამ ჩვენი ქვეყანა რეგიონის უძლიერეს სახელმწიფოდ ჩამოაყალიბა.

მოკლედ რომ მოვჭრათ, “თარსს” XIII საუკუნეს საქართველო სახელმწიფოებრივი სიძლიერის ისეთ უმაღლეს მწვერვალზე ეგებებიდა, როგორიც დავით აღმაშენებლის შემდეგ არ ენახა. სწორედ ამ “ოქროს ზანაში” მიაღწია ერთიანი ქვეყნის ტერიტორიის (“ნიკოფიით დარუბანდამდის”) და მოსახლეობის რაოდენობამ ისტორიაში არნახულ მაჩვენებელს.

ამ პროცესებში კი ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს სახელისუფლებო ინსტიტუტების გამართული მოქმედება გადამწყვეტი იყო. უპირველესად კი ძლიერი ჯარისა და კარგად

გაწვრთნილი “შსტოვართა გუნდის” გარეშე დიდი ქვეყნის აშენება
შეუძლებელი იქნებოდა.

თამარ მეფის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დავით აღმაშენებლის და გიორგი III საგარეო ქურსისგან განსხვავდით, დაპყრობილი ტერიტორიების შემოურთვა და იქ საქართველოს ჯარის ჩაყენება არ იყო, რაც საბოლოოდ საქართველოს სამხედრო ძალის დაქსაქსვას და შესუსტებას იწვევდა. ჩვენი აზრით ქალმა მეფემ უფრო შორსმჭვრეტელური და დემოკრატიული ურთიერთობების დამყარება დაისახა მიზნად. ამ საგარეო-პოლიტიკური კურსის მთავარი პრინციპი პი დამორჩილებული მეზობელი სამთავროების ყმადნაფიცი სახელმწიფოების სტატუსში ჩაყენება და იქ მმართველებად იქაურივე ხელისუფალის დატოვება იყო.

ამჟამად ჩვენი მიზანი არ არის ამ საკითხის დადებითი და უარყოფით მხარეების უფრო დაწვრილებით განხილვა. ერთი კია, თამარის პოლიტიკა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მოითხოვდა გაცილებით მეტი და სანდო ინფორმაციის ფლობას ყმადნაფიც სამთავროებში მიმდინარე შიდა პოლიტიკური პროცესებისა და საგარეო ორიენტირების მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. ეს კი საქართველოს “შსტოვრთა გუნდისგან” უფრო ნაყოფიერ და დაბაზულ მოქმედებებს საჭიროებდა.

ჯაშუშები თამარის სამეფო კარზე

თამარ მეფის ახლებური საგარეო პოლიტიკა გაჭირვებაში ჩავარდნილი ვასალი სამთავროების მფარველობას და მათ უცილობელ დაცვასაც გულისხმობდა. ასე მოხდა XII საუკუნის მიწურულს, როდესაც ელდეგიზანთა დინასტიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აბუ-ბექრმა საკუთარ ძმას, არანისა და გელაქუნის პატრონს ამირ-მირანს სამფლობელო ტერიტორიები წაართვა. ეს უკანასკნელი კი საქართველოს მეფის ყმადნაფიც შირვან-შაჰს შეეკვდლა და მალე მისი ქალიშვილი ცოლად მოიყვანა. ამის

შემდეგ ათაბაგ აბუ-ბექრმა სიძე-სიმამრს შეუტია, მათაც
საქართველოს მეფეს მიმართეს დახმარებისთვის.



ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, თუ რა საინტერესო ისტორიული
მოვლენასთან გვაქვს საქმე – აზერბაიჯანის ელდეგიზიანთა
საათაბაგოში ერთმორწმუნე მაჰმადიან ახლო ნათესავთა საშინაო
ბრძოლებში ქრისტიანული საქართველო უნდა ჩართულიყო და
ერთ-ერთ მხარეს დახმარებოდა. ეს კი ჩვენი ქვეყნის დიდ
საერთაშორისო ავტორიტეტსა და სამხედრო სიძლიერზე
მეტყველებს. საქართველოს მეფემ დახმარების დასტური მისცა
სიძე-სიმამრს. მხოლოდ ამის შემდეგ შედგა მათი ვიზიტი
საქართველოს სამეფო კარზე, რაც საკმაოდ დაწვრილებით და
ხატოვნად არის აღწერილი “ქართლის ცხოვრებაში” და მასზე
არ შევჩერდებით. ჩვენთვის აქ ერთი ფაქტია ყურადსალები.
საიდუმლო მოლაპარაკებებზე გაირკვა, რომ ამირ-მირანს უფრო
შორს მიმავალი, თუმცა, ალბათ ცოტა ავანტურისტული მიზნებიც
ჰქონდა – ის საქართველოს მეფეს სთავაზობდა დამეხმარეთ
სპარსეთზე გალაშქრებასა და ჩემს გასულთნებაში და მუდამ
თქვენი ერთგული მოკავშირე ვიქნებით. თუმცა თამარმა მხოლოდ
დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საქმეში აღუთქვა
სამხედრო დახმარება და ლაშქრობისთვის მზადების დაწყება
ბრძანა.

როგორც ჩანს ადრეული მოლაპარაკებებისა და სამეფო კარზე
სტუმრობის შესახებ ინფორმაცია უმაღ ხდებოდა აბუ-ბექრის
ჯაშუშებისთვის ცნობილი. “ქართლის ცხოვრებაში” ეს ფაქტი
ამგვარადაა აღწერილი: “ამა სიხარულსა და შუებასა შინა
ეკაზმოდეს და ემზადებოდეს დამსკუნელნი შუღლისანი. და მოვიდეს
და აცნობეს ათაბაგსა .. .” (ქართლის ცხოვრება, ტ.2, გვ. 67.).

ეს კი უეჭველს ხდის, რომ საქართველოს სამეფო კარზე
გარეშე მტერს საკმაოდ ჰყოლია ჯაშუშები. მათგან
გაფრთხილებულმა აბუ-ბაქრ ათაბაგმა თადარიგი ადრევე დაიჭირა,
გაფრთხილებულმა აბუ-ბაქრ ათაბაგმა თადარიგი ადრევე დაიჭირა,
დასახმარებლად მუსლიმანური სამყაროს ბევრი ხალიფა თუ
სულთანი მოიხმო და დიდი ომისთვის მომზადება მოასწრო.
საიდუმლო ინფორმაციის გამხელის გამო ასე დაიკარგა



“მოულოდნელობის ეფექტი”, რაც შესაძლებელია ძალზე მოვიწადეთ დასჯელომდა საქართველოს მხედრობას. მართლაც აბუ-ბუჭიშის ლაშქარმა საქართველოს საზღვრები გადმოლახა, ქვეყნის ტერიტორიის სიღრმეში შემოიჭრა და შამქორის ციხე-ქალაქსა და მის შემოგარენში გამავრდა. ეს 1195 წლის მაისის ბოლოს მოხდა. საქართველოს და მისი მოკავშირების გაურთიანებული ლაშქრისა და აბუ-ბექრის მხედრობის სამკვდრო-საციოცხლო შერკინება კი ივნისის დასაწყისში გაიმართა და ისტორიაში “შამქორის ბრძოლის” სახელით ჩაიწერა. საინტერესოა, რომ მირითადი ბრძოლის დაწყების წინ დავით სოსლანმა მზვერავ-აეშაგთა რაზმები გააგზავნა მოწინააღმდევების რიცხოვნობის და განლაგების დასადგენად. სწორედ მათგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შედგა საბრძოლო გეგმა, რომელიც წარმატებით განახორციელა საქართველოს ჯარმა და დიდ გამარჯვებას მიაღწია. შამქორის ციხე-ქალაქი ამირ-მირანს გადაეცა. თუმცა მთავარი მაინც განძის დაბრუნება იყო, რაც რამდენიმე დღეში ასევე წარმატებით შეასრულა დავით სოსლანმა და ეს ტერიტორია ხარჯის პირობით ასევე ამირ-მირანს დაუბრუნა. თავისი სამულობელო დაიბრუნა შირვან შაჰ აღსართანმაც.

ამ ბრძოლებში, რომელმაც კიდევ უფრო აამაღლა საქართველოს ავტორიტეტი ახლო აღმოსავლეთში, დავით სოსლანის, ზაქარია და ივანე მხარეგრძელების და სხვა დიდებულების გვერდით ვაჟეკაცურად იმრძოდა საქართველოს მანდატუროუსუცესი ჭიაბური. სწორედ მან ახარა ტაბახმელას სასახლეში მომლოდინე თამარ მეფეს გამარჯვების ამბავი.

თუმცა დამარცხებული და ნახიჭევანს გადახვეწილი აბუ-ბექრ ათაბაგი ფარ-ხმალს არ ყრიდა და მზაკვრულ გეგმებს ადგენდა. ამაში კი ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ განძის მფლობელის და საქართველოს ყმადნათვიცის ამირ-მირანის გარემოცვაში ჯაშუშები მრავლი ჰყავდა. სწორედ მათ ფარულად “მისცეს წამალი სასიკუდინე” და დაასნეულეს საქართველოს მოკავშირე ამირ-მირანი, რომელიც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. ძმის მოკვლის შემდეგ აბუ-ბექრი განძას დაეპატრონა. ეს უკვე



საქართველოს აშკარა გამოწვევა იყო. თამარ მეფის და მეფის მეურნეობის დავით სოსლანის გადაწყვეტილებით, იგზავნებოდა მსტორეპიული რაზები ინფორმაციის მოსავროვებლად. “ქართლის ცსოვრებაში” მოხსენიებულია, რომ ერთ-ერთ ასეთ სადაზვერვო-დივერსიულ ოპერაციას 1196 წელს ივანე მხარგრძელი ხელმძღვანელობდა.

მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე სამეფო კარმა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციები დაგევგმა და საქართველოს ჯარმა 1198-1203 წლებში ლაშქრობების სერია მოაწყო, რის შედეგად: 1199 შემოიერთეს ანისი, 1201 წელს – ბიჯნისი, 1203 წელს კი დვინი. ასევე საქართველოს მოხარკენი გახდნენ ახლო აღმოსავლეთის სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრები - შემახია, შაბურანი, დარუბანდი და სხვ. ამის შედეგად აღმოსავლეთ კავკასიის სტრატეგიული სავაჭრო გზები საქართველოს სამეფო კარის კონტროლქვეშ გადავიდა, რაც უმნიშვნელოვანესი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური მონაპოვარი იყო.

წარმატებებთან ერთად საგანგაშო ინფორმაციაც მოჰქონდათ საქართველოს მსტორებს. ისინი იტყობინებოდნენ, რომ მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო ძლიერდებოდა და საქართველოს წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად ემზადებოდა. სელჩუკთა სულთანი რუქ ად-დინ სულეიმან შაჰი (1196-1204), ჯერ კიდევ საუკუნის წინ ნიზამი ალ-მულქის მიერ შემუშავებულ სადაზვერვო ტაქტიკას იყენებდა და წლების მანძილზე ძლიერდით ხელდამშვენებულ ელჩ-მოციქულებს, სინამდვილეში კი ჯაშუშებს, უგზავნიდა თამარ მეფეს. სულთნის “ელჩები” საქართველოს შესახებ სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-რელიგიური ხასიათის ინფორმაციის მოპოვებით იყვნენ დაკავებულნი. ამგვარი “აღმოსავლური ეშმაკობის” და “მოჩვენებითი სიყვარულის” თამარ მეფეს არ სჯეროდა და თავადაც გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდა.



ქართველ მსტოვართა მიერ მოგებული განვითარების ბასიანის ბრძოლა

რუმის სულთანმა რუქნ ად-დინმა მაპმადიან მოკავშირეებთან ერთად უზარმაზარი არმია შეკრიბა, ისტორიულ წყაროებში მტრის რიცხოვნობად 400 000 მეომარია დასახელებული. რეალურად ამის მეოთხედიც რომ ყოფილიყო, მაინც მნელი მოსაგრიებელი იქნებოდა მომხდური. საქართველოს ლაშქრის ოდენობა სავარაუდოდ 70-80 ათასს არ სცდებოდა. გადამწყვეტი ბრძოლა ბასიანში გაიმართა.

ეს ბრძოლა მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია საქართველოს ისტორიაში. გარდა უდიდესი სამხედო-პოლიტიკური წარმატებისა, ბასიანის ბრძოლა იმათაც იყო გამორჩეული, რომ მისი ტრიუმფალური შედეგი ბევრად განაპირობა ქართველთ მსტოვრების მიერ მოპოვებულმა სამხედრო-ტაქტიკური ხასიათის საღაზვერვო ინფორმაციაში. ქართული და უცხოური ისტორიული წყაროები ხაზგასმით აღნიშნავენ ამ ფაქტს. საქართველოს ისტორიაში ცოტაა წარმატებით დასრულებული ბრძოლა, საღაც მსტოვრების ღვაწლი ასე გამოკვეთილად ჩანდეს. მოვლენები კი შემდეგნაირად ვთარღდებოდა.

გაძლიერებულმა რუქნ ად-დინმა 1202 წლის ივნისში ლაშქარი არზრუმისკენ დაძრა. ამ ციხე-ქალაქის აღებას მის სტრატეგიულ გეგმაში მნიშვნელოვანი აღიღილი ეკავა – სელჩუკებს ჯერ კარის (ყარსის) ციხე-ქალაქისკენ ეხსენებოდათ გზა, შემდეგ კი საქართველოს საზღვრებში შემოჭრას ვარაუდობდნენ. მართლაც, მას შემდეგ, რაც სელჩუკებმა არზრუმი აიღეს, ბასიანთან დაბანაკდნენ მომდევნო შეტევისთვის მოსამზადებლად.

საქართველოს სამეფო კარიც დროს უქმად არ კარგავდა. რუქნ ად-დინის ჩანაფიქრი თამარ მეფისა და დავით სოსლანისთვის ნათელი იყო, ამიტომ მათ დროულად შეკრიბეს ჯარი და მტრისკენ დაიძრნენ. საინტერესოა, რომ ლაშქარში იყო და ბრძოლებში მონაწილეობდა საქართველოს მსტოვართა უშუალო “შეფი”, მანდატურთუხუცესი ჭიაბერი. სწორედ ბასიანის ბრძოლაში

გაბრწყინდა საქართველოს მსტოვართა მზე. მათ შეუმჩნევლად და ყოველმხრივ დაზვერეს მტრის ბანაკი და გასაკვირო სურათი ნახეს – სელჩუქთა მეომრები გულარხეინად ისვენებდნენ, ხვატ სიცხეში საბრძოლო აღჭურვილობა იქვე მიეყარათ, შორიახლოს კი ლაგამაყრილი ჯორების, ცხენებისა და აქლემების რემები ძოვდნენ. არანაირი საბრძოლო მზადყოფნა არ იგრძნობოდა. უფრო მეტიც, მსტოვრების მახვილ თვალს არ გამოჰქმავდა, რომ სელჩუქებს ბანაკის გარე პერიმეტრზე მცველ-გუშაგების პოსტები არ დაეყენებინათ და არც მზვერავთა მცირე გუნდები ჰყავდათ ჩასაფრებაში, რათა ქართველთა ჯარის მოულოდნელი მოახლოება შეეტყობინებინათ.

ეს ინფორმაცია უმაღ აცნობეს საქართველოს ლაშქრის სარდლობას.

ქართველებმა უცარი შეტევა ცენტრიდან დაიწყეს, იმავდროულად ფლანგებიდანაც მოუარეს, რამაც სრული ქაოსი შეიიტანა მტრის რიგებში.

ამჟამად მნელია სელჩუქების ამგვარ უდარდელობას ლოგიკური ახსნა მოუძებნო. ფაქტია, რომ რუმის სულთანი ქართველების შეტევას არ მოელოდა.

საქართველოს ჯარმა კი ბრწყინვალედ გამოიყენა “მოულოდნელობის ეფექტი”, რიცხობრივად ჭარბ სელჩუქების ლაშქარს მაშინ შეუტია, როდესაც ისინი ისვენებდნენ. საქართველოს ლაშქარმა დავით სოსლანის მხედართმთავრობით არ აცალა სელჩუქებს გონის მოსვლა და მრავალსაათიანი სასტიკი ბრძოლის შემდეგ ნაუცბათევად მომზადებული კოალიცია სამარცხვინოდ გააქცია.

კვლავ მტრის ჯაშუშების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ “ქართლის ცხოვრებასა” და სხვა, უცხოურ თუ ქართულ, ისტორიულ წყაროებში საქართველოს მსტოვართა წარმატების ან მარცხის შემთხვევების შესახებ, უმეტესად პირდაპირ არ არის ხოლმე მითითებული, სტრიქონებს



შორის მაინც შესაძლებელია საინტერესო ცნობების ამონტზე და კიგულით მაგალითად, სავარაუდოდ 1208 წელს არდებილის სულთანმა “რამეთუ უწყოდა მხარგრძელთა შინაუმყოფელობა”, ისარგებლა რა მათი თამარ მეფესთან გეგუთში ყოფნით, უჩუმარად შემოიჭრა საქართველოს სამეფოს საზღვრებში და “უგრძნობლად მოვიდა ანისსა”. როგორ შეიტყობდა სულთანი ასე დაწვრილებით საქართველოს სამეფო მოხელეების გადაადგილების შესახებ? მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სამეფო კარზე ჯაშუშაჟშაგების ყოლით, რომლებიც დროულად აცნობებდნენ მას საიდუმლო ინფორმაციას. ეს შემოჭრა დავით სოსლანის გარდაცვალებიდან მცირედი დროის გასვლის შემდეგ მოხდა. სამწუხაროდ საქართველოს “მონაპირეებს”, რომლებიც საზღვრისპირა ლაშქარს (“მესაზღვრეებს”) და მსტოვრებს ხელმძღვანელობდნენ, ვერ გამოუჩენიათ თავი და მტრის ლაშქრობა დროულად ვერ შეუტყვიათ.

არდებილის სულთანმა ამ გულგრილობით თუ ყურადღების მოდუნებით მზაკვრულად ისარგებლა, ანის-ქალაქთან უჩუმრად დაბანაკდა, დიდმარხვაში ეკლესიაში სალოცავად მყოფ შეუიარაღებელ ქალაქელებს მოულოდნელად თავს დაესხა და ერთიანად ამოწყვიტა. თუმცა ეს მისთვის დროებითი და თანაც საბედისწერო წარმატება აღმოჩნდა.

ქართველებმა მაღვევე გადაუხადეს სამაგიერო არდებილის სულთანს და უმთავრესი მუსულმანური დღესასწაულის – რამაზანის დროს დაესხნენ თავს და ერთიანად მოაოხრეს მისი სამფლობელო. თავად სულთანი მოკლეს, მისი სახლობა კი ტყვედ აიყვანეს. ასე იძიეს შური ანისელთა ამოხოცვისთვის.

სპარსეთის მხარეში ამ “სადამსჯელო ლაშქრობის” პერიოდში ფრიად კეთილდად იღვაწა საქართველოს მსტოვართა “გუნდმა”. მათ შეკრიბეს მრავალი და სანდო ცნობა სპარსეთის ახლო და შორეული სამთავროების დაქასასულობისა და უძლურების თაობაზე. ყოველივე ეს მსტოვრებმა ამირსპასალარ ზაქარია და მსახურთუხუცეს ივანე მხარგრძელებს აცნობეს. მათ კი თამარ მეფეს მოახსენეს ყოველივე და ლაშქრის მომზადების ნება სთხოვეს.



კარგად ჩანდა - ხელსაყრელი დრო დამდგარიყო საქართველოს სამხედრო ძლიერების კიდევ ერთხელ დემონსტრირებისთვის.

გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ 1207-1208 და 1209-1211 წწ. შორეული ლაშქრობების და გამარჯვებების გარეშე საქართველოს “ოქროს პერიოდი” გაცილებით ფერმკრთალი იქნებოდა.

ქართველთა “კეთილ მტერობა”

არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის სიტყვებით, კავკასიის მაჰმადიანური ქვეყნების და სასულთნოების მმართველები ქართველებს საუკეთესო მტრებად თვლიდნენ, იმიტომ, როცა ქართველები გაიმარჯვებდნენ და რომელიმე ციხე-ქალაქს აღუბდნენ, ხარქს გამოართმევდნენ ხოლმე და მერე ისევ უკან, თავის სამშობლოში ბრუნდებოდნენ. ქართველი მეფეები ერთგულ მეციხლოვნებს და სპასაც კი იშვიათად ტოვებდნენ დამორჩილებულ ქალაქებში. იბნ ალ-ასირის ეს, ოდნავ ცინიკური, თუმცა ზუსტი შეფასება, ნათლად ადასტურებს, რომ საქართველოს მეფეებს XII საუკუნესა და XIII პირველ მეოთხედში დამარცხებული მტრის ციხე-ქალაქების და ტერიტორიების შემოერთება-შემომტკიცების ერთიანი პოლიტიკა არ ჰქონდათ. თუნდაც ის ფაქტი გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ გიორგის III დროიდან ანისი და დვინის ციხე-ქალაქების მაჰმადიან მფლობელებისგან გათავისუფლებას რამდენი ლაშქრობა და ბრძოლა დასჭირდა. ამის მიუხედავად, ეს და სხვა ქალაქები ძალზე პირობითად და არამყარად ითვლებოდნენ საქართველოს მფლობელობის ქვეშ. ფაქტობრივად ეს იყო ერთჯერადი “შემოერთება” – დაამარცხებდნენ, აიღებდნენ ხარქს, იქაურ მმართველს დატოვებდნენ და თავად თბილისს წამოვიდოდნენ.

საკმარისი იყო საქართველოს ლაშქარი სამშობლოში დაბრუნებულიყო, რომ “შემოერთებულ” ქალაქს ხარქის გადახდა შეეწყვიტა და მოსახლეობა კვლავ მოწინააღმდეგის მხარეს გადადასულიყო. იცოდა რა ქართველთა “კეთილ მტერობას” ამბავი



თურქ-სელჩუკთა მუსულმანური ციხე-ქალაქები წარმოადგინება უბრძოლველად ნებდებოდნენ, ძღვენ-საჩუქრებს მიართევდნენ გამარჯვებულებს და უსაფრთხოების მყარ გარანტიასაც იღებდნენ. ასე მაგალითად, თამარის მეფობის ბოლო წლებში მოწყობილი ლაშქრობების დროს, რამაც კიდევ უფრო გაზარდა საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური ავტორიტეტი ახლო და შუა აღმოსავლეთში, საქართველოს საა საოცარ მიმტევებლობას იჩნდა იმ შემთხვევაში, როცა ციხე-ქალაქები უბრძოლველად ნებდებოდნენ და ხარჯს იხდიდნენ (ასე მოხდა ციხე-ქალაქების თავრიზისა და მიანას დამორჩილების დროს). ქართველები მცირე სპას ტოვებდნენ ციხე-ქალაქში, თავად კი ლაშქრობას აგრძელებდნენ. თუმცა ზოგჯერ ეს გულკეთილობა ძალზე ძვირი გვიჯდებოდა. ციხე-ქალაქ მიანის მმართველმა ერთიანად ამოწყვიტა მცველად დატოვებული ქართველთა მცირე სპა, ეს ვერაგობა რომ შეიტყო, უკან მობრუნებულმა საქართველოს მხედრობამ სასტიკად დასაჯა სიტყვის გამტებნი.

სპარსეთში ხანგრძლივი და შორეული ლაშქრობა საქართველოს სამეფოს სიძლიერის კიდევ ერთი დადასტურება იყო. უამრავი ნადავლით დატვირთული ლაშქარი უკან, საქართველოში გამობრუნდა. ამ ლაშქრობების შემდეგ ქვეყნის გეოგრაფიული საზღვრები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

თამარის მეფობის მიწურულს საქართველოს ვასალური (ყმადნაფიცი) ქვეყნები და სამთავროები იყვნენ:

იმიერკავკასიაში – ალან-ოსები, ჩერქეზები, ლეკები, ლურმუკნი; ჩრდილოეთ აზერბაიჯანში – დარუბანდი, შარვანი და განბის (რანის) საათაბაგო; სამხრეთით – ხლათის და ერზინკის სასულთნოები და არზრუმის საამირო; მთელი სომხეთი.

ყმადნაფიცობის სტატუსი გულისხმობდა საქართველოსთვის ხარჯის გადახდას და დასახმარებლად ჯარის გამოყვანას. ტერიტორიების გაფართოებას ემატებოდა ის გარემოებაც, რომ საქართველოში სხვადასხვა აღმსარებლობის და ეროვნების ხალხი ცხოვრობდა. მართლმადიდებელ ქრისტიანებთან, მონოფიზიტ სომხებთან, მაჰმადიანებთან (სპარსენი, თურქები და არაბები), ასევე

მთიელებთან (რომლებიც ძირითადად კერპთაყვანისტები იყვნენ) ურთიერთობაში ცენტრალურ ხელისუფლებას ძალზე მოზღვიული და ტოლერანტული რელიგიური პოლიტიკა უნდა გაეტარებინა.

ტერიტორიული სიშორის, მოსახლეობის სიმრავლის, ასევე ეროვნული და რელიგიური განსხვავებულობის გამო საქართველოს სამეფო კარს სულ უფრო და უფრო უჭირდა ფორმალურად დამორჩილებულ-შემოერთებული, მაგრამ ფაქტობრივად დამოუკიდებელი მუსულმანური ქვეყნების თბილისიდან მართვა და მათზე მყაცრი კონტროლის დაწესება.

საშინაო პოლიტიკური მდგომარეობის გართულების პირველი სერიოზული ნიშანი თამარის მეფობის მიწურულს მომხდარი ქართველ მთიელთა აჯანყება იყო. ფხოველთა და დიდოელთა ამბოხი სამთვიანი ბრძოლების შემდევ სასტიკად ჩაახშო სამეფო სკამ ამირსკასალარ-ათაბაგ ივანე მხარგრძელის მშედართმთავრობით.

ულმობელი წუთისოფელი კი უფრო სერიოზულ განსაკუდელს უმზადებდა სრულიად საქართველოს.

დიდი ეპოქის დასასრული

საქართველოს სამეფო კარისთვის, განსაკუთრებით კი სამხედრო ხელმძღვანელობისთვის, პირველი დიდი დანაკარგი დავით სოსლანის გარდაცვალება იყო. ქვეყანა ძლიერი და უშიშარი მხედართმთავრის, ხოლო თამარი, ერთგული მეუღლის გარეშე დარჩა. სპარსეთის შორეულ ლაშქრობაში საქართველოს ჯარს ზაქარია და ივანე მხარგრძელები, ვარამ გაგელი და სხვა დიდებულები სარდლობდნენ. თავიც არ შეურცხვენიათ.

საქართველოს სამეფო კარზე არსებული წესის თანახმად, თამარის თანამოსაყდრედ 12 წლის ლაშა-გიორგი აკურთხეს.

ქვეყნის მართვის სადაცები კი კვლავ თამარ მეფეს ეპყრა მტკიცედ, თუმცა ეს მშვიდობიანობის და კეთილმშენებლობის პერიოდი სულ რაღაც ეჭვსილდე წელს გაგრძელდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში თამარ მეფის გარდაცვალების თარიღად ტრადიციულად 1213 წელია მიჩნეული. თუმცა



ისტორიკოსთა ნაწილი 1207 წელს, ზოგიერთი კი 1210 წელს
მიიჩნევს უფრო მართებულად. ამ სამეცნიერო დავაში ჩარევა
შორს წაგვიყვნს. ერთი კია, ძალზე ძნელია იმის დაშვება, რომ
საქართველოს მხედრობის 1208-1211 წლების წარმატებული
შორეული ლაშქრობები, საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების
გაფართოება, ქვეყნის შიგნით ვაჭრობისა და ხელოსნობის არნაზული
აყვავება, ლიტერატურისა და ხელოვნების უნიკალური
ნაწარმოებების შექმნა - თამარ მეფის საერთო ხელმძღვანელობის
გარეშე ჩატარებულიყო.

ამიტომაც თამარის გარდაცვალების თარიღად 1213 წლის
მიჩნევა უფრო მართებული და ლოგიკური ჩანს.

“ნანატრი შვილის” ქართული კომპლექსი

ნათქვამია: “გმირებისა და გენიოსების შვილებზე ბუნება
ისვენებსო”.

როგორც შემდგომმა წლებმა აჩვენა, თამარი, როგორც მეფე
გაცილებით ძლიერი, მტკიცე და მომთხოვნი იყო, ვიდრე თამარი –
დღდა. ეს გასაგებიცაა, რადგანაც თითქმის ათი წლის მანძილზე
თამარი უშვილოდ იყო.

გავიხსენოთ, თამარი 1185 წელს გათხოვდა იური რუსზე და
ორ წელში გაშორდა. მეორედ დავით სოსლანზე 1189 წელს
გათხოვდა. პირველი შვილი ლაშა-გიორგი კი მხოლოდ 1195
წელს შეეძინა.

თამარის და დავით სოსლანის ნანატრი ვაჟი, ხოლო სრულიად
საქართველოსთვის ნანატრი ტახტის მემკვიდრე, ლაშა-გიორგი
სახელმწიფოს მართვის და ლაშქრის ხელმძღვანელობის საქმეში
ძალზე ჩამორჩებოდა დადა-მამას. მოვლენების შემდგომმა განვითარებაში
გვიჩვენა, რომ ქვეყნის მესაჭის ტვირთი მისთვის ძალზე მძიმე
აღმოჩნდა. ისტორიულ წყაროებში ლაშა-გიორგი დახასიათებულია,
როგორც მამაცი მეომარი, თუმცა საკმაოდ ჟინიანი, ამპარტავანი,
აჩქარებული ხასიათის და ქართულ ტრადიციებთან თავისუფალი
დამოკიდებულებით გამორჩეული პიროვნება.

ამ დროს კი საქართველოს მახლობლად დიდი საერთაშორისო
მოვლენები იგეგმებოდა – ჯვაროსნები მორიგ ლაშქრობებსა
აპირებდნენ და მოკავშირებს ეძებდნენ. გაცილებით შორს,
აღმოსავლეთით კი ნელ-ნელა შავი ღრუბელი იყრებოდა –
მონღლოლთა ტომებს ჩინგიზ ყაინი აერთიანებდა და დასავლეთისკენ
მოიწევდა. როგორ ხვდებოდა ამ ისტორიულ მოვლენებს
საქართველოს სამეფო, მხედრობა და “მსტოვართა გუნდი” ?
ამას შემდეგ წიგნში შევიტყობთ.

ძვირფასო მკითხველო ისტორიული ნარკევების, “შსტოვრობის ისტორია საქართველოში”, პირველი ნაწილი დასრულდა ლაშა-გიორგის გამეცებისწინა პერიოდით. ავტორის მიზანი იყო მაქსიმალურად ობიექტურად შეესწავლა და მოეთხოო საქართველოში შსტოვრობის ინსტიტუტის განვითარების შესახებ კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე.

ამ ურთელესი, და ქართულ რეალობაში ჯერ კიდევ შეუსწავლელი ისტორიული საკითხის კვლევისას ქართული და უცხოური ისტორიული ნაშრომების, სამეცნიერო-პოპულარული და მხატვრული ლიტერატურის მრავალი ტომის მოძიება და ანალიზი გახდა აუკილებელი.

რამდენად მიაღწია ავტორმა ამ მიზანს? – ეს მკითხველმა გადაწყვიტოს.

განსაკუთრებული მადლიერებით მინდა აღვნიშნო წიგნის სამეცნიერო რედაქტორის პროფესორ ვალერი ვაშაკიძის წვლილი. მისმა რეკომენდაციებმა, ავტორს საშუალება მისცა მაქსიმალურად ობიექტურად და მისაწვდომად მოეთხოვო საქართველოში მსტოკობის ინსტიტუტის განვითარების შესახებ XI-XII საუკუნეებში.

ავტორი მადლობას უხდის ყველას, უპირველესად კი პროფესორ ამბროსი გრიშკაშვილს, ვინც ხელნაწერის წაკითვის პროცესში რჩევებითა და რეკომენდაციებით თავისი წვლილი შეიტანა ტექსტის დახვეწაში.

ავტორი განსაკუთრებით მაღლიერია “შინაური ცენზორების” - ოჯახის წევრების, რომლებმაც ყოველდღიური თანადღომის გარდა, საკუთარი წვდილი შეიტანეს წიგნის ტექსტის გამართვაში, ისტორიული მოვლენების თარიღების დაზუსტებასა და წიგნის კომპიუტერული დიზაინის დამუშავებაში.

ავტორის ჩანაფიქრით მსტორობის შესახებ ისტორიული ნარკვევების ძობვის წიგნი საქართველოს ერთიანი სახელმწიფო სამართლის XIII-XV საუკუნეების მოვლენებს მიეძღვნება..

1. სულხან-საბა ორბელიანი, “ლექსიკონი ქართული”, ტ.1., თბ., “შერანი”, 1991.
2. სულხან-საბა ორბელიანი, “ლექსიკონი ქართული”, ტ.2., თბ., შერანი, 1993.
3. “საქართველოს ისტორიის ნარკვევები”, რვატომეული, ტ.3. “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1979.
4. ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII, თბ., უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984.
5. გამსახურდია კ., თხზულებათა ათტომეული, ტ. IX, გამომც. წელი
6. ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI, თბ., “შეცნიერება”, 1982.
7. სიმონ ჯანაშია, შრომები, ტ.5., “შეცნიერება”, თბ., 1987.
8. Адам Мец., Мусульманский ренессанс. М. Наука 1973.
9. Низам Ал-Мульк, Сиасет-Намэ. Книга о правлении Вазира XI столетия., М., Наука. 1949.
10. ჯავახიშვილი ი., “ქართველი ერის ისტორია”, წიგნი II.
11. ზაქარაია პ., ქართული ციხე-ქალაქები, ციხესიმაგრეები, ციხე-დარბაზები, ციხე-გალავნები, კოშკები, “ციცინათელა”, თბ. 2004.
12. ქართლის ცხოვრება, ტ. 2., “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1959.
13. საქართველოს ისტორია, ტ.1., თბ., 1958.
14. Соловьев С.М., Сочинения, Москва, “Мысль”. 1988.
15. ანთელავა ილ., XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., განათლება, 1980.



16. მესხია შ., საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამეცნიერო
წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის
გამომცემლობა, თბ., 1979.
17. ჯორჯაძე ი., ნარკვევები საქართველოს სამხედრო
ხელოვნების ისტორიდან, საბჭოთა საქართველო, თბ., 1990.
18. ცინცაძე ი., ძეგბანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის
ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა., თბ. 1956.
19. История Дипломатии., т. 1., “Политическая
литература”, М., 1959.
20. Ключевский В.О., Исторические портреты, М.,
“Правда”, 1990.
21. Разин Е. А. История военного искусства, “Военное
издательство”, М., 1957.

ს ა რ ჩ ე პ ი

წინათქმა	1
შესავალი	3
თავი I. მსტოვრობა დავით აღმაშენებლის ზეობის დროს .	8
თავი II. მსტოვრობა დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის მეფობის უამს.	46
თავი III. მსტოვრობა თამარ მეფის ეპოქაში	71
მცირე ბოლოთქმა	116
გამოყენებული ლიტერატურა	117

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ნატო არაბიძე

ღიზაინი:

ელენე ალადაშვილი

ცოტა რამ აპტონის შესახებ:

დაიბადა 1959 წელს. მიღებული აქვს უმაღლესი ეკონომიკური და იურიდიული განათლება. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ორ ათეულ წელზე მეტია ლექციებს კითხულობს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

მუშაობდა: სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, სექტორის გამგედ; საქართველოს ეროვნული უმიშროების საბჭოში – კურიობდა ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს; შინაგან საქმეთა სამინისტროში - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ; სახელმწიფო უმიშროების სამინისტროში – დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ; 2004 წელს იყო “ქართული არმიის განვითარების ფონდის” ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი.

სამხედრო წოდება - უმიშროების პოლკოვნიკი. დაასრულა აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს “ორგანიზებულ და საფინანსო დანაშაულთან ბრძოლის” სემინარ-კურსები. ეკონომიკური უსაფრთხოებისა და გეოპოლიტიკის საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია. სპეცსამსახურების ინტორიის და დღევანდელ პრობლემატურ თემებზე გამოქვეყნებული აქვს ორასზე მეტი სტატია.

არის ორი წიგნის ავტორი: “სპეცსამსახურები და შპიონაჟი” (2005 წ.) და “შპიონაჟის საიდუმლო” (2007 წ.).

ამჟამად მუშაობს თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო

უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევით დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე.

106

№/865



ჩაბარდა წარმოებას 17.III.2009
60X84, ქაღალდი თეთრი 80 გრ.
ფორმატი ნაბეჭდი თაბაზი 8

ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „საზოგადოება ცოდნა“
თბილისი, კოსტავას ქ. №47, ტელ. 93-43-10

ვინ ხელმძღვანელობდა ქართველ
 მსტოვრებს?

როგორ "მოიპარეს" ქართველებმა
 სამშვილდის ციხე

"ბედნიერი ლომის" პრეტენზიები

აბულასანის დეზინფორმაცია

ზანქან ზორაბაბელის საიდუმლო მისია

მსტოვრების "კადრების სამჭედლო"

"უბედური რუსის" ისტორია

იური რუსის სამეფო კარიდან გაძევების
 მიზეზები

ქართველ მეფეთა ინტიმური ცხოვრება

ჯაშუშები თამარის სამეფო კარზე

ქართველ მსტოვართა მიერ მოგებული
 ბასიანის ბრძოლა